გაზეთი ბევრისა, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 40 თეთრი

№11 (767) 1 - 3 თებერვალი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

# 20 გვერდი

# მიხეილ მაჭავარიანი პროკურატურაში დაკითხეს



„მე, ხათუნა გოგორიშვილმა და მაია ნადირაძემ ჟვანია იმ დღეს ვნახეთ, როცა მოკლეს. შუადღისას, აუზზე წასვლამდე...“

გვ. 2



„შინაგანი პროტესტი ყოველთვის მქონდა, მხოლოდ იმიტომ ვიყავი გაჩუმებული, რომ...“

გვ. 5

## როგორ „მოუტეხა“ დავით კეზერაშვილმა სახელმწიფო ბიუჯეტს 49 392 342 ლარი

თავდაცვის ექსმინისტრის ბიზნეს-ვნებები

გვ. 4

## მძღოლებმა გაფიცვა შეწყვიტეს!

გვ. 6



ექსკლუზივი

## გიორგი ტაბიძე 5-წლიან დუმილს არღვევს და არასამთავრობო ორგანიზაციას „ჰაველის თავისუფლების ინიციატივა“ აფუძნებს!

გვ. 3

## „ან მინისტრს ატყუებენ, ან მინისტრი გვატყუებს ჩვენც და ივანიშვილსაც“



რა პრინციპით შეარჩია ჯანდაცვის სამინისტრომ 200-დარიანი დახმარებით დასაკმაყოფილებელი სოციალურად დაუცველები

გვ. 12

## „ბენდუქიძემ წინა ხელისუფლება მოატყუა და გააბრიყვა“



რატომ ითხოვს ეკონომიკის ყოფილი მინისტრის დასჯას, რაში ადანაშაულებს გამგებლებს და რატომ არ დაუჭერს მხარს ფინანსურ ამნისტიას **გოგი თოფაძე**?

გვ. 7

## ნიკა ვაჩეიშვილი კულტურის მინისტრს სომხეთთან სადავო ძეგლების აღდგენის ინიციატივის გამო დაუპირისპირდა

რატომ არ ხმაურდება ქართულ-სომხური მოლაპარაკების დეტალები და რა „საიდუმლო“ ხელშეკრულება გაფორმდა მხარეებს შორის

გვ. 13

## 8 თვის ორსული სამსახურიდან „ნაციონალების“ მხარდამჭერი ქმრის გამო გაათავისუფლეს

როგორ გაამარტივა ირაკლი ალასანიამ უწყებაში თანამშრომლების დათხოვნის მეთოდი და რატომ გაუშვეს ქარელის მუნიციპალიტეტიდან 100-მდე ადამიანი

გვ. 8



## თბილისის მერიის მიერ სარეკრეაციო ზონების განადგურების ფაქტებზე გამოძიება იწყება!

გვ. 11

# მიხეილ მაჭავარიანი პროკურატურაში დაკითხეს



რუსუდან შელია
პოლიტიკა

**რა სახის გადაჯგუფებები იგეგმება პარლამენტში და მიიღებს თუ არა „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას, ვინ ახორციელებს უმცირესობის წარმომადგენლებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას და რატომ დაკითხა პროკურატურამ — ამ და სხვა საინტერესო კითხვებზე პასუხს, საპარლამენტო უმცირესობის წევრის, მიხეილ მაჭავარიანის ინტერვიუდან შეიტყობთ.**

— „ქართული ოცნების“ მხრიდან საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბარი თავიდანვე არასწორი იყო, რადგან მათ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა არ აქვთ. ჩანს, იმედოვნებენ, რომ უმცირესობის წარმომადგენლებს ზეწოლით გადაიბირებენ.

**— უმცირესობიდან უმრავლესობის ფლანგზე ანზორ ბოლქვაძე, გიორგი ფეიქრიშვილი, გურამ მისაბიშვილი, ნაულ ჯანაშია, რამაზ ნიკოლეიშვილი... გადავლენ — გადაჯგუფების შესახებ ინფორმაციას ადასტურებთ?**

— თუ რომელიმე ჩვენი თანაგუნდელი „ნაცმოძრაობის“ დატოვებას გეგმავს, ხმამაღლა უნდა განაცხადოს. პარტიაში მართლაც არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ უმცირესობაში ყოფნა მომგებიანი პოზიცია არ არის, მაგრამ საბედნიეროდ, მათი რაოდენობა ცოტაა. რაც შეეხება ჩამოთვლილ დეპუტატებს, ისინი მართლაც, ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან და ამის დამადასტურებელი ფაქტები მაქვს... ჯერ ვერ გაგიმხელთ, რადგან ისინი პირადად, გულახდილად მესაუბრებიან ხელისუფლების მხრიდან შექმნილი ხელოვნური პრობლემების შესახებ. თუ შევატყვე, რომ ამ საკითხებზე ხმამაღლა საუბარი აუცილებელია, არ დავმალავ. ზეწოლა უმცირესობის წევრების უმეტეს ნაწილზე ხორციელდება. მარტვილის მაჟორიტარ ნაულ ჯანაშიას, რომლის წინააღმდეგ საკრებულოში სერიოზული სამუშაოები ხორციელდებოდა, უთხრეს, პრობლემებს მოგიგვარებთ, თუ ჩვენთან ითანამშრომლებო. არა მგონია, ნაული ამ წინადადებას დათანხმდეს. ანზორ ბოლქვაძეს, გურამ მისაბიშვილს, გიორგი ფეიქრიშვილსა და რამაზ ნიკოლეიშვილსაც ველაპარაკე. მათ ერთგულებაში დარწმუნებული ვარ, თუმცა პოლიტიკაში არასოდეს უნდა თქვა „არასოდეს“. სხვათა შორის, საკონსტიტუციო ცვლილების ინიცირებას, რომელიც პრეზიდენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობებს არეგულირებს, მხარი მეც დავუჭირე.

**— ანუ კანონპროექტსაც მისცემთ ხმას?**

— ამას უკვე აღარ ვაპირებ. ინიციატივა მისაღები იყო, მაგრამ გავაანალიზოთ, რა პროცესი მოყვა მას. რეგიონებში საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა ჩვენი გუნდის წევრების შეურაცხყოფისა და კვერცხების სროლის ფონზე მიმდინარეობდა. გაუგებარია, თუ ხელისუფლება მართალია, რატომ არ შედიოდა მათ ინტერესებში კანონპროექტის მშვიდ ვითარებაში განხილვა?!

„მე, ხათუნა გოგორიშვილმა და მაია ნადირაძემ ზურა იმ დღეს ვნახეთ, როცა მოკლეს. შუადღისას, აუზზე წასვლამდე...“



სერგო რატიანისგან ვიცი, რომ ოზურგეთში წესრიგის დამყარებას ერთი პოლიციელიც კი არ ცდილობდა. არადა, ხელისუფლებაში მოსვლამდე, ოპოზიციას ყველა პროცესში ჩართვის გარანტიას ჰპირდებოდნენ. ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ შანტაჟის, დაშინებისა და დაკავების გზა კარგ შედეგამდე არ მიგვიყვანს.

**— დავით ბაქრაძის განცხადებას იმეორებთ, მაგრამ არ აკონკრეტებთ, რა შედეგს გულისხმობთ. პოლიტიკურ კრიზისამდე მისვლის ალბათობას უსვამთ ხაზს?**

— „ოცნება“ პოლიტიკური კრიზისის შიშზე დღემდე საუბრობს. ჩვენ ამის სურვილი არ გვაქვს. ეს დავადასტურეთ, როცა არჩევნებში დამარცხება ვაღიარეთ. უბრალოდ ვამბობ, იქნებ სჯობს, კონსტრუქციულად მოვილაპარაკოთ და გადავწყვიტოთ, რა არის უკეთესი ქვეყნის მომავლისთვის! დღეს, ეკონომიკური კრიზისის საფრთხე ბევრად რეალურად მეჩვენება, რადგან არაერთი პროექტის შეჩერების გამო, სამუშაო ადგილები საგრძნობლად შემცირდა. ნიშნის მოგებით არ ვსაუბრობ. უბრალოდ, გული მწყდება — ამ ქვეყანას ცხრა წელი ვაშენებდით.

**— არც თქვენ დროს იყო უმუშევრობა დაძლეული. „ქართული ოცნება“ კი, მხოლოდ ოთხი თვეა ხელისუფლებაშია.**

**— ჩვენ ჩავიბარეთ 900-მილიონიანი ბიუჯეტი. კოალიციას კი ცხრა მილიარდამდე გაზრდილი ბიუჯეტი გადავაბარეთ. მაინტერესებს, ხადური რამდენჯერ გაზრდის სახელმწიფო ხაზინის რესურსებს. თუ ეკონომიკური კრიზისის შესახებ ჩვენი საუბრები არარეალურად გეჩვენებათ, კი, ბატონო, სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ციფრებს გადახედეთ. იქნებ ისიც მე და ვანო მერაბიშვილმა დავწერეთ?!**

ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობდნენ არსებული ფორმატით სასამართლოს გაუქმებაზეც, რაშიც, საბედნიეროდ, ვენეციის კომისიაც ჩაერთო. გასაგებია, რომ კოალიციას ჯერ მხოლოდ ოთხთვიანი მმართველობის გამოცდილება აქვს, მაგრამ ყველას ჰქონდა მოლოდინი, ქვეყანაში ვითარება მყისიერად შეიცვლებოდა და ეკონომიკური პრობლემები უმოკლეს ვადებში გადაიჭრებოდა. მსგავსი ეტაპები გავიარეთ, მაგრამ ყოველთვის ვახერხებდით წინსვლას. ახლა კი, თუ ასე გავაგრძელებთ, პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი ლიდერი სახელმწიფო საქართველო, ჩვეულებრივი, რიგითი ქვეყანა გახდება. საინტერესო იყო პოლიტპატიმართა სიაც. რატომ გაათავისუფლეს რუსეთის ჯაშუშობაში მხილებული პატიმრები, რომლებიც სამართლიანად იყვნენ დაკავებულები? თუ, ფიქრობენ, საქართველოში რუსული სპეცსამსახური არ მუშაობდა? თან, პოლიტპატიმართა სიაში ისეთი ადამიანები შეიყვანეს, პოლიტიკაზე ერთი სიტყვა რომ არასოდეს უთქვამთ...

**— პოლიტპატიმართა ახალ სიაში, სავარაუდოდ, იგორ გიორგაძე, ლევან მამალაძე... შევლენ. მამალაძემ კი აღნიშნა, რომ მას სააკაშვილის პოლიტიკურ განეიტრალებაში დახმარებას სთხოვდით...**

— თუ იგორ გიორგაძე წმინდანია და ქვეყანაში პოლიტიკური დევნილის სტატუსით უნდა დაბრუნდეს, კი, ბატონო, კომისიას ხელს არავინ უშლის. ამ პროცესთან დაკავშირებით მითქმა-მოთქმა, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

**რაც შეეხება ლევან მამალაძეს, არ დავმალავ, ყოველთვის ვცდილობდი, ზურაბ ჟვანიას გუნდში არსებული დაპირისპირება გამენეიტრალებინა, რათა ერთიანი ორგანიზმის ჩამოყალიბება შეგვძლებოდა. იმასაც ვაღიარებ, რომ მაშინ ეს ვერ მოვახერხე, რადგან „ნაცმოძრაობა“ ცალკე გავიდა, ჩვენ „გაერთიანებული დემოკრატები“ კი — ცალკე. მე და ჩემი მეგობრები მართლაც, მივდიოდით ლევან მამალაძესთან, მაგრამ საბოლოოდ, მამალაძე არც ჩვენ შემოგვიერთდა და არც „ნაციონალებს“. პირიქით, ის ყოველთვის გააფთრებული იბრძოდა, განსაკუთრებით, ჟვანიას გუნდის წინააღმდეგ.**

**— რა დაპირისპირების მოგვარებას ცდილობდით მამალაძის დახმარებით ჟვანია- სააკაშვილს შორის?**

— საერთოდ, მაშინ ყველა დაპირისპირების წყარო შევარდნაძე იყო. ზურასთან მიშაზე საუბრობდნენ ცუდს, მიშასთან — ზურაზე. ვცდილობდით, ეს შეგვეჩერებინა და გავერთიანებულიყავით. ვერ გეტყვით, რას აკავშირებს ერთმანეთთან ლევან მამალაძე, მაგრამ გიყვებით, რაც მაშინ ხდებოდა.

**— მიგაჩნიათ, რომ ჟვანიას გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით განახლებული გამოძიება ობიექტურად ჩატარდება?**

— ზურას გარდაცვალებასთან დაკავშირებით საკმაოდ თავშეკავებულ განცხადებებს ვაკეთებდი... მოდი, დაველოდოთ, რას იტყვის გამოძიება. მასალები, რომლებსაც გავეცანი, არ მიტოვებს ეჭვს, რომ დღემდე არსებულ ოფიციალურ ვერსიას არ დავეთანხმო. ახლა მასალებთან წვდომა არ მაქვს, შესაბამისად, ვერაფერს ვამბობ. სხვათა შორის, ზურას საქმესთან დაკავშირებით მეც დამკითხეს.

**— კონკრეტულად, რა საკითხზე. ჟვანიას თანაგუნდელების მისამართით, არაერთი კითხვა დაისვა. თქვენ არ დაინტერესებულხართ, რატომ იყო 7 წლის განმავლობაში საქმე დაუხურავი?**

— მე, ხათუნა გოგორიშვილმა და მაია ნადირაძემ ზურა იმ დღეს ვნახეთ, როცა მოკლეს. შუადღისას, აუზზე წასვლამდე, წიგნი ვაჩვენეთ, სადაც მასზე იყო საუბარი. ზურას გვიან ღამეც ვურეკავდი — ერთ-ერთ ტელეკომპანიაში ვიყავი მიწვეული და რაღაც საკითხთან დაკავშირებით, მისი აზრი მაინტერესებდა. შესაბამისად, გარდაცვალების ღამეს ზურას ტელეფონზე ჩემი ტელეფონიდან განხორციელებული არაერთი ზარი დაფიქსირდა. დაკითხვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეს იყო. მახსოვს, ოქრუაშვილი ითვლებოდა ზურას საქმეში მთავარ მოწმედ, თუმცა მან საკუთარი განცხადება ცოტა ხნის წინ შეცვალა. ამ საქმით ნამდვილად დაინტერესებული ვარ. დღესაც მუდმივად ვეკითხები უმრავლესობის წევრებს, რა ეტაპზეა გამოძიება. საქმის დახურვა გარკვეული გარემოებების გამო არ ხორციელდებოდა. ვიმედოვნებ, ახლა გაირკვევა ყველაფერი.

## „ფორუმისა“ და ივანიშვილის პარტიის გაერთიანება არ შედგა

„ეროვნული ფორუმის“ „ქართულ ოცნებასთან“ პარტიული გაერთიანების საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. 16 თებერვლის ყრილობას „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ „ეროვნული ფორუმის“ გარეშე ჩაატარებს.

ამასთან, ყრილობის შემდეგ, პარლამენტში წარმოდგენილი „ფორუმელები“, რომლებიც ამჟამად ფრაქცია „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში არიან, უმრავლესობის ფარგლებში საკუთარ ფრაქციას შექმნიან.

აღნიშნული გადაწყვეტილებები დაადასტურეს „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა დავით საგანელიძემ.

**„უახლოეს მომავალში გაერთიანებას არ ვგეგმავთ და ეს საკითხი ამ ეტაპზე არ დგას. გადაწყდა, „ქართული ოცნება“ ყრილობას თვითონ ჩაატარებს. ის ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციაა. ჩვენ ჯერ ცალკე დავრჩებით. ალბათ მოისმენდით, ორიოდე კვირის წინ, ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას, როცა თქვა, რომ არ სურს დიდი, მონსტრი პარტიის შექმნა, რომელსაც დანარჩენ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან დიდი უპირატესობა ექნება. ამ ეტაპზე, ჩაითვალა, რომ „ფორუმი“ ცალკე რჩება, „ოცნება“ თავის ყრილობას ჩაატარებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ბლოკისა და კოალიციის წევრები ვართ და ერთად ვიქნებით“,** — განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

რაც შეეხება პარლამენტში ფრაქციის ფორმირების საკითხს, „ეროვნულმა ფორუმმა“ კოალიციის სიით იმ რაოდენობის სადეპუტატო მანდატი აიღო („ფორუმიდან“ პარლამენტში ექვსი დეპუტატი გავიდა), რომ მათ უმრავლესობაში საკუთარი ფრაქციის შექმნა თავისუფლად შეეძლოთ, თუმცა გუბაზ სანიკიძემ და მისმა თანაპარტიელებმა ფრაქცია „ქართულ ოცნებაში“ რიგით წევრებად შესვლა ამჯობინეს. ახლა, როგორც სანიკიძემ გვაცნობა, ჯერ „ქართული ოცნების“ ყრილობას დაელოდებიან და შემდეგ „ეროვნული ფორუმის“ საპარლამენტო ფრაქციის შექმნის საკითხი დადგება, რაც, მისივე აზრით, „ბუნებრივიც არის“.

ამ ყველაფერთან დაკავშირებით, დავით საგანელიძე განმარტავს, რომ პარტიების მოსალოდნელი გაერთიანების თაობაზე მათ კარგად აწონ-დაწონილი გადაწყვეტილება მიიღეს.

**„არსებობდა აზრი იმის შესახებ, რომ „ფორუმი“ პოლიტიკურ პარტიას „ქართულ ოცნებას“ შერწყმოდა, თუმცაღა ამ მოსაზრებას ჰყავდა მომხრეებიცა და მოწინააღმდეგეებიც. როცა ერთად ვიფიქრეთ და სიტუაცია ავწონდავწონეთ, ჩავთვალეთ, რომ ამ ვითარებაში ამის არანაირი აუცილებლობა არ არსებობდა, რადგან ჩვენ თითქმის ყველა საკითხზე ერთი პოზიცია გვაქვს და ერთიანად ვჯერდებით. საჩქარო არაფერია. ალბათ სჯობს, ეს პოზიცია და აზრი დრომ გამოსცადოს. ყოველთვის, გადაწყვეტილებები მით უფრო მყარი და ძლიერია, რაც უფრო ხანგრძლივ დროშია მიღებული. რომ არ ყოფილიყო თუნდაც ერთი ან ორი ისეთი ადამიანი, რომელსაც შეიძლება ხინჯად ჰქონოდა ჩარჩენილი, სჯობდა თუ არა „ფორუმის“ ლიკვიდაცია და „ქართულ ოცნებასთან“ შერწყმა, ამიტომ ვთქვით, მოდი, ნუ ვიჩქარებთ, წინ ბევრი დრო და ერთად სავალი გზა გვაქვს. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ეს საკითხი შეიძლება ისევ დადგეს“,** — აცხადებს საგანელიძე.

„ინტერპრესნიუსის“ წყაროს ცნობით, რაზეც „ეროვნული ფორუმი“ და „ქართული ოცნება“ ვერ შეჯერდნენ, სწორედ მათი გაერთიანების ფორმა იყო. კერძოდ, „ეროვნული ფორუმის“ „ქართულ ოცნებასთან“ ინტეგრაციის მიმართულებით ორი ვარიანტი განიხილებოდა: მომხდარიყო ორივე პარტიის რეგისტრაციის გაუქმება და ახალი, ინტეგრირებული პარტიის შექმნა, რა წინადადებასაც მოლაპარაკებების პროცესში „ეროვნული ფორუმი“ სვამდა ან „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენლები „ქართულ ოცნებაში“ ინდივიდუალურად შესულიყვნენ. ეს უკვე „ქართული ოცნების“ საპასუხო ალტერნატივა იყო. ამასთან დაკავშირებით, გუბაზ სანიკიძემ განგვიცხადა, რომ „ფორუმი“ ლიკვიდაციისა და „ოცნებაში“ პერსონალურად შესვლისთვის მზად იყო, თუმცა ამ ეტაპზე ჩაითვალა, რომ უმჯობესია, ჯერ გაერთიანება არ მოხდეს.

*„ინტერპრესნიუსი“*

## ვერსიანიუსი

### გაგა გაჩეჩილაძე მიხეილ სააკაშვილს სასამართლოში უჩივლებს



ადვოკატი ლალი აფციაური საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს გიორგი (გაგა) გაჩეჩილაძესთან დაკავშირებით უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევაში ადანაშაულებს. დასტურად, პრეზიდენტის მიერ პირდაპირ ეთერში გაკეთებული განცხადება მოჰყავს, თითქოს გაგა გაჩეჩილაძემ კამერის წინ ერთ-ერთ მოქალაქეს ყელი გამოჭრა.

აფციაურის თქმით, გაგა გაჩეჩილაძის მიმართ ჯერ გამამტყუნებელი განაჩენი დადგენილი არ არის და აქედან გამომდინარე, იგი უდანაშაულოა. პრეზიდენტმა კი, ფაქტობრივად, გაგა გაჩეჩილაძე მკვლელობის მცდელობაში დაადანაშაულა, რაც გაჩეჩილაძეს წაყენებული არ აქვს.

ამ ფონზე, შესაძლოა, ლევან გაჩეჩილაძის შვილმა, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს პატივისა და ღირსების შელახვის გამო, სასამართლოში უჩივლოს. **„პიროვნებამ, რომელიც პრეზიდენტი და ქვეყნის კონსტიტუციის მთავარი გარანტია, დაარღვია პირის უდანაშაულობის პრეზუმპცია და იმ ფაქტში დაადანაშაულა, რაც არ მომხდარა. ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი თავს დამნაშავედ არ სცნობს“,** — აცხადებს გაჩეჩილაძის მეორე ადვოკატი ლევან სამუშია.

*„პირველი“*

# გიორგი ტაბიძე 5-წლიან დუმილს არღვევს და არასამთავრობო ორგანიზაციას „ჰაველის თავისუფლების ინიციატივა“ აფუძნებს!

თეონა დავითაძე

**საქართველოს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ და აქტიურ პოლიტიკოსად აღიარებული გიორგი ტაბიძე დუმილის 5-წლიან რეჟიმს არღვევს და არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰაველის თავისუფლების ინიციატივას“ აყალიბებს. წლების წინ, პოლიტიკიდან წასვლის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას ასე გვიხსნის — „ყოველთვის საკუთარი აზრი გამაჩნდა ყველაფერზე და მას ვინარჩუნებდი. ყოველთვის დამოუკიდებელი ვიყავი და... ალბათ, პოლიტიკაზე უარი იმიტომ ვთქვი, რომ ჩემი დამოუკიდებლობის ხარისხი შემენარჩუნებინა“. მიაჩნია, რომ დღეს საკუთარი აზრის, უფრო სწორად, საკუთარი იდეების განხორციელებისთვის შესაფერისი დრო დადგა. ორგანიზაციის პრეზენტაციამდე კი, ექსკლუზიურად „ვერსიასთან“ არასამათვრობო ორგანიზაციის გეგმებსაც ამხელს და იმასაც, ვისთან ითანამშრომლებს პოლიტიკაში დაბრუნების შემთხვევაში.**



— 2007 წლის მერე საჯარო განცხადებები არ გამიკეთებია. კულუარებში ვმუშაობდი. ბევრ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი მქონდა და საჯაროდ არ ვაფიქსირებდი. შეიძლება, ეს ვინმემ მინუსად ჩამითვალა და ამიტომ აღარ მიმიჩნიეს პერსპექტიულ პოლიტიკოსად. ამ წლების განმავლობაში, მეგობრობასა და ბევრ სხვა მომენტს, ანგარიშს ვუწევდი. ბევრს კარგ რჩევასაც ვაძლევდი და გაგიმხელთ, ვინც არ დამიჯერა, ცხვირ-პირიც წაიმტვრია! მე ჩემი გზა ავირჩიე და, 2007 წლის მოვლენების მერე, კოლეგებს ვუთხარი — ის, რაც მოხდა, არ ვარგოდა. მათ ამის გამო პროტესტი არ გამოუხატავთ. თანამდებობებზე მყოფმა ადამიანებმა, ყველა მოვლენის შესახებ იცოდნენ ჩემი აზრი. დასამალი არაა — ძველი ხელისუფლების ძალიან ბევრ წარმომადგენელთან ვმეგობრობ. ვფიქრობ, რადიკალიზმი ღუპავს ყველაფერს! ამის გამო ურთიერთობებში კომლექსები არ გამჩენია. მიუხედავად იმისა, რომ „ნაცმოძრაობას“ ბევრი კომუნისტურ პარტიას ადარებს.

**— თქვენ არ ადარებთ?**

— გარკვეულწილად, კი, მაგრამ ჩვენი მამების თაობაში ყველა კომუნისტი იყო და ყველა ცუდი ხომ არ იქნება? ასეა „ნაციონალების“ შემთხვევაში. იქ ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანია, ვისთან ურთიერთობა დღესაც მაქვს და ყოველთვის მექნება, მაგრამ ბევრი დღესაც შეცდომებს უშვებს. უბრალოდ, ერთ დღეს დავინახე, რომ „ნაცმოძრაობა“ აღარ ვითარდებოდა.

**— ეს როდის დაინახეთ?**

— როცა გავჩუმდი, 5 წლის წინ. ვხედავდი, რომ პარტიული მიმდინარეობა დამოკიდებული ხდებოდა მხოლოდ რამდენიმე ადამიანის აზრზე, რაც არასწორია.

**— თქვენი დუმილი სწორია? დუმდით აგვისტოს ომის დროს, 2009 წლის გაუთავებელი აქციების დროს, არც ამ არჩევნებზე გამოჩენილხართ... სათქმელი არ დაგიგროვდათ?**

— მეც მიკვირს, რატომ ვიყავი ჩუმად. ბევრი რამის მიმართ მქონდა ნეგატიური დამოკიდებულება, მაგრამ პრესკონფერენციები არ მომიწყვია. შეიძლება, ამ წლების განმავლობაში აქციაზე გასვლის სურვილიც გამიჩნდა, მაგრამ რაღაცებს ანგარიშს ვუწევ — თუნდაც მეგობრობას.

**— რადიკალიზმმა დაღუპა ქვეყანაო, ამბობთ. რამდენი წელი ვიარეთ ჩაკეტილ წრეზე. ბოლო არჩევნები კი, ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლის მაგალითი იყო. როგორ აფასებთ ხელისუფლებაში ივანიშვილის მოსვლას და ამის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს?**

— გამოჩნდა, რომ ივანიშვილი ქართულ პოლიტიკას ძალიან სჭირდებოდა. ბევრი სასიკეთო რამ გაუკეთა ჩვენ ქვეყანას. ამას ვერავინ უარყოფს. დრო გვაჩვენებს, ისევე კარგად გაატარებს თუ არა პოლიტიკურ ხაზს, როგორი კარგი ქველმოქმედიც იყო. ზოგადად, პოლიტიკაში გარდატეხა ქართველმა ხალხმა შეიტანა და, როგორც დათო ტურაშვილმა თქვა, ეს იყო შეთქმულება ქართველი ხალხისა, რომელიც გარინდული იდგა საარჩევნო უბნებთან და არჩევანს აკეთებდა. სხვათა შორის, ველოდი, რომ ჩემი მეგობარი გიორგი თარგამაძე ბარიერს ვერ გადალახავდა. ვუთხარი კიდეც. ორი სანაძლეოც მოვიგე: „ქრისტიან-დემოკრატებსა“ და „ლეიბორისტებთან“. ვთქვი, რომ ერთი პარტია 2, მეორე კი 3 პროცენტსაც ვერ აიღებდა.

**— „ქრისტიან-დემოკრატებსა“ და „ლეიბორისტებს“ რა მოუგეთ?**

— სუფრა! რა უნდა მომეგო, ადამიანურად დავნაძლევდით და ჩემი პროგნოზი გამართლდა. ასე გადაწყვიტა ამომრჩეველმა. საერთოდ, რაც მეტ თავისუფლებას მისცემ ხალხს, მეტად სახელმწიფოებრივად მოაზროვნე იქნება. თუ ქართველს ნაჯახით გამოეკიდები, გამორიცხულია, რამეს მიაღწიო. აი, რა იყო „ნაციონალების“ პრობლემა — რომ მოდიხარ და ამბობ, 30 წელი უნდა ვიყო ხელისუფლებაშიო, სწორედ ეს არის ბოლშევიზმი, ამომრჩევლის იგნორირება და ამით რას მიაღწევ?! სასაცილოა, ახლა „ნაციონალები“ რებრენდინგს რომ აცხადებენ.

**— რატომ, პარტიას განახლების უფლება ხომ აქვს, ცუდია, ონლაინკონტაქტი თუ ექნებათ და ახალ ლიდერებს წარმოაჩენენ?**

— ეგ ადრე უნდა გაეკეთებინათ, არჩევნებამდე. „ნაცმოძრაობას“ ის ფრთა უნდა გამოჰყოფოდა, რომელსაც იდეოლოგია მაინც აქვს. ბოკერია-ბენდუქიძის გუნდს ვგულისხმობ. მოსწონს თუ არა ქართველ ხალხს, ამ გუნდს იდეოლოგია ნამდვილად აქვს. დანარჩენები პულტზე ხელის დამჭერები არიან. ისე, ამ პარტიაშიცაა თავისუფალი ჯგუფი და „ოცნებაშიც“. ალბათ, „ოცნებაში“ უფრო მეტნი არიან.

**— რატომ გადაწყვიტეთ, რომ სწორედ ახლაა დრო, გააქტიურდეთ და 5-წლიანი დუმილი დაარღვიოთ?**

— იმიტომ, რომ ახლა არის ჩემი იდეების განხორციელებისთვის საუკეთესო დრო. ეს იდეები 2003, 2004 და 2005 წლებშიც მქონდა, მაგრამ მაშინ მოვლენები უკან-უკან წავიდა. ბევრი წელი ვიყავი პოლიტიკაში. მერე პროცესებს ვაკვირდებოდი, ჩავთვალე, რომ გამოცდილება მაქვს და ახლა არის დრო, ჩემი იდეები არასამთავრობოს საშუალებით განვახორციელო.

**— არასამთავრობო „ჰაველის თავისუფლების ინიციატივა“ რა საქმიანობით იქნება დაკავებული. დისიდენტურ მოძრაობას იწყებთ?**

— დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, განვითარება, განმტკიცება, კონსოლიდაცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვა. ეკონომიკის კულტურის, განათლების, სპორტის, თვითმმართველობისა და სხვა მიმართულებების პრობლემების შესწავლა. საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ანალიზი... ვაცლავ ჰაველისა და სხვა დემოკრატი პოლიტიკოსების პოპულარიზაცია. მასმედიისთვის სხვადასხვა სახის პროდუქციის შექმნა. ვაცლავ ჰაველის პრემიის ან ორდენის დაწესება და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა დაჯილდოება — ესაა ჩვენი მიზნები. საქართველოც ისევე, როგორც ჩეხეთი, თავისი განვითარების ისტორიით, ძველი ევროპაა.

**— თქვენი ძველი თანაგუნდელები, ახალ ხელისუფლებას ბრალს სდებენ ევროპისთვის ზურგისშექცევასა და პრორუსობაში. ამ შეფასებებს იზიარებთ?**

— რუსეთისადმი ჩემი დამოკიდებულება ისეთივეა, როგორიც მოსახლეობის უმრავლესობისა. თუ მისგან სახელმწიფოებრივი „ხეირი“ იქნება, ნებისმიერ კითხვაზე შესაძლებელია მოლაპარაკება. რა თქმა უნდა, რუსეთი თავისი ისტორიითა და ჩვენთან დამოკიდებულებით, დამპყრობელია. თუ 21-ე საუკუნეში რაიმე შეიცვლება, ამაზე უკეთესი არაფერია, თუმცა სკეპტიკურად ვარ განწყობილი. ეკონომიკური ვითარება კი, ნამდვილად უნდა დავალაგოთ, ოღონდ არა პოლიტიკური დათმობების ხარჯზე. დსთ-ში არაფერი გვესაქმება. ისე, 2008 წლის ომამდე არ გამოდიოდა ხელისუფლება დსთ-დან. ესეც ორმაგი თამაშის ერთ-ერთი გამოვლინებაა. 1995 წელს, როცა აფხაზეთზე ვთქვი, კონფედერაცია შევთავაზოთ-მეთქი, ყველამ გამლანძღა. ახლა ხომ ნახეთ, რა დღეში ვართ. ნეტავ, კიდევ საკონფედერაციოდ გვქონდეს საქმე. რომ მეკითხებოდით, ახლა რატომ დაიწყეთ ამ ყველაფერზე საუბარიო, ოდესმე ხომ უნდა დაიწყო?! ეტაპობრივად, ყველა თემას შევეხებით. ჩვენ გვექნება შიდა და საერთაშორისო მხარდაჭერა. იდეალისტი ვარ და არა მატერიალისტი. მესმის, ბევრს ის უფრო აინტერესებს, რა მანქანა ჰყავდეს და რა მიირთვას, მაგრამ უახლეს ისტორიას გადავხედოთ — რამდენი პოლიტიკოსი მოკლეს, რამდენი გააქრეს, ჩაძირეს... ან კოსტავა რატომ მოკლეს ან გამსახურდიასა და ჭანტურიას მკვლელობა გამოიძია ვინმემ? ამაზე რატომ არავინ ფიქრობს და რატომ არავინ ლაპარაკობს?! დავჭამეთ ქართველებმა ერთმანეთი. ყველას რაღაც სივრცის მორგება უნდოდა — ეს ყველაფერი შესასწავლია. ამაზე მხოლოდ 3-4-მა კაცმა თუ ილაპარაკა, წინ ვერ წავიწევთ!

**— ხალხიცა და ახალი ხელისუფლებაც ახლა სხვა თემებითაა დაკავებული. ფიქრობთ, საზოგადოებას დააინტერესებთ და აიყოლიებთ?**

— შევეცდები, მაგრამ არ ვარ მომხრე, პროპაგანდისტად ვიქცე და ვინმეს თავში რაღაც ძალით ჩავუჭედო. ეს არასოდეს მდომებია და ამიტომაც ვიყავი ეროვნულ მოძრაობაში. ჩემი ოჯახის, ჩემი მშობლების მეგობარი იყო მერაბ კოსტავა. თანაც, დედის მხრიდან ბაბუა, სტალინის მსხვერპლი გახლდათ. მიხეილ ზანდუკელი ჩემი დიდი ბაბუა იყო და მასზე მხატვრული ნაწარმოების შექმნა მინდოდა, მაგრამ გამიჭირდა — მისი ჩანაწერები ბოლშევიზმის ეპოქას ასახავს, პირდაპირაა მითითებული იმ ჯალათების გვარები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების წამებაში. ერთი წელი მისი ჩანაწერების გარკვევა-გასწორებას მოვანდომე და გადავწყვიტე, მისი მონათხრობით, წიგნი შევქმნა. პარალელი ბოლო წლებთან რომ გავავლე, გავოცდი — მოვლენათა ასეთი მსგავსება არ მინახავს. თუ რომელიმე რეჟისორს დააინტერესებს, ფილმის გადაღებაც შეიძლება. სხვათა შორის, ამ ნაწერების საჯაროდ გამოტანა უნდოდათ მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას, მაგრამ ბებიას ისე საგულდაგულოდ ჰქონდა გადამალული, მისი სიკვდილის შემდეგ, ძლივს მივაგენი. ბაბუაჩემიც შეთითხნილი ბრალდებით დააკავეს. 3 წელი დაჰყო ციხეში, 1941 წელს ომი დაიწყო და პატიმრები წინა ხაზზე გაუშვეს. მას მერე, ვერც ცოცხალსა და ვერც მკვდარს, ვერსად მივაგენით.

**— არასამთავრობო ორგანიზაციაში თქვენთან ერთად ვის ვიხილავთ?**

— დამფუძნებლები ბევრნი ვართ. ჩვენს გვერდით არიან ადამიანები, რომლებსაც სხვადასხვა საინტერესო საკითხზე აქვთ ნამუშევარი. მაგალითად, თვითმმართველობის შესახებ კანონზე. სხვათა შორის, ახლა ამ კანონპროექტზეც ვმუშაობთ. ვფიქრობთ, საკრებულოს როლი უნდა გაძლიერდეს, ერთმმართველობა უნდა დასრულდეს, პასუხისმგებლობა სხვადასხვა შტოზე გადანაწილდეს და ამით მერის ინსტიტუტი უფრო გაძლიერდეს.

**— ვერ გავიგე, პოლიტიკაში ბრუნდებით თუ სამოქალაქო სექტორში?**

— სამოქალაქო სექტორში, მაგრამ ეს ხელს არ შემიშლის, რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ სიმპათიები მქონდეს.

**— როგორც მივხვდი, თქვენი სიმპათიები ახლა ახალი ხელისუფლებისკენ იხრება?**

— არიან ადამიანები „ქართულ ოცნებაში“, ვისთანაც მექნება ურთიერთობა, თუ პოლიტიკაში დაბრუნება გადავწყვიტე.

## ბიძინა ივანიშვილი: „სააკაშვილი პროფესიონალი მატყუარაა“



„ბი-ბი-სი“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის შესახებ სიუჟეტს ავრცელებს, სადაც ბიძინა ივანიშვილი რამდენიმე საკითხზე, მათ შორის მასა და საქართველოს პრეზიდენტს შორის არსებულ განსხვავებებზე საუბრობს: **„ჩვენს შორის დიდი განსხვავებაა. მთავარი ისაა, რომ ის პროფესიონალი მატყუარაა, დაპირებებს არ ასრულებს. მან შექმნა ტოტალიტარული და არა დემოკრატიული ქვეყანა, რომელთა შორისაც დიდი განსხვავებაა. ჩვენ კი, მისგან განსხვავებით, ჩვენს სიტყვას ვასრულებთ და არ ვიტყუებით“.**

სიუჟეტში, რომელიც დავოსში გამართული მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიმდინარეობისას მომზადდა, „ბი ბი სის“ რეპორტიორი ტანია ბეკეტი აღნიშნავს, რომ პრემიერსა და პრეზიდენტს შორის დაპირისპირება დავოსში ნათლად ჩანდა.

გავლენიან მედიასაშუალებასთან ივანიშვილი რუსეთთან ურთიერთობაზეც საუბრობს და აცხადებს, რომ დავოსში ყოფნისას მისი ერთ-ერთი პრიორიტეტი ორ ქვეყანას შორის ხიდის აგება იყო: **„მთავარი პრიორიტეტი რუსეთთან მიმართებაში არის ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ამის შემდეგ ჩვენი ურთიერთობა ყველაზე დიდ მეზობელთან მეგობრული იქნება“.**

ავტორი სიუჟეტში აღნიშნავს, რომ ქვეყნის სათავეში 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, მილიარდერი ბიზნესმენის, ბიძინა ივანიშვილის მოსვლა პრემიერ-მინისტრის პოსტზე, დარტყმა იყო საქართველოს პროდასავლურ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის.

## დავით კირკიტაძე საპროტესტო აქციებით იმუქრება



ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე პერმანენტული საპროტესტო აქციების გამართვით იმუქრება. მისი განმარტებით, 2013 წელს, რუსთავის ბიუჯეტი, შარშანდელთან შედარებით, 50 პროცენტით შემცირდა; რუსთავის ბიუჯეტმა 2013 წელს 25 მლნ ლარი შეადგინა, რაც 50-პროცენტიანი კლებაა. კირკიტაძის თქმით, ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანაში შექმნილია საბიუჯეტო კრიზისი, ან ადგილი აქვს ახალი ხელისუფლების მხრიდან რუსთავის წინააღმდეგ მიზანმიმართულ ბრძოლას.

გუბერნატორისვე თქმით, ის აქამდე აკვირდებოდა ახალ ხელისუფლებას, არაერთი წერილი და თხოვნა გაუგზავნა პრემიერ ივანიშვილსა და ფინანსთა მინისტრს, რუსთავის 2013 წლის ბიუჯეტის 50 პროცენტით შემცირების გამო. მისი თქმით, ბიუჯეტის შემცირებამ ქალაქისთვის მეტად მნიშვნელოვანი პროექტების შეჩერება გამოიწვია, კერძოდ ლიფტების, შიდა გზების, სახურავების რეაბილიტაციის პროექტები; ასევე კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაციის პროექტი, სპორტის სასახლის, კულტურის სახლისა და საბავშვო ბაღების მშენებლობების პროცესის შეჩერება.

დავით კირკიტაძემ პრემიერსა და ფინანსთა მინისტრს მოუწოდა, დაინტერესდნენ რუსთავით. კონკრეტული პასუხის არმიღებისა და იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პროექტები რუსთავში არ გაგრძელდება და ქალაქის ბიუჯეტს არ დაემატება თანხები, ადგილობრივი ხელისუფლება, კერძოდ „ნაცმოძრაობა“ და მათი გუნდის წარმომადგენლები აღნიშნული მოთხოვნით, აქციებს პერმანენტულად გამართავენ.

***„ინტერპრესნიუსი“***

## ხვნა-თესვის სამუშაოებისთვის ვაუჩერების დარიგება დაიწყება



გაზაფხულზე ხვნა-თესვის სამუშაოების შესასრულებლად საქართველოში 600 000 მცირე ფერმერი მთავრობისგან სპეციალურ ვაუჩერებს მიიღებს. თითო ჰექტარზე ფერმერს ორი ვაუჩერი გადაეცემა. ერთი — 340, მეორე კი —300-ლარიანია... რაც უფრო მეტი იქნება ნაკვეთის მოცულობა, ვაუჩერზე არსებული თანხაც გაიზრდება, თუმცა მას ფულად ვერ გამოიყენებენ. ვაუჩერით მცირე ფერმერებს სპეციალური მომსახურების მიღება შეეძლებათ. 340-ლარიანით ტრაქტორისტები მათ მიწას დაუმუშავებენ — დაუხნავენ და კულტივაციის სამუშაოებს შეუსრულებენ. 300-ლარიანი ვაუჩერით კი მცირე ფერმერები კონკრეტულ რეგისტრირებულ მაღაზიებში მოსავლისთვის საჭირო გვარჯილას, მცენარეთა დაცვის საშუალებებს ან სხვა საჭირო პრეპარატებს შეიძენენ. ჯამში, ერთი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის დასამუშავებლად 640 ლარია გათვალისწინებული. ამის შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, დავით კირვალიძემ განაცხადა:

**„საგაზაფხულო სამუშაოების მოსამზადებელი პროცესი დასრულდა. ძირითადი პრობლემა აღრიცხვიანობა იყო. ახლა არსებობს მონაცემთა ბაზა, რომელიც მომავალი საქმიანობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ყველაფერი საჯარო რეესტრში დარეგისტრირდება... ჩვენ გვყავს 600 000 ბენეფიციარი. ყველა მიიღებს იმ სერვისს, რა დაპირებაც მივეცით“.**

საგაზაფხულო სამუშაოებისთვის საჭირო თანხა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდიდან გამოიყოფა. მილიარდიანი ფონდის ოფიციალური პრეზენტაცია ორ დღეში გაიმართება და პრიორიტეტებიც სწორედ მაშინ იქნება ცნობილი. შესაბამისად, დღეისთვის, ამ ფონდში ფინანსები მობილიზებული არ არის. მიუხედავად ამისა, მინისტრი განმარტავს, რომ დროში ყველაფერი მოესწრება და ეს ვაუჩერების გაცემის პროცესს არ შეაფერხებს. სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით, **„მილიარდიანი ფონდი სახელად ჰქვია, თორემ, ალბათ, სოფლის მეურნეობაზე მეტი თანხა დაიხარჯება“.**

დავით კირვალიძე ამბობს, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად, შეძენილია საკმარისი რაოდენობის ტექნიკა. მისი გარკვეული ნაწილი ადგილზეა მობილიზებული, ნაწილს კი ქვეყანაში მარტის ბოლოსთვის შემოიტანენ. მარტამდე ხვნა-თესვის სამუშაოები არსებული რესურსით დაიწყება. ტექნიკისთვის საჭირო ფინანსებს კი, ბიუჯეტიდან გამოყოფენ.

მცირე ფერმერების სია, რომლებიც ამ პროგრამაში მოხვდნენ, ყველა სოფელშია გამოკრული. მინისტრი მოსახლეობას მოუწოდებს, სიებში საკუთარი თავი გადაამოწმონ. თუკი აღმოჩნდება, რომ ვინმე, შემთხვევით, სიაში არ არის, მათ დაამატებენ. ამის შემდეგ, გადამოწმებული სიები სამინისტროს გადაეგზავნება. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრი აცხადებს, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების დასამუშავებლად ვაუჩერების დარიგება ერთ კვირაში დაიწყება.

*„გურიანიუსი“*



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

# როგორ „მოუტეხა“ დავით კეზერაშვილმა სახელმწიფო ბიუჯეტს 49 392 342 ლარი



## თავდაცვის ექსმინისტრის ბიზნეს-ვნებები

**30 იანვარს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ყოფილი მაღალჩინოსანი დავით კეზერაშვილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების გამო, ბრალდებულად სცნო. გამოძიების მასალებიდან ირკვევა, რომ დავით კეზერაშვილმა, დანაშაულებრივი ჯგუფის დახმარებით, საქართველოში უკანონოდ შემოიტანა 19 868 312 ლიტრი ეთილის სპირტი, ხოლო გადასახადების დამალვის გამო, სახელმწიფო ბიუჯეტი 49 392 341 ლარით დააზარალა. რადგან სამართალდამცავებმა თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი ბრალდებულად უკვე სცნეს, ფაქტია, მისი დაკავების ბრძანებაც ოფიციალურად უნდა გაიცეს. სავარაუდოდ, ასეც მოხდება, მაგრამ ეს პროცესი გაჭიანურდება. შეგახსენებთ, თავდაცვის ექსმინისტრი ისრაელის მოქალაქეა და მას იქაური კანონმდებლობა იცავს.**

ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 214-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით, 338-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, რაც თავისუფლების აღკვეთას, 11-დან 15 წლამდე ვადით ითვალისწინებს“.

### გამოძიების ოფიციალური ვერსია

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:**

„გამოძიებით დადგინდა, რომ დავით კეზერაშვილმა, პირადი სარგებლის მიღების მიზნით, თანხმობა განუცხადა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს — ნიკოლოზ დავითაშვილსა და იოსებ იმნაძეს, რათა გამოეყენებინა მისი პირადი სამსახურეობრივი მდგომარეობა და მფარველობა გაეწია აღნიშნული პირების უკანონო საქმიანობისთვის. კერძოდ, დავითაშვილმა და იმნაძემ განიზრახეს, რომ დადგენილი ტექნოლოგიების უხეში დარღვევით ანუ ყურძნის მასალასთან ეთილის ან სხვა სახის სპირტის შერევითა და ტექნოლოგიური მანიპულაციებით, ეწარმოებინათ ფალსიფიცირებული საკონიაკე სპირტი. ეთილის სპირტისგან, კონიაკის სპირტის მსგავსი სითხის დამზადებით, კონიაკისებური სპირტის თვითღირებულება მცირდება, სამაგიეროდ, მნიშვნელოვნად იზრდება მისი რაოდენობა.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, აღნიშნულმა პირებმა დაარეგისტრირეს შპს „განთიადი“ და შპს „ნაფარეული“. სახელმწიფო გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით, დანაშაულებრივი სქემა შეადგინეს, თუ როგორ უნდა შემოსულიყო ეთილის სპირტი შიდა ბაზარზე ისე, რომ არ მოქცეულიყო იმპორტის დაბეგვრის რეჟიმში.

აღნიშნულ პირებს, ამ საქმიანობაში სჭირდებოდათ სახელმწიფო სტრუქტურათა მაღალჩინოსნების მხარდაჭერა, რომლებიც გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, მფარველობას გაუწევდნენ. ისინი დაუკავშირდნენ ფინანსური პოლიციის იმჟამინდელი უფროსის, დავით კეზერაშვილის დის ქმარს, მეირი ჯანაშვილს, გაანდეს დანაშაულებრივი გეგმა და სთხოვეს შუამდგომლობა დავით კეზერაშვილთან. მეირი ჯანაშვილი მოელაპარაკა დავით კეზერაშვილს, რომ მას სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით, ხელი შეეწყო უკანონო საქმიანობისთვის. იმის ნაცვლად, რომ დანაშაულებრივი სქემის აღსაკვეთად დავით კეზერაშვილს ზომები მიეღო, რადგან იმ პერიოდში ფინანსური პოლიციის უფროსის მოვალეობას ასრულებდა, უკანონო ბიზნესის მფარველობასა და ქრთამის აღებას დათანხმდა. დავით კეზერაშვილი იღებდა ვალდებულებას, საკუთარი ავტორიტეტით, საბაჟო, საგადასახადო და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებზე გავლენა მოეხდინა. თანხმობის მიღების შემდეგ, იმნაძემ და დავითაშვილმა, სპირტის უკრაინულ საწარმოს 480 ტონა ეთილის სპირტი შეუკვეთეს და საქმიანობა დაიწყეს.

2007 წლის 8 იანვარს, 240 ტონა სპირტი, დავით კეზერაშვილის დახმარებით საქართველოში შემოვიდა, რის სანაცვლოდაც, კეზერაშვილმა ქრთამის სახით, 72 000 აშშ დოლარი აიღო. ამავე წლის 5 თებერვალს, აღნიშნულმა პირებმა საქართველოში კვლავ 240 ტონა სპირტი შემოიტანეს, კეზერაშვილმა კი დამატებით ისევ 72 000 აშშ დოლარი აიღო. 2007 წლის 7 თებერვლიდან, 11 მაისის ჩათვლით, საქართველოში 2 445 065 ლიტრი სპირტი შემოიტანეს, კეზერაშვილმა კი ქრთამის სახით, 733 519 აშშ დოლარი აიღო.

2007 წლის მაისის ბოლოს, უკვე თავდაცვის მინისტრმა კეზერაშვილმა, ქრთამის სახით გადასახდელი თანხის გაზრდა მოითხოვა. შესაბამისად, 2007 წლის 8 ივნისიდან, 31 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოში შემოტანილ 3 353 269 ლიტრ სპირტზე 2 011 961 აშშ დოლარი აიღო. 2008 წლის იანვრიდან, კეზერაშვილმა კვლავ გაზარდა ქრთამად მისაღები თანხის რაოდენობა და 2 203 646 ლიტრ სპირტზე, 1 542 552 აშშ დოლარი აიღო. 2008 წლის ოქტომბრიდან, იმავე წლის დეკემბრის ჩათვლით შემოტანილ 410 252 ლიტრ ეთილის სპირტზე კი ქრთამის სახით, 237 946 აშშ დოლარი აიღო.

თავდაცვის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ, დავით კეზერაშვილმა დანაშაულებრივი საქმიანობა გააგრძელა, სათავეში ჩაუდგა ორგანიზებულ ჯგუფს, თავისი ავტორიტეტით, არამართლზომიერ გავლენას ახდენდა საბაჟო სამსახურზე და ხელმძღვანელობდა კონტრაბანდული სპირტის საქართველოში შემოტანას. 163 230 ლიტრი სპირტის შემოტანის შედეგად, 94 673 აშშ დოლარი უკანონოდ მიიღო.

2009 წლიდან — 2012 წლამდე, სხვადასხვა პერიოდში, კეზერაშვილმა კონტრაბანდული საქმიანობის შედეგად, 7 570 032 აშშ დოლარი მიიღო. საერთო ჯამში, დავით კეზერაშვილს, როგორც მოხელეს, ქრთამის სახით, 4 669 978 აშშ დოლარი, ხოლო როგორც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელს ანუ კერძო პირს — 7 664 705 აშშ დოლარი აქვს მიღებული. აღნიშნულ თანხებს კეზერაშვილი შუამავლის, მისი დის მეუღლის და, ამავდროულად, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრის, მეირი ჯანაშვილის საშუალებით იღებდა.

ამ წლების მანძილზე, დანაშაულებრივი მანიპულაციებით, საქართველოში შემოიტანეს 19 868 312 ლიტრი ეთილის სპირტი, გადასახადების დამალვის სახით კი, სახელმწიფომ 49 392 341 ლარი იზარალა. თავად კეზერაშვილმა, უკანონო შემოსავლის სახით, 12 334 683 აშშ დოლარი მიიღო.

### დავით კეზერაშვილის ბიზნეს-ვნებები

ყველაფერი ხორცის ბიზნესით დაიწყო. ამ თემაზე „ვერსიაში“ ჯერ კიდევ 4 წლის წინ ვწერდით. მხოლოდ იმას შეგახსენებთ, როგორ შემოვიდა საქართველოს ბაზარზე ავსტრიული „შირნჰოფერი“. 2006 წლის ზაფხულში, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, „მოულოდნელად“ ღორის ჭირი გაჩნდა და ეს ცხოველი გაწყდა. ამის გამო, ხალხმა სერიოზული ფინანსური და მატერიალური ზარალი განიცადა, რადგან დაავადებული ცხოველის ხორცს ვეღარ გაყიდდნენ და იძულებულები გახდნენ, გაენადგურებინათ. იმავე წლის შემოდგომაზე, საქართველოს ბაზარზე ავსტრიული „შირნჰოფერი“ შემოვიდა. ეს საკმაოდ ავტორიტეტული, სერიოზული კომპანიაა, ამიტომ მისი პროდუქცია ნებისმიერი ქვეყნის ბაზარზე, მხოლოდ პოზიტიურ სიგნალად ითვლება, მაგრამ საქართველოში მისი შემოსვლა დავით კეზერაშვილის სახელს უკავშირდება. მოგვიანებით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოში ღორები მიზანმიმართულად გაწყვიტეს, რადგან „კორმა“, რომლითაც ეს ცხოველები იკვებებიან, მოწამლული იყო.

ხორცის პროდუქტების კომპანია ბიზნესის ერთადერთი სფერო არ ყოფილა, რაც დავით კეზერაშვილის სახელს უკავშირდება. სამიოდე წლის წინ, „ვერსიამ“ დეტალურად გააშუქა სქემა, რომლითაც ნავთობპროდუქტების ბაზარზე კომპანია „გალფი“ შემოვიდა. ამჟამად, საქართველოს მთავარ პროკურატურაში უკვე შეტანილი აქვთ სარჩელები „სენტას“ დამფუძნებელ ზაალ იაკობიძესა და „მაგნატის“ დამფუძნებელ ჯემალ ლეონიძეს, რომლებიც „გალფის“ წარმომადგენლებს, საკუთარი კომპანიების უკანონოდ მითვისების გამო უჩივიან.

„ვერსიაში“ იმასაც ვწერდით, რომ ტრანზიტული ტვირთების კორუფციულ სქემაში, დავით კეზერაშვილიც მონაწილეობდა. საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გია ხუხაშვილმა, „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, ეს კორუფციული სქემა დეტალურად გაშიფრა, მაგრამ შეგახსენებთ, რომ აუცილებელია, ტრანზიტული ტვირთებიდან სახელმწიფომ მაქსიმალური შემოსავალი მიიღოს: **„არსებობს ეჭვი, რომ ტრანზიტული ტვირთების შემოსავლებით, სახელმწიფო კი არა, კონკრეტული ჩინოვნიკები სარგებლობდნენ, რომლებიც ამ ბიზნესში „ატკატების“ სახით მონაწილეობდნენ. ჩვენ ამ ყველაფრის ლეგალიზება გვინდა და ერთ-ერთი ამოცანა, ამ სფეროს კორუფციისგან გაწმენდაა... არ მითქვამს, რომ ყველაზე დიდი დამნაშავეა, მაგრამ დავით კეზერაშვილი დანაშაულებრივი სისტემის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ყველა იმ დანაშაულის თანამონაწილეა, რასაც წინა ხელისუფლება სჩადიოდა. ამ შემთხვევაში, საააკაშვილის ვერტიკალზე ვსაუბრობ, რომელშიც კეზერაშვილი პროცესის თანამონაწილეა“.**

დავით კეზერაშვილი ფლობდა „საქართველოს ლატარიის“ კომპანიასაც. ოთხი წლის წინ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წამახალისებელი პრიზებისა და ლატარიების გათამაშების უფლებაზე გამოცხადებულ ტენდერში, კეზერაშვილის „საქართველოს ლატარიამ“ გაიმარჯვა და, შესაბამისად, სხვადასხვა ტიპის გათამაშებებიც აიკრძალა. მის სახელს უკავშირდება ყბადაღებული „პიქსელის“ შენობა ჭავჭავაძის გამზირზე. „ვერსიაში“ დეტალურად განვიხილეთ ყოფილი მაღალჩინოსნების — ნიკა გვარამიას, ალეკო ხეთაგურის, კახა დამენიას დაკავებისა და ბრალის წაყენების ფაქტები. მოწმეთა ჩვენებებიც გამოვაქვეყნეთ. მოწმეთა შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შპს „ფიუჩარ პროდაქტს კომპანის“ ფინანსური მრჩევლის, ქეთევან ბადაშვილის (დავით კეზერაშვილის მეუღლის, სოფიო ჩიქოვანის ბავშვობის მეგობარი) ჩვენება, რის საფუძველზეც გამოძიება ნიკა გვარამიაზე გავიდა. შპს „ფიუჩარ პროდაქტს კომპანის“ მმართველი მენეჯერი დავით კეზერაშვილია. მის მფლობელობაშია ნავთობკომპანია „გალფი“. „ფიუჩარ პროდაქტს კომპანი“ კი ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე „პიქსელის“ შენობაშია განთავსებული.

## ვერსიანიუსი

### „ქართულ ოცნებაში“ არ არის იმის ადგილი, ვინც შეიძლება, დსთ-ში დაბრუნებაზე პოზიტიურად ფიქრობდეს“



პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი აცხადებს: **„მოკლედ გეტყვით, დსთ-ში ჩემი ადგილი არ არის და „ქართულ ოცნებაში“ არ არის იმის ადგილი, ვინც შეიძლება, ამ თემაზე პოზიტიურად ფიქრობდეს. რაც შეეხება რუსულ პრესაში გავრცელებულ განცხადებებს, მისი საფუძვლების ან მიზეზების ძიება არ არის ჩემი საქმე. ამას თქვენ უკეთ მოახერხებთ. ჩვენი პოზიცია სრულიად მკაფიო და ნათელია“.**

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დსთ-ს ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორის, მიხეილ ევდოკიმოვის განცხადებით, **„საქართველოს წარმომადგენლებთან კონტაქტები უკვე დაწყებულია და თუ დსთ-ში დაბრუნების სურვილს გამოთქვამენ, თანამეგობრობის ყველა სახელმწიფო გადაწყვეტილებას კონსენსუსის საფუძველზე მიიღებს“.**

რაც შეეხება საქართველოსთვის დსთ-ში დაბრუნებაში ხელშეწყობას, ევდოკიმოვმა განაცხადა, რომ **„საქართველო დსთ-დან არავის გაურიცხავს და ეს ამ სახელმწიფოს გადაწყვეტილება იყო“.**

*„პირველი“*



# „შინაგანი პროტესტი ყოველთვის მქონდა, მხოლოდ იმიტომ ვიყავი გაჩუმებული, რომ...“



რუსუდან შელია
პოლიტიკა

**სამართალდამცავებმა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ფარული მოსასმენი და ვიდეოჩამწერი აპარატურა აღმოაჩინეს, რომელიც შსს-ს ოფიციალური განმარტებით, 2006-2010 წლების პერიოდში, შენობების მშენებლობასა და სარემონტო სამუშაოების ჩატარების დროს, უკანონოდ დამონტაჟდა. აღნიშნული აპარატურა საპატიმროებიდან უკვე ამოღებულია. სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე გიგა გიორგაძე კი გვიმტკიცებს, რომ ციხეებში ფარული ჩაწერები აღარ განხორციელდება. ციხეებში ხელისუფლების ახალ პოლიტიკასა და პრეზიდენტის გადაწყვეტილებით დაკომპლექტებულ, პატიმრების შეწყალების ახალ კომისიას, რომლის მუშაობაშიც დეპუტატები მონაწილეობას არ მიიღებენ, კომისიის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე აფასებს.**

## რას აღიარებს „ვერსიასთან“ და რატომ ეპარება ეჭვი სააკაშვილის ლოიალობაში ელენე თევდორაძეს

— პრეზიდენტის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, შეწყალების კომისიის მუშაობაში დეპუტატები მონაწილეობას არ მიიღებენ, ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. ეს პირველი შემთხვევაა, როცა სააკაშვილმა კომისიის შემადგენლობაში საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები არ შეიყვანა. სამწუხაროდ, მიზეზებზე ვერ ვისაუბრებ, პრეზიდენტს კონსულტაცია ჩემთან არ გაუვლია. მეტიც, 2008 წელს, პარლამენტიდან წამოსვლის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილს ერთხელაც არ შევხვედრივარ. შესაძლოა, სააკაშვილმა ჩემი უკმაყოფილება გაითვალისწინა. მისი აპარატის უფროსთან არაერთხელ მივედი პრეტენზიით, რადგან კომისიის წევრი დეპუტატები სხდომებს ხშირად აცდენდნენ, პარლამენტის ქუთაისში გადატანის შემდეგ კი, საერთოდ არ მოდიოდნენ. შესაბამისად, ყოველთვის გვქონდა კვორუმის ჩაშლის საშიშროება.

**— საქმეებს კომისიის წევრების გარეშე იხილავდით?**

— დიახ, ბოლო შვიდი-რვა სხდომა მათ გარეშე ჩავატარეთ.

**— სააკაშვილს ხუთი წლის განმავლობაში რატომ არ შეხვდით?**

— პრეზიდენტთან კონფლიქტი არ მქონია, თუმცა ვფიქრობ, მის მიერ გამოცხადებული ნდობის მიუხედავად, სააკაშვილი ჩემდამი ლოიალურად განწყობილი არ არის. არ მკითხოთ, რატომ, ზუსტად მეც არ ვიცი. უბრალოდ, ვეჭვობ, ასეა. მისივე კომისიის თავმჯდომარესთან შეხვედრის სურვილი ერთხელ მაინც ხომ უნდა გამოეთქვა?!

**— გია ცაგარეიშვილმა კომისიიდან პარლამენტარების ჩამოშორება, პრეზიდენტის პირადი კომფორტის შექმნად შეაფასა და ისიც აღნიშნა, კომისია უმძიმეს დანაშაულში მსჯავრდებულ პატიმრებს მასობრივად ათავისუფლებსო.**

— ცაგარეიშვილის განცხადებები სიმართლეს არ შეესაბამება. მოგიყვებით, რატომ დატოვა მან შეწყალების კომისია, რადგან ცრუობს, როცა ამბობს, ეს გადაწყვეტილება სანდრო გირგვლიანის მკვლელობისთვის ბრალდებული პირების შეწყალების გამო მივიღეო. კომისიას გირგვლიანის საკითხზე საერთოდ არ უმსჯელია. მეტიც, როცა მის მკვლელობაში ბრალდებულები ავჭალის კოლონიაში გადაიყვანეს, მათთან მივედი და ვუთხარი, ჩვენი რეკომენდაციის იმედი არ გქონდეთ-მეთქი. უბრალოდ, ცაგარეიშვილმა, სხდომაზე პატიმრების საქმეების განხილვისას შეიტყო, რომ მსჯავრდებულებთან დაკავშირებით, ჩვენი რეკომენდაციები პრეზიდენტთან სახეშეცვლილი შედიოდა. სამწუხაროდ, მაშინ მართლაც, საკმაოდ ცუდი პრაქტიკა იყო დამკვიდრებული. საქმეები პროკურატურაში ისე იცხრილებოდა, პრეზიდენტამდე აბსოლუტურად სხვა სია შედიოდა. შეცვლილ სიაში, ჩვენგან რეკომენდირებული 100 პატიმრიდან, ალბათ, სამი თუ მოხვდებოდა.

**— გამოდის, კომისიას მხოლოდ ფორმალური სახე ჰქონდა.**

— სამწუხაროდ, კომისია მართლაც, ფორმალური იყო. შინაგანი პროტესტი ყოველთვის გამაჩნდა, მხოლოდ იმ მიზეზით ვიყავი გაჩუმებული, რომ ასიდან თუნდაც 4-5 პატიმრის ციხიდან გათავისუფლება შეგვეძლო. დღეს პროკურატურა სიის წარდგენას არ ითხოვს, ესე იგი, კომისიას სრულფასოვანი სახე მიეცა. პრინციპებისთვის არასოდეს გვიღალატია, არც რეციდივისტებსა და მკვლელებზე გავცემდით რეკომენდაციას. რაც შეეხება საშიში კრიმინალების შეწყალებას. გაგახსენებთ — სოზარ სუბარმა, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის ბრალდებული 84 პატიმრის შეწყალების განცხადებით, პრეზიდენტს პირადად მიმართა. საშინელი სია იყო — რვა მკვლელობაში მსჯავრდებული, რეციდივისტები, „ბარიგები“... სუბარის რეკომენდაციით გათავისუფლებულმა პატიმარმა, ორი დღის შემდეგ ადამიანი დაჭრა.

**ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში, შეწყალების კომისიამ მხოლოდ ერთხელ გადაუხვია პრინციპებს, რასაც დღემდე არ ვახმაურებდი და პირველად თქვენ გეუბნებით. გიორგი ალიმონაკს, რომელსაც არც ნახევარი წელი ჰქონდა მოხდილი და მკვლელობაშიც ბრალდებული იყო, რეკომენდაცია მივეცი, რადგან დღემდე დარწმუნებული ვარ, რომ უდანაშაულოა.**

**— ამ განცხადების შემდეგ, არაერთი პატიმარი მოგთხოვთ მათი საქმეების განხილვის შემთხვევაშიც გამონაკლისის დაშვებას.**

— ეს სხვა შემთხვევა იყო. ალიმონაკის საქმეს მისი დაკავების დღიდან ვიცნობ. როცა თეა წულუკიანი სტრასბურგში მუშაობდა, განაცხადა, რომ ის უდანაშაულო იყო. ალიმონაკის შეწყალების რეკომენდაციის გაცემამდე, დაზარალებულებისგან გარანტიები ავიღე.

**— რამდენიმე დღის წინ, შსს-მ ციხეებში უკანონოდ დამონტაჟებული ფარული მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინა. ამ ფაქტს როგორ აფასებთ?**

— ციხეში თვალთვალი დაშვებულია, თუმცა არა საკნებში. რა თქმა უნდა, ვიდეოკონტროლი აუცილებელია, ციხეში ჩხუბის ფაქტები რომ აღკვეთო, დააკვირდე, სამართლის ფარგლებში მოქმედებს თუ არა ზედამხედველი... ის ფაქტი, რომ მოსასმენი აპარატურა საკნებში იყო დამონტაჟებული, სერიოზული დარღვევაა. საპატიმროებში ხშირად დავდიოდი, შიგნით არსებული ვითარების შესახებ ბევრი რამ ვიცი — პატიმრებს ციხის ადმინისტრაცია თანამშრომლობას სთხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დადებით რეკომენდაციას არ აძლევდნენ. ციხის ბიბლიოთეკაში მუშაობდა პროფესორი, რომელსაც უარყოფითი დახასიათება მისცეს, რადგან საკანში მასთან ერთად მყოფი პატიმარი არ დაასმინა და პროვოკაციაზეც არ წამოაგო. მსგავსი უკანონო ფაქტები იყო მიზეზი, დანაშაულის სწრაფად გახსნას რომ ახერხდებდნენ და ეს მეთოდი საშინელებაა. ციხეებში პატიმრები მაფრთხილებდნენ, გავიგეთ, მოსასმენი აპარატურა იმ ოთახში შეაქვთ, სადაც თქვენ შედიხართო, რის გამოც სერიოზული განგაში ავტეხე, ოთახი შეამოწმეს, მაგრამ იქ არაფერი აღმოჩნდა. დააკანონე და ისე გააკეთე ეს ყველაფერი, არ შეიძლება?!

**— ანუ უკეთესი იქნებოდა, პატიმრები გაეფრთხილებინათ საკნებში დამონტაჟებული ვიდეოთვალთვალის შესახებ?**

— ეს, უშუალოდ, სამინისტრომ და ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს. უსაფრთხოება ისე უნდა დაიცვა, სხვისი, თუნდაც პატიმრის უფლებები არ დაარღვიო. ახლა ვითარება რადიკალურად შეცვლილი მეჩვენება. ვაკვირდები, მედიაში ზეწოლა არ იგრძნობა, არც აქციებსა და საპროტესტო გამოსვლებს არბევს ვინმე, ადამიანებს საშუალება მიეცათ, საკუთარი უფლებების დასაცავად იბრძოლონ, რასაც საზოგადოება წინა ხელისუფლების პირობებში ვერ ახერხებდა. გაბატონებული იყო შიში, რომ პროტესტის გამოხატვას, პოლიციაში თავის ამოყოფა მოჰყვებოდა.

**— თუ ყველაფერს ამჩნევდით, რატომ არ აპროტესტებდით. დღემდე, „ნაცმოძრაობის“ გუნდის წევრად მოიაზრებით. ამ განცხადებების შემდეგ მათ გულისწყრომას არ დაიმსახურებთ?**

— არა. 2008 წლამდე პარლამენტში ხშირად გამოვდიოდი კრიტიკული განცხადებებით. არ ვამბობ, რომ ახალი ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს ვიწონებ, ამ დასკვნამდე მისასვლელად დრო კიდევ მჭირდება, უბრალოდ, მივესალმები, რომ ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, ვითარება საგრძნობლად გამოსწორდა. სხვათა შორის, ევროსაბჭოს რეზოლუციასაც არ ვემხრობი და მიმაჩნია, რომ ბოლომდე სამართლიანი არ ყოფილა.

**— ევროსაბჭოს ბოლო სხდომაზე თედო ჯაფარიძემ აღიარა, რომ „ქართული ოცნების“ მიმართ იქ უარყოფითად არიან განწყობილნი. ივანიშვილი კი აცხადებს, „ნაცმოძრაობას“ დასავლეთი შეცდომაში შეჰყავსო. იზიარებთ მის აზრს?**

— 9 წელი ევროსაბჭოს დელეგაციის წევრი ვიყავი, მაგრამ რუსეთის მიერ ორგანიზებულ მიღებაზე, არაერთი შემოთავაზების მიუხედავად, არასოდეს მივსულვარ. როგორც ვიცი, ევროსაბჭოში თედო ჯაფარიძე ხვდებოდა რუსული დელეგაციის ახალ ხელმძღვანელებს, რომლებსაც პირადად, მე, ვერ ვიტან. მახსოვს, მე და ბოკერიამ, ომამდე მათთან მოლაპარაკება დავიწყეთ, რათა სადეპუტატო მემორანდუმი შემდგარიყო. ბოკერიამ მათ ტექსტის გამზადება შესთავაზა, რომელიც შემდეგ, ჩვენ უნდა შეგვესწორებინა. რუსული მხარის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულება საკმაოდ ნორმალური იყო, მაგრამ გიგას ვუთხარი, რომ ხელშეკრულებაში ბოლო პუნქტად ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მიგვეთითებინა. ასეც გავაკეთეთ, თუმცა შესწორებულ ვარიანტს რუსულმა დელეგაციამ ხელი არ მოაწერა. ამიტომ ვამბობ, რუს პოლიტიკოსებთან დიდი სიფრთხილე გვმართებს.

### „იმედია, ახალი ელჩები წინამორბედების პროფესიონალიზმს აღიარებენ“



საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე იმედოვნებს, რომ ახალ ელჩებს ეყოფათ სინდისი და რამდენიმე თვეში, წინამორბედების პროფესიონალიზმს დაადასტურებენ:

**„ამ ადამიანების უმრავლესობას საგარეო საქმეთა სამინისტროდან ვიცნობ. მათ, დიდი ნაწილი იყო ელჩი წინისწინა ხელისუფლების ანუ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში. მათი შეფასება, ჯერჯერობით, არაკორექტული იქნება, ვინაიდან კანდიდატურები არ დამდგარა. უბრალოდ, დღეს, პროცესს სხვა მხრიდან შევაფასებ — ის ელჩები, რომელთა გამოწვევაც დღეს ასე საჩქარო წესით ხდება, საქართველოს ძალიან ღირსეულად და პროფესიონალურად წარმოადგენდნენ იმ ქვეყნებსა და ორგანიზაციებში, სადაც იყვნენ აკრედიტირებულნი. როდესაც ახალი ელჩები საკუთარი აკრედიტაციის ადგილას ჩაბრძანდებიან და მოიკითხავენ, მაგალითად, ბრიუსელში როგორ მუშაობდა სალომე სამადაშვილი, როგორ მუშაობდა ლონდონში გიორგი ბადრიძე და ა.შ. დარწმუნებული ვარ, ჩვენს ახალ ელჩებს ეყოფათ იმის სინდისი და კეთილგონიერება, აღიარონ, რომ საქართველოს ძალიან კარგი ელჩები ჰყავდა. აქედან გამომდინარე, არ ვარ დარწმუნებული, ის გადაწყვეტილება, რაც მიღებული იქნა ელჩების სასწრაფო წესით გამოწვევასთან დაკავშირებით, რაიმეთი გამართლებულია. მესმის, ახალ ხელისუფლებას აქვს ინტერესი, პარტიული ერთგულებით დააკომპლექტოს დიპლომატიური კორპუსი, მაგრამ ის, რაც კარგია პარტიულად, შეიძლება, სახელმწიფოსთვის ცუდი იყოს. მინდა, ცალსახად დავაფიქსირო, ელჩების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს და არა „ნაცმოძრაობას“ ძალიან ღირსეულად წარმოადგენდნენ. იმედია, რამდენიმე თვის შემდეგ ახალი ელჩები ჩემს ამ სიტყვებს დაადასტურებენ“.**

### „საგარეო კურსის კანონით განსაზღვრა აუცილებელი არაა“



ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე მიიჩნევს, რომ საქართველოს საგარეო კურსის შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის არსებობა აუცილებელი არ არის: **„არ ვიცი მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა, სადაც ქვეყნის პოლიტიკური კურსი კანონითაა დამტკიცებული. მეჩვენება, რომ ეს იმისთვის არის ნათქვამი, „ნაცმოძრაობამ“ დასავლეთის თვალში ქულები დაიწეროს. კონსტიტუციაში რომ ჩაწერო, მხოლოდ დასავლეთი მინდაო, დასავლეთმა კი გამოაცხადოს, კავკასიის რეგიონი ჩემი ინტერესის სფეროს არ წარმოადგენსო, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. საგარეო კურსის შესახებ ქვეყნის განვითარების დოქტრინაში თუ ჩაიწერება, მისასალმებელია“.**

*„პირველი“*

## ვერსიანიუსი

### პრეზიდენტი დებატებისთვის მზადაა



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, მზადაა, პარლამენტში გამოსვლისას, კითხა-პასუხისა და დებატების ფორმატში მიიღოს მონაწილეობა, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საპარლამენტო უმცირესობის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განუცხადა. მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილი საგაზაფხულო სესიის გახსნის პირველივე კვირას მივა პარლამენტში, მოხსენებით წარსდგება და დებატების ფორმატში მონაწილეობის მზადყოფნასაც გამოთქვამს: **„ასეთი მზადყოფნა პრეზიდენტის მხრიდან არსებობს, დანარჩენი, რა და როგორ იქნება ბიუროს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. ჩვენ მზად ვართ, უმრავლესობასთან მომავალი კვირიდან აქტიური კონსულტაციები გავმართოთ, რათა პრეზიდენტის გამოსვლის ფორმატსა და დეტალებზე შევთანხმდეთ“.**

*„პირველი“*

# მძღოლების უმრავლესობამ გაფიცვა შეწყვიტა!




ნელი თორდია

**ყვითელი სამარშრუტო ტაქსების გაფიცვიდან მეშვიდე დღეს, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ ქონების დაყადაღება დაიწყო. გავრცელებული ინფორმაციით, დაყადაღებულია კომპანიის 153 ერთეული მანქანა, რაც „თბილისის მიკროავტობუსის“ მხრიდან თიბისი ბანკის მიმართ არსებული 2-მილიონიანი საკრედიტო დავალიანების გამო მოხდა. მანქანების დაყადაღების პარალელურად, გაფიცულთა საინიციატივო ჯგუფი ავრცელებს ინფორმაციას გაფიცვის შეწყვეტის შესახებ. ერთ-ერთი ვერსიით, გაკოტრების საფრთხემ კომპანიის ხელმძღვანელობა აიძულა, მძღოლების ყველა მოთხოვნას დათანხმებოდნენ. თავის მხრივ, მძღოლებმა პირობა დადეს, რომ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მარტიდან ახალი აქციებით „გაგვახარებენ“.**

სამარშრუტო ტაქსების მძღოლები „თბილისის მიკროავტობუსის“ ხელმძღვანელობისგან დღიური გეგმის შემცირებას, ინდმეწარმის სტატუსის გაუქმებას, სამუშაო პირობების გაუმჯობესებასა და გათავისუფლებული მძღოლების სამუშაოზე დაბრუნებას მოითხოვენ.

„ვერსიის“ ინფორმაციით, ერთკვირიანი გაფიცვის დასრულების მთავარი მიზეზი ფინანსური პრობლემების გამო, მძღოლებს შორის დაწყებული უთანხმოება გახდა. უმუშევრად და შესაბამისად, უფულოდ დარჩენილი მძღოლების ნაწილმა მუშაობის გაგრძელება გადაწყვიტა, თუმცა გაფიცული მძღოლების მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობასა და მუქარას წააწყდა. რამდენიმეჯერ დაპირისპირება ხელჩართულ ჩხუბშიც გადაიზარდა. გაფიცვის შეწყვეტის ინიციატორებს ცხვირ-პირის გარდა, მანქანების დამტვრევითაც დაემუქრნენ. როგორც გავარკვიეთ, ნაცემია ორი მძღოლი. ცემას გადარჩენილებმა შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი საკუთარი მანქანით ტაქსაობაში იპოვა, ნაწილი კი ყვითელი „ფორდების“ შემოყვანამდე, არსებული მიკროავტობუსებით მგზავრთა გადაყვანას შეუდგა.

სანამ მძღოლთა ერთი ნაწილი შემოსავლის მოძიებას სხვადასხვა ალტერნატიული გზებით ცდილობდა, მეორე ნაწილი მერიასა და კომპანია „თბილისის მოკროავტობუსთან“ მოლაპარაკებებში ჩაერთო ისევე, როგორც ავტობუსების გაფიცვის შემთხვევაში, სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა ოფიციალურ პირებთან მედიატორობა საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, **სოსო ჯაჭვლიანს** სთხოვეს. პარლამენტარი „ვერსიასთან“ საუბარში აცხადებს, რომ მძღოლების აქციაზე მათი თხოვნით მივიდა და მისი მიზანი სიტუაციის „არევა“ კი არა, მოწესრიგება იყო. სოსო ჯაჭვლიანი ქალაქის მერს მოუწოდებს გაუწონასწორებელი განცხადებების გაკეთებასა და სიტუაციის გამწვავებას თავი დაანებოს.

**„როცა ხალხის რჩეული ხარ და ხალხი გეძახის, ვალდებული ხარ, მიხვიდე. გაფიცულმა მძღოლებმა რადიოთი და ტელევიზიით გააჟღერეს, რომ ჩემთან შეხვედრა სურდათ და რა უფლება მქონდა, არ მივსულიყავი? გუშინ მერიასთან შეკრებილ მძღოლებთან მივედი, სადაც ლაშა ჩხარტიშვილი და საინიციატივო ჯგუფის 10 თუ 12 წევრიც იმყოფებოდა. დიდი ხვეწნისა და გაწევ-გამოწვის შემდეგ, შევხვდით ტრანსპორტის სამსახურის უფროსს, აკაკი ჯოხაძეს. უგულავამ მობრძანება არ იკადრა. ის ხომ იმდენად დიდია და უბრალო, რომ ამ უბრალოებაშია მისი კდემამოსილება და ნაძირლობა. ჯოხაძეს ვუთხარით, რომ ხალხი დაიღალა უტრანსპორტობით და ორივე მხარემ რაღაც უნდა დათმოს. გაფიცული მძღოლების საინიციატივო ჯგუფი თავის პირობებს წამოაყენებს და თუ ისინი კომპანიისთვის მისაღები იქნება, მოძრაობა უნდა განახლდეს-თქო. თურმე, სანამ ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებდით, გიგი უგულავა პირდაპირ ეთერში აცხადებდა, ჯაჭვლიანი არჩევნებამდე დაინტერესდა სამარშრუტო ტაქსების წილებით და ახლაც რაღაცას სპეციალურად ურევსო. რომელი წილებით დაინტერესებაზე ლაპარაკობს ქალაქის ნაძირალა მერი? მე კაცისთვის შეურაცხყოფა არასოდეს მიმიყენებია, მაგრამ უგულავა ჩვეულებრივი ქურდია და ამიტომ ვურჩევ: გიგი, დამუწე პირი და ენას კბილი დააჭირე! სანამ ქალაქის ტრანსპორტის უფროსთან სამარშრუტო ტაქსების მოძრაობის აღდგენაზე მოლაპარაკებას ვაწარმოებდით, უგულავა ცეცხლზე ნავთს ასხამდა, საკუთარი შეცდომები სხვებისთვის რომ გადაებრალებინა“,** — აცხადებს ჯაჭვლიანი.

„ვერსიასთან“ საუბარში უმრავლესობის წევრმა უგულავას „ძველი ცოდვებიც“ გაუხსენა.

**„მერიის შიდა ინსპექციების ჯარიმის ქვითრები ვნახე, რომელიც არსადაა დაფიქსირებული. მარტო ერთი ავტობუსების პარკიდან, თვეში, 18 000 ლარი ჯარიმის სახითაა აკრეფილი. ისეთი კაბალური ხელშეკრულებები აქვთ მძღოლებთან დადებული, რომ ალბათ, ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ტრანსპორტშიც. ამათგან რა გასაკვირია? უგულავა იმ ადამიანების თანამოაზრეა, რომლებიც ცოცხებითა და „დუბინკებით“ ხდიდნენ ნამუსს მთელ საქართველოს. ახლა ხალხმა ნახა, რომ ნორმალური მთავრობა მოვიდა, რომელსაც შეიძლება პრობლემებზე დაელაპარაკო და ეს ვერ მოუნელებია“.**

სანამ მერია და მძღოლები ურთიერთობას არკვევენ, აღსრულების ეროვნული ბიურო მიკროავტობუსებს აყადაღებს. ბოლო მონაცემებით, დაყადაღებულია 153 მიკროავტობუსი და დავალიანების დროულად, 10 დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში, დაყადაღებული მანქანები აუქციონზე გავა.

მიკროავტობუსების დაყადაღებას სამარშრუტო ტაქსების მოძრაობის აღდგენისთვის დამაბრკოლებელ გარემოებად არ მიიჩნევს მძღოლთა ასოციაცია „ტასატის“ თავმჯდომარე **ნიკოლოზ კაჭკაჭური**, რომელიც აცხადებს რომ დასახელებული რაოდენობა მანქანების მთლიანი შემადგენლობის 4%-ზე ნაკლებია და მგზავრების გადაყვანის პროცესს არ შეაფერხებს. კაჭკაჭურის განმარტებით, ერთკვირიანმა გაფიცვამ მგზავრებიც, მძღოლებიცა და კომპანიის ხელმძღვანელობაც იმდენად დააზარალა, რომ შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი გაფიცვის შეწყვეტაა. **„უმუშევრად დარჩენილ მძღოლებს სახლში პურის ფული რომ მიეტანათ, გამოსავლის ძიება დაიწყეს. შევამჩნევდით, რომ ბოლო გაჩერებებზე ტაქსები დგანან და მეტროს სადგურებამდე „მარშრუტკის“ ფასად გადაჰყავთ მგზავრები. ტაქსაობამაც არ გაამართლა, რადგან ამ დღეებში მთელი საქართველო თბილისში „ტაქსაობს“. მერე ზოგიერთებმა ძველი მიკროავტობუსებით მგზავრების გადაყვანა სცადეს, მაგრამ საპატრულო სამსახურებს კანონდარღვევა არ გამოეპარათ და „ვარკეთილის“ მეტროსთან „ლევად“ მომუშავე მიკროავტობუსის მძღოლი 500 ლარით დააჯარიმეს. მოკლედ, სანამ მოძრაობა არ აღდგება და საგადასახადო სამსახურებთან ვითარება არ მოწესრიგდება, არაფერი გვეშველება. აუცილებელია, პარლამენტმა დადგენილება მიიღოს საშემოსავლო სამსახურების მიერ დაწესებულ ფიქსირებულ გადასახადზე. მთავარია, ეს პროცესები დაჩქარდეს, თორემ ხალხი უკვე ერთმანეთს გადაეკიდა. 1 თებერვალს თუ მანქანები ხაზზე არ გავლენ, ჩათვალეთ, მძღოლებს შორის, ომი დაიწყება... უკვე მგზავრებიც გამოხატავენ აგრესიას. ბევრი აცხადებს, საერთოდ აღარ ავალ სამარშრუტო ტაქსებში და როგორც ერთი კვირა გვაწვალეს, ისე იწვალეთ უმგზავრებოდ. ზოგი ამბობს, სანამ ტაქსებში გადაყრილ ფულს არ ამოვიღებთ, „მარშრუტკას“ ფულს არ გადავუხდითო. მოკლედ, ხალხი დაუპირისპირდა ერთმანეთს და სანამ უმართავი პროცესები დაწყებულა, მდგომარეობა უნდა განიმუხტოს. ხვალიდან მანქანები ხაზზე გავლენ. დანარჩენს დრო გვაჩვენებს“.**

**კომპანიასა და სამარშრუტო ტაქსის მძღოლებს შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, ეს უკანასკნელები თებერვალში 25%-ით ნაკლებ გადასახადს გადაიხდიან, ხოლო მარტიდან მათთვის ყოველდღიური გეგმის ახალი ოდენობა განისაზღვრება. რაც შეეხება ინდმეწარმის ყბადაღებულ სტატუსს, მძღოლები აქაც ცვლილებებს ელიან, რადგან უკვე მუშავდება კანონპროექტი, რომლის თანახმად, სამარშრუტო ტაქსის მძღოლები გადაიხდიან ინდმეწარმეობის 30%-ით შემცირებულ გადასახადს, რომელიც 10 ლარის ოდენობით განისაზღვრება.**

მიღწეული შეთანხმებისა და იმის მიუხედავად, რომ მძღოლების დიდი ნაწილი მზადაა სამუშაოზე გასასვლელად, მაინც რჩება ნაწილი, რომელიც გაფიცვის შეწყვეტას არ აპირებს. ისინი დღეს კვლავ გეგმავენ აქციის გამართვას. ამ ფონზე, ზოგს ეჭვიც გაუჩნდა, რომ პროცესს უკვე პოლიტიკოსები, საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის იყენებენ და არასწორი მიმართულებით ცდილობენ მუხტის წაყვანას. მიუხედავად ამისა, მძღოლთა ასოციაციის წარმომადგენლების მტკიცებით, დღეს, მძღოლები ოთხივე ფარეხიდან მანქანებს გამოიყვანენ და მუშაობას შეუდგებიან.

## „გენერალი გიორგი კალანდაძე მოწმეებზე ზეწოლას ცდილობს“



იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადებით, **„არსებობს ინფორმაცია, რომ გენერალი გიორგი კალანდაძე მოწმეებზე ზეწოლას ცდილობს, მას შემდეგ, რაც მან მოსამართლისგან გირაოს შესახებ გადაწყვეტილება დაუმსახურებლად მიიღო. არადა, წინასწარი პატიმრობა არ ნიშნავს, თითქოს ადამიანი იუსტიციის მინისტრმა ან ვინმემ დამნაშავედ სცნო, არამედ გამოძიებას პირი სჭირდება თავისთან, რომ ამ ადამიანმა არ გაანადგუროს მტკიცებულებები ან არ იაროს რაიონრაიონ, როგორც ამას კალანდაძე აკეთებს. ამას კიდევ გადავამოწმებ, თუმცა რადგან ვამბობ, ე.ი. საფუძველი მაქვს“.**

***„პირველი“***

## სირია ნადგურდება!



გაერო-ს უშიშროების საბჭოს წინაშე გამოსვლისას, სირიაში გაერო-ს სპეციალურმა წარმომადგენელმა ლაკდარ ბრაჰიმმა განაცხადა, რომ კრიზისმა „უპრეცედენტო დონეს“ მიაღწია და ქვეყანა „ნადგურდება“, რაც მთელ რეგიონს არასტაბილურობით ემუქრება.

მის გამოსვლამდე ალეპოში ათობით გარდაცვლილი მამაკაცის ცხედარი იპოვნეს. ბრაჰიმი ქვეყანაში არსებული მდგომარეობის დარეგულირებას აგვისტოდან ცდილობს, მას შემდეგ, რაც ეს თანამდებობა გაერო-ს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა დატოვა. გაერო-ს მონაცემებით, ორი წლის წინ დაწყებულ კონფლიქტს 60 000 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა.

გამოსვლისას ბრაჰიმმა ქვეყანაში არსებულ კრიზისში პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადთან ერთად, შეიარაღებული ოპოზიციაც დაადანაშაულა: **„ობიექტურად ისინი სირიის ნგრევაში ერთმანეთს ეხმარებიან. ქვეყანა ნაწილ-ნაწილ ნადგურდება“.**

***„პირველი“***

## Amazon-მა 2012 წელი ზარალით დაასრულა

მსოფლიოში უმსხვილესი ონლაინ-მაღაზიის Amazon.com-ის მფლობელი კომპანიის, Amazon.com Inc-ის სუფთა წაგებამ 2012 წელს, 39 მილიონი დოლარი შეადგინა.

ერთი წლით ადრე კი, მან 631 მილიონი დოლარის მოგება მიიღო.

შარშან Amazon-ის საოპერაციო მოგება 21%-ით შემცირდა და 676 მლნ შეადგინა. შედარებისთვის: წინა წელს ეს მაჩვენებელი 862 მლნ დოლარს აღწევდა. ამასთან, გაყიდვების მოცულობა 27%-ით გაიზარდა და 61,09 მილიონ დოლარს გაუტოლდა. ფინანსურ მონაცემებს თავად ამერიკული კომპანია ავრცელებს. 2012 წლის მეოთხე კვარტალში „ამაზონის“ სუფთა მოგება 45%-ით, 97 მილიონამდე შემცირდა. გაყიდვების მოცულობა კი 22%-ით გაიზარდა.

***„კომერსანტ.გე“***

# „პირდაპირ გეტყვით, ბენდუქიძემ წინა ხელისუფლება მოატყუა და გააბრიყვა“



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

**ყოფილი ბიზნესმენი და ახლა უკვე დეპუტატი გოგი თოფაძე, საპარლამენტო უმცირესობის საკანონმდებლო ინიციატივას — საგადასახადო და ფინანსური ამნისტიის შესახებ, მხარს არ დაუჭერს. „ვერსიასთან“ ინტერვიუში, გოგი თოფაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნაციონალური მოძრაობის ეს ინიციატივა ქართული ბიზნესის მხარდაჭერისთვის გადადგმული ნაბიჯი კი არა, პიარ-კამპანიაა იმ ბიზნესმენების გადასარჩენად, რომლებიც წინა ხელისუფლებასთან ასოცირდებოდნენ.**

— არ უნდა ვამბობდე, რომ საგადასახადო და ფინანსური ამნისტიის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ თუ წინა ხელისუფლება ამნისტიაზე ფიქრობდა, რა უშლიდა ხელს, დროულად განეხორციელებინა? ეს ინიციატივა მხოლოდ პოლიტიკური პიარ-კამპანიაა, რადგან ჩვენ, დამოუკიდებელი ბიზნესმენები, რომლებიც მათთან ასოცირებულები არ ვიყავით, უკვე „მოწველილები“ ვართ. „ნაცმოძრაობას“ ფინანსური ამნისტია საკუთარი, ნომენკლატურული ბიზნესმენებისთვის სჭირდება. გამოდის, წინა ხელისუფლებასთან ასოცირებულ ბიზნესმენებს გადაუხდელი მილიონები უნდა ვაპატიოთ, მაგრამ ვინ შეარჩენს რიგით მეღვინეს ან კონსერვის მწარმოებელს, თუნდაც გადაუხდელ 1 ლარს? წინა ხელისუფლების პირობებში, 21 სასამართლო პროცესი მქონდა და ყველა წამაგებინეს. გადასახადებსაც ვიხდიდი, მაინც მაჯარიმებდნენ. ჩემს კოლეგასა და კონკურენტს, რომელსაც არაფერი გადაუხდია, რატომ უნდა ვაპატიოთ? კიდეც რომ ვაპატიოთ, ჩვენ თანაბარ პირობებში ვიქნებით? ზოგადად, ფინანსური ამნისტია საკმაოდ საინტერესო თემაა და 15 წელია, ყველა ხელისუფლებას ამ თემაზე ვეკამათები. ჯერ კიდევ მაშინ ვუჭერდი მხარს ამნისტიას, როცა ახალ საგადასახადო კოდექსზე დავიწყეთ მუშაობა და ვთქვით, რომ ეს კოდექსი ქვეყნის ეკონომიკას დააქცევდა და დააქცია კიდეც.

**— იმის თქმა გინდათ, რომ საგადასახადო კოდექსი არ ვარგა და შესაცვლელია?**

— დიახ, რადგან ეს კოდექსი ისეთია, მეწარმე იქნება, ბიზნესმენი, ბანკისა თუ ვაჭრობის თანამშრომელი, ვერაფრით დაიზღვევს თავს, თუ მასთან შემოწმებაზე შევლენ. კანონის მიხედვით, შემმოწმებელს ისეთი უფლებები ჰქონდა, თუ ხელისუფლების პარტნიორი არ იყავი, ჯარიმას ვერ გადაურჩებოდი. მაგალითს გეტყვით, „ყაზბეგი“ დიდი კომპანიაა, რომელსაც ორი იურიდიული და ორი აუდიტორული კომპანია ემსახურება. წინა ხელისუფლების პირობებში, ამდენი შემოწმებით რომ შევწუხდი, დავიბარე მათი წარმომადგენლები და ვუთხარი, დიდი ხანია ერთად ვმუშაობთ, ჩვენი სისტემა კარგად იცით, ნებისმიერ ხელფასს გადაგიხდით, ბუღალტერიაც თქვენი იყოს, ფინანსებიც, მარკეტინგიც, ოღონდ შემოწმებაზე რომ შემოვლენ,



## რატომ ითხოვს ეკონომიკის ყოფილი მინისტრის დასჯას, რაში ადანაშაულებს გამგებლებს და რატომ არ დაუჭერს მხარს ფინანსურ ამნისტიას გოგი თოფაძე?

თქვენ ესაუბრეთ და გარანტია მომეცით, რომ არ დავისჯები. ვერც ერთმა გარანტია ვერ მომცა. წარმოგიდგენიათ, რა პირობებში იქნებოდა მეწარმე, რომელსაც პატარა ჯიხური ან კაფე ჰქონდა? ამიტომ ვამბობ, რომ საგადასახადო კოდექსის შეცვლა აუცილებელია, რადგან არ შეიძლება, ორმაგი მუხლები არსებობდეს, რომელსაც საგადასახადოს წარმომადგენელი მხოლოდ თავის სასარგებლოდ იყენებს. წინა ხელისუფლებამ ისეთი კანონები მიიღო, საქართველოში მცხოვრებ ადამიანს საქმის კეთების სურვილი მოუკლა. ხალხიცა და წარმოებაც სტაგნაციაში ჩააგდო. ბოლო წლებში, საქართველოში საქმიანი აქტიურობა ჩაკვდა, რამაც სავალალო ეკონომიკური მდგომარეობა შექმნა. გზა მაშინ გეხსნებოდა, თუ ხელისუფლებასთან იყავი ასოცირებული. მაგალითად, იმპორტს განახორციელებდი, მაგრამ საბაჟო გადასახადებს არ გადაიხდიდი. როდესაც ქვეყანაში პროიმპორტული პოლიტიკა დაიწყო, ჩვენი სოფლის მეურნეობა და ადგილობრივი წარმოება განადგურდა. „ყაზბეგი“ ჰოლდინგური კომპანია იყო, თამბაქოსაც აწარმოებდა, არაყსაც და ქართულ ჩაისაც, მაგრამ ყველაფერი დაგვიხურეს, გაგვაჩერეს. იმპორტიორებს ვუშლიდით ხელს. არადა, სოფლის მეურნეობისა და წარმოების განვითარების გარდა, ხალხს ვერ დაასაქმებ. წინა ხელისუფლებამ მიზანმიმართულად მოკლა სოფლის მეურნეობა, რადგან მათი ეკონომიკური მრჩეველი კახა ბენდუქიძე იყო. თუ ამ ადამიანს პასუხი არ მოვთხოვეთ, ქართველი ხალხი და საზოგადოება არ გვაპატიებს. ბენდუქიძემ სოფლის მეურნეობა დამახინჯებული ციფრებით, არასწორი გათვლებითა და პირადი ინტერესების გატარებით მოკლა.

**— როგორ დაანგრია საქართველოს სოფლის მეურნეობა კახა ბენდუქიძემ ან რატომ ითხოვთ მისი პასუხისმგებლობის საკითხის დასმას?**

— ბენდუქიძემ არასწორი აზრი შექმნა, ამ დარგში ნაკლებად განათლებული ბევრი ახალგაზრდა შემოიკრიბა და დაიწყო საუბარი იმაზე, რომ სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ), მხოლოდ 7-8%-ია. ეს ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებას აზრი არ აქვს, რაც უდიდესი მავნებლობაა. სოფლის მეურნეობა სოციალური პრობლემაა, საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლად ცხოვრობს და მუშაობს. ბენდუქიძე, გლეხის მიერ მოწეული პროდუქტის მხოლოდ რაოდენობას ითვლიდა. მაგალითად, რამდენი ტონა ყურძნის, პომიდვრის, ხილის... მოსავალი მიიღო ქვეყანამ და შემდეგ, ეს რაოდენობა თანხაში გადაჰყავდა. მხოლოდ იმას ანგარიშობდა, რა რაოდენობის პროდუქტი მოიყვანა სოფელმა, მაგრამ ისიც უნდა გამოეთვალა, რომ იმავე სოფელში, ყურძენი ღვინოდ გადამუშავდა, პომიდორი, ხილი, ციტრუსი — კონსერვებად, წვენებად, ხილფაფებად. არ მერიდება, პირდაპირ გეტყვით, ბენდუქიძემ წინა ხელისუფლება მოატყუა, მეტიც, გააბრიყვა. საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვანა-გადამუშავება, ქვეყნის მშპ-ში, 70%-ზე მეტს შეადგენდა, რადგან ის ხალხი, ვინც ყურძნიდან ღვინოს იღებდა და ახლაც იღებს, სოფელში ცხოვრობს. არ ვიცი, ვინ დაავალა ბენდუქიძეს საქართველოს სოფლის მეურნეობის დაქცევა, მაგრამ ფაქტია, რომ მან დავალება შეასრულა და ახალგაზრდებიც აიყოლია. მილიონზე მეტი ადამიანი რომ გაქცეულია საქართველოდან, მათი დიდი ნაწილი, სწორედ სოფლად ცხოვრობდა... ამიტომ ვამბობ, რომ მისი ქმედება დანაშაულია — არ შეიძლება, შენი ხალხი ასე გაწირო.

**— ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, წლის ბოლომდე, საქართველოში 60-მდე გადამამუშავებელი საწარმო უნდა შეიქმნასო. ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყო?**

— დიახ, და სქემებიც გვაქვს, რა, როგორ უნდა გავაკეთოთ. ცოტა ხნის წინ, ზურაბ ტყემალაძესთან ერთად, შეხვედრაზე, შაქრის ჭარხლის მოყვანის პერსპექტივაზე ვსაუბრობდით. მთელი ქართლი, გორის, ქარელის, ხაშურის, ცხინვალის რაიონები ამით იყო დაკავებული და შაქრის ჭარხალი მოჰყავდათ. კახა ბენდუქიძეს თუ ავყვებით, დაგვითვლის, რა რაოდენობის ჭარხალი მოვიყვანეთ, მაგრამ იმ ჭარხლიდან, შაქარს რომ მივიღებთ, ეს არ ითვლება? გარდა ამისა, ჭარხლიდან შაქრის მისაღებად, უამრავ ადამიანს დავასაქმებთ. ნარჩენებიდან კი, ერთი მხრივ — სპირტს გამოხდით, მეორე მხრივ — ეს ნარჩენები კალორიული დანამატია საქონლის კვების რაციონში. ეს იმას ნიშნავს, რომ პარალელურად, რეგიონში მეცხოველეობასაც განავითარებთ. ამასთან ერთად, ხორცისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების მოწყობაც დაგჭირდებათ. თუ ასეთ ციკლს გააბამთ, დიდ მოგებას ნახავთ, რადგან ერთდროულად, რამდენიმე დარგის განვითარებას შეძლებთ. სიტყვასიტყვით დაწერეთ, ბენდუქიძე, „ჰელოუ“, მხოლოდ ციტრუსის რაოდენობას კი ნუ ითვლი, მისი კანისგან რომ ლიმონათს ვაწარმოებდი, რბილობიდან კი — კონსერვს, აი, ამის შემდეგ დათვალე სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში! მე რომ ბიძინა ივანიშვილის, არჩილ კბილაშვილის ან თეა წულუკიანის ადგილას ვიყო, ნამდვილად დავსვამდი კახა ბენდუქიძის პასუხისმგებლობის საკითხს, რადგან მან იცოდა, რას აკეთებდა და მიზანმიმართულად დაანგრია სოფლის მეურნეობა! მილიონობით ადამიანი გაწირა, რათა ქვეყანა დაეტოვებინა. ყველგან ვიტყვი — ეკონომიკის მინისტრმა ბენდუქიძემ ქართული სოფელი მოკლა!

**— თქვენი პოლიტიკური ოპონენტები „ნაცმოძრაობიდან“ ბევრს საუბრობენ საბიუჯეტო და ეკონომიკურ კრიზისზე. მართლა საგანგაშო სიტუაციაა?**

— როგორ გეკადრებათ! მართალია, წინა ხელისუფლებამ ეკონომიკა ცუდ დღეში დატოვა, მაგრამ მის განვითარებას დრო უნდა. რასაც ივანიშვილი ამბობს, აუცილებლად გააკეთებს! ხედავენ, რომ აკეთებს კიდეც, მაგრამ მაინც შავ პიარს უგორებენ. კახეთში, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის, ივანიშვილმა 80 000 000 ლარი გამოყო, ამას 15 000 000 ლარიც დაამატა. თუ ეს დახმარება გამგებლებმა სწორად არ გაანაწილეს, ივანიშვილის ბრალია?

**— გამოდის, კახეთში აღმაშფოთებელი 12-ლარიანი დახმარების განაწილებაში, დამნაშავეები გამგებლები არიან?**

— რა თქმა უნდა! 95 000 000 ლარი გამოყო ადამიანმა კახეთის დასახმარებლად. ხალხი კი, ისევ ბიძინა ივანიშვილს ეჩხუბება. სეტყვის ან წყალდიდობის დროს, ამხელა თანხა ვინმეს გადაურიცხავს ოდესმე? თუ გამგებელმა ზუსტად ვერ გადაანაწილა თანხა და თანაბრად ვერ გაყო, ივანიშვილი რა შუაშია?

**— რა განწყობაა ბიზნესმენებსა და საქმიან წრეებში სახელისუფლებო ცვლილებებთან დაკავშირებით?**

— ვინც მხვდება, ყველას დიდი იმედი აქვს. წინადადებებით მოდიან, ვიღაცას მზესუმზირას მოყვანა და ზეთის წარმოება უნდა, ვიღაცას სხვა პროექტი აქვს. ზეთი რატომ უნდა შემოგვქონდეს? ამის სპეციალისტი ვარ და ზუსტად ვიცი, საქართველოში უხარისხო და არარაფინირებული ზეთი შემოაქვთ. ბევრი კარგი პროექტი აქვს ხალხს. უნდა დავაცადოთ ბიძინა ივანიშვილს, ვისაც გონება აქვს, იმედით შეჰყურებს და დამიჯერეთ, მალე დაიწყება ეკონომიკური და ბიზნეს-რენესანსი საქართველოში.

## ვერსიანიუსი

### ევროსაბჭოს შეხვედრაზე სააკაშვილის მიერ ერთ ლარად გაჩუქებულ ქონებაზეც ისაუბრეს



ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია და კომიტეტის წევრები სასამართლო რეფორმების მხარდაჭერის საქმიანობაზე მომუშავე ჯგუფს, მათ შორის კლიმენტინა ბარბაროსს შეხვდნენ.

კომიტეტის შეხვედრები სტრასბურგში, ევროპის საბჭოს მიწვევით იმართება, სადაც ეკა ბესელიამ დეტალურად ისაუბრა პარლამენტის პრიორიტეტებზე, საარჩევნო კანონმდებლობაზე, სასამართლო რეფორმის დაწყების აუცილებლობაზე, პოლიტიკური პატიმრებისა და ამნისტიის კანონის მიღების დიდ მნიშვნელობაზე. ბესელიამ მაუწყებლობის მიმართ პრემიერ ივანიშვილის განწყობის შესახებ არასწორად და არაობიექტურად გაჟღერებულ ინფორმაციაზეც გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, ივანიშვილის უდიდესი სურვილია, საქართველოში მედია იყოს თავისუფალი. საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით, ისაუბრა დეპუტატმა ოთარ ჩრდილელმაც. მისი განმარტებით, რეზოლუციაში არასწორად ჩაიწერა მედიაზე ზეწოლის თაობაზე. მანვე პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ერთ ლარად გაჩუქებულ ქონებაზე გაამახვილა ყურადღება, როგორც კორუფციის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითზე. საინფორმაციო სესიის დასრულებისა და მუშაობის შეჯამების დროს, ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წევრებმა მადლობა გადაუხადეს მიმწვევ მხარეს საინტერესო და მნიშვნელოვანი შეხვედრებისთვის. კომიტეტის თავმჯდომარემ ისაუბრა საქართველოში არსებულ გარდამავალ ეტაპზე, მასპინძლებს გააცნო ის ფასეულობები და ღირებულებები, რომლებიც ნიშანდობლივია ქართველი ხალხისთვის.

*„გურიანიუსი“*

### „მოვუწოდებ მთავრობას, არ დაუშვას „კანონიერი ქურდების“ ბატონობის დაბრუნება“



ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი „კანონიერი ქურდების“ ამნისტიას გამოეხმაურა: **„მინდა, აღშფოთება გამოვხატო, რადგან მთავრობისა და პარლამენტის გადაწყვეტილებით, ციხეებიდან უკვე დაიწყეს გამოსვლა „კანონიერმა ქურდებმა“. იმ ფონზე, როცა ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე, მკვეთრად გაუარესდა საქართველოში კრიმინოგენული მდგომარეობა და ამას თითოეული ჩვენგანი გრძნობს, „კანონიერი ქურდების“ გამოშვება უფრო დაამძიმებს სიტუაციას“.** მერაბიშვილმა მთავრობას მოუწოდა, მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა საქართველოში არ დაბრუნდეს „კანონიერი ქურდების“ ბატონობა: **„მე ვარ წინააღმდეგი, საქართველომ დაკარგოს ის მონაპოვარი, რომელსაც წლების განმავლობაში მიაღწია — საქართველო იყო თავისუფალი „კანონიერი ქურდებისგან“ და იყო უსაფრთხო ქვეყანა. არ მინდა, ჩემი ქვეყანა დაბრუნდეს ძველ, ბნელ დროში, როცა ჩვენი და ჩვენი შვილების საქმეებს არჩევდნენ ე.წ. ავტორიტეტები, იკრიბებოდა „ობშიაკი“ და ისინი მართავდნენ არა მარტო კრიმინალურ სამყაროს, არამედ ეკონომიკას და, ხშირად, პოლიტიკაშიც ერეოდნენ. იმ ფონზე, როცა მიმდინარეობს დამსახურებული პოლიციელების გაშვება სამსახურიდან, ეს ფაქტი საგანგაშოა. მოვუწოდებ მთავრობას, მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა საქართველოში არ დაბრუნდეს „კანონიერი ქურდების“ ბატონობა და მათ არ განსაზღვრონ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება. მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს ამისთვის, მით უმეტეს, იმ შეცდომების ფონზე, რომლებიც ამ თვეებში დაუშვა, როცა უამრავი დამნაშავე გამოუშვა ციხიდან“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

# 8 თვის ორსული სამსახურიდან „ნაციონალების" მხარდამჭერი ქმრის გამო გაათავისუფლეს

მერაბ ბერიძე

**პირველი ოქტომბრის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ ერთგვარი პირობა დადო, რომ საჯარო სამსახურებიდან საშუალო და დაბალი რგოლის თანამშრომლებს სახლში არ გაუშვებდა. რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის დანაშულთან თუ არ გვექნებოდა საქმე. სამწუხაროდ, აღნიშნული დანაპირები არ თუ ვერ სრულდება. აგორებული ტალღის შეჩერება, ჯერჯერობით, არავის ძალუძს. ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეების სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც (საია) ეხმაურება და აცხადებს, რომ ორგანიზაცია მონიტორინგს უწევს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში მიმდინარე მოვლენებს. პრობლემების ერთი ჯგუფი, რაც ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით შეიქმნა, მუნიციპალიტეტებში მომუშავე პირთა სამსახურიდან გათავისუფლებას უკავშირდება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რიგ შემთხვევებში, გათავისუფლების საფუძველი პირადი განცხადებებია, თუმცა შესასწავლია, ისინი აღნიშნულმა პირებმა თავიანთი ნამდვილი ნების შესაბამისად დაწერეს თუ ზემდგომი თანამდებობის პირთა ფსიქოლოგიური ზეწოლის ან სხვა სახის უკანონო ქმედებათა შედეგად. ამჯერად, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ქარელის მუნიციპალიტეტიდან ორი პირის გათავისუფლებას ეხმიანება.**



როგორ გაამარტივა ირაკლი ალასანიამ უწყებაში თანამშრომლების დათხოვნის მეთოდი და რატომ გაუშვეს ქარელის მუნიციპალიტეტიდან 100-მდე ადამიანი

საია-ს ცნობით, მოქალაქე ნელი საქუაშვილმა წერილობით მიმართა ორგანიზაციის გორის ოფისს და განაცხადა, რომ გათავისუფლების შესახებ განცხადება ზეწოლის შედეგად დაწერა. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ნინო მაისურაძის შემთხვევა, რომლის თქმითაც, ქარელის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ფცის ტერიტორიული ორგანოდან იმ დროს გაათავისუფლეს, როდესაც დეკრეტულ შვებულებაში აპირებდა გასვლას. როგორც იგი მიუთითებს, გათავისუფლების შესახებ დააწერინეს განცხადება იმ მოტივით, რომ ახალი გამგებელი თანამდებობაზე ხელახლა დანიშნავდა. 2013 წლის 8 იანვრით დათარიღებული ბრძანებით, ნინო მაისურაძე სამსახურიდან გაუშვეს და საფუძვლად, მის მიერვე დაწერილი განცხადება მიუთითეს. გათავისუფლების ბრძანებას ხელს აწერს ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ივანე ოსაძე.

აღნიშნულ ფაქტში უკანონო, ერთი შეხედვით, არაფერია, „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 95-ე მუხლი ითვალისწინებს საკუთარი ინიციატივით სამსახურიდან პირის გათავისუფლების შესაძლებლობას. უბრალოდ, ამ საქმეში ბევრი გარემოებაა, რომელიც ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ნინო მაისურაძის მიერ გათავისუფლების შესახებ განცხადების დაწერა მის ნებას არ შეესაბამებოდა, კერძოდ:

**„ნაკლებად სავარაუდოა, რომ 7-8 თვის ორსულმა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უპირობოდ სარგებლობს ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით, გათავისუფლების შესახებ განცხადება საკუთარი ნებით დაწეროს. მით უფრო მაშინ, როცა როგორც ნინო მაისურაძე მიუთითებს, ოჯახს, მისი ხელფასის გარდა, სხვა შემოსავალი არ აქვს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ორსული მოხელე დაცვის მაღალი სტანდარტით სარგებლობს და მისი გათავისუფლება „შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე ატესტაციის შედეგების" გამოც კი აკრძალულია („საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 111-ე მუხლი). ამ პირობებში, კიდევ უფრო გაუგებარია, რატომ უნდა გასჩენოდა ნინო მაისურაძეს განცხადების დაწერის სურვილი.**

**აქვე აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, როგორც მაისურაძე მიუთითებს, როცა ვითარებაში გასარკვევად ივანე ოსაძეს მიმართა, მისგან ასეთი პასუხი მიიღო: „ზემოდან დამავალეს, გამეთავისუფლებინე, რადგან შენი მეუღლე „ნაციონალებს" უჭერდა მხარს".**

**დაბოლოს, 2012 წლის 18 დეკემბერს ტელეკომპანია „თრიალეთის" ეთერში ივანე ოსაძემ პირდაპირ განაცხადა, რომ თანამშრომლებს მოსთხოვა გათავისუფლების შესახებ განცხადებების დაწერა (http://gyla.ge/geo/news?info=861), რის შემდეგაც თავად გადაწყვეტდა, ვინ დაებრუნებინა სამსახურში და ვინ არა. ამ ფაქტს საია მაშინვე გამოეხმაურა. ფაქტია, სამოქალაქო სექტორის კრიტიკული შეფასებები დარღვევათა პრევენციას ვერ უზრუნველყოფს. თვითმმართველობებთან მიმართებაში განვითარებული მოვლენები ჩრდილს აყენებს იმ დადებით ძვრებს, რასაც ბოლო პერიოდში ქვეყანაში ადგილი აქვს და ხელისუფლების მხრიდან ეფექტური ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობაზე მიუთითებს",** — აცხადებს საია და განმარტავს, რომ ნინო მაისურაძის საქმის გარემოებები, შესაძლოა, შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს.

სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, „სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნა" დანაშაულს წარმოადგენს, რაც სამართალდამცავი ორგანოების შესწავლის საგანი უნდა გახდეს.

**„ჩვენ მოვუწოდებთ ყველა შესაბამის თანამდებობის პირს, თანამშრომლების გათავისუფლებისა თუ სხვა საკითხების გადაწყვეტის დროს, განუხრელად დაიცვან საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები. ეს მათ პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს და თუ ვინმეს ამ ვალდებულების სათანადოდ გაცნობიერება არ სურს ან არ შეუძლია, მისი ადგილი საჯარო სამსახურში არ უნდა იყოს. თანამდებობის პირთა დაუფიქრებელი და უკანონო გადაწყვეტილებები, რბილად რომ ვთქვათ, შესაძლოა, არასასურველი შედეგებით დასრულდეს. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ნინო მაისურაძე მიუთითებს, გათავისუფლებით გამოწვეული ნერვიულობის გამო, საავადმყოფოში, ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ მოუწია ყოფნა",** — აღნიშნულია საია-ს განცხადებაში.

ორგანიზაცია მოუწოდებს ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობას, გადახედოს გადაწყვეტილებას და გათავისუფლებული მოხელე სამსახურში დაუყოვნებლივ აღადგინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მაისურაძეს საია გაუწევს შესაბამის იურიდიულ დახმარებას და გამოიყენებს ყველა სამართლებრივ მექანიზმს მისი დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით.

საია-ს იურისტის, ლელა ტალიურის განცხადებით, ორგანიზაცია განაგრძობს ადგილობრივი თვითმმართველობების ირგვლივ მიმდინარე მოვლენების მონიტორინგს. შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც ყველა დარღვევაზე შესაბამის რეაგირებას შეძლებისდაგვარად მოახდენს.

თავის მხრივ, შიდა ქართლის გუბერნატორი ანდრო ბარნოვი საჯარო სამსახურებიდან გათავისუფლებულ თანამშრომლებს შეხვდა. მუნიციპალიტეტის პრესსამსახურში აცხადებენ, რომ 100-მდე ადამიანის მტკიცებით, განცხადებები სამსახურიდან წასვლის შესახებ, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ზეწოლით დაწერეს.

გუბერნატორმა ყველას მადლობა გადაუხადა „რთულ პერიოდში გაწეული სამსახურისთვის" და აღნიშნა, რომ „უკანონოდ გათავისუფლების არც ერთ შემთხვევას რეაგირების გარეშე არ დატოვებს". ბარნოვის თქმით, არავის აქვს უფლება, საჯარო მოხელეს იძულებით დაატოვებინოს თანამდებობა. გუბერნატორი აპირებს, ზეწოლით გათავისუფლებისა და ნეპოტიზმის ფაქტები უფლებადამცველ და საერთაშორისო ორგანიზაციებს შეატყობინოს: **„საჯარო სამსახურის პოლიტიზება არაჯანსაღი ტენდენციაა, რაც არ უნდა დავუშვათ. შევეცდები, წინ აღვუდგე ამას. საჯარო მოხელეებს, იმის მიუხედავად, თუ საით იხრება მათი პოლიტიკური სიმპათია, უნდა ჰქონდეთ სტაბილურობისა და დაცულობის გრძნობა. ეს ხელს უწყობს საჯარო სამსახურის გრძელვადიან, ეფექტურ მუშაობას. თანაც, ეს ელემენტარული სამართლიანობის საკითხია".**

„ვერსიასთან" საუბრისას პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** რეგიონებში მოხელეების უკანონო გათავისუფლებაზე პასუხისმგებლობას, ცენტრალურ ხელისუფლებას აკისრებს. მისი თქმით, ეს პროცესი დედაქალაქშიც დაუფარავად მიმდინარეობს:

**„ირაკლი ალასანიამ ერთი ჩემი ახლობელი, აბსოლუტურად აპოლიტიკური პიროვნება, სამსახურიდან გაათავისუფლა. მეცნიერ-მკვლევარი თავდაცვის სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტში მუშაობდა. თანაც, გათავისუფლების პროცესი გაამარტივეს. წინა ხელისუფლების დროს, პიროვნებას იბარებდნენ და ძალით აწერინებდნენ განცხადებას. ალასანიამ უწყებაში ახალი წესი შემოიღო და თანამშრომელს უკვე გამზადებული, დაწერილ-დაბეჭდილი განცხადების ტექსტი მიუტანეს, მარტო ხელმოწერა რჩებოდა. ალასანიას მედალი ეკუთვნის ამ „ნოუჰაუსთვის". ამას კულუარებში ასე ამართლებენ, რა ვქნათ, ბევრი ჩვენი მომხრე უმუშევარია, ისინი ჩვენ გვერდით იმიტომ იდგნენ, რომ ზოგი სამსახურს ელოდებოდა და ზოგი კიდევ რას".**

ექსპერტმა ივანიშვილის ცნობილი განცხადებაც გაიხსენა, თუ სისხლის სამართლის დანაშაული არ აქვს ჩადენილი, მინისტრის მოადგილეებსაც კი არ გავათავისუფლებთ, ხელს არავის ვახლებთო. **„ხელი არავისთვის უხლიათ. უბრალოდ, გამზადებული განცხადებები მიუტანეს და ხელი მოაწერინეს. პროცესი გრძელდება. ის კი, რაც რეგიონებში ხდება, მედროვეთა ერთი გუნდის ბრძოლაა, ასეთივე აზროვნების მეორე გუნდის წინააღმდეგ. ლოყაღაჟღაჟა, ასკილოიანი მოშიმშილეები რაიონებში, სწორედ ამ კატეგორიას წარმოადგენენ, ვინც თანამდებობებზეა, 80% იქაც მედროვეა და ვინც ამისთვის იბრძვის, იგივე კასტას შეადგენს. თბილისში ყველაფერი სხვაგვარადაა. აქ ოფისებსა და სამინისტროებში ვერავინ შევარდება და კარს ვერ აჭედავს",** — აცხადებს ცინცაძე და იმასაც დასძენს, რომ საქართველოში ამ პროცესს ადვილად ვერავინ შეცვლის, რადგან ჩვენთან ასე იქცეოდნენ ყოველთვის, პირველიდან მოყოლებული, ყველა მთავრობის დროს: **„ჩანს, ესეც ერთ-ერთი ქართული სენია. როგორც რუსებს ვერავინ გადააჩვევს ლოთობასა და ქრთამის აღებას, აქაც ძმაკაცობას, ნეპოტიზმს ვერავინ ამოძირკვავს ადვილად. რას ვიზამთ, ღარიბ ქვეყანაში ბიზნესი სულს ღაფავს და ერთადერთი შემოსავალი საჯარო მოხელის ხელფასია. ხელისუფლებაში მოსული ძალა ცდილობს, თავისი მომხრეებით დააკომპლექტოს უწყებები. ასეთმა პოლიტიკამ კი, არც შევარდნაძეს უშველა, არც სააკაშვილს და მგონი, არც ამათ უშველის. რასაკვირველია, მთელ ამ პროცესზე პასუხისმგებელი ცენტრალური ხელისუფლებაა".**

„ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის", — ამაზეა ნათქვამი. „ნაციონალების" ძალადობრივი მმართველობა ხალხმა იმიტომ გადააგდო, რომ თვითმმართველობიდან რვა თვის ორსული გაეშვათ? პოლიტოლოგი, პირდაპირ პასუხისმგებლობას ცენტრალურ მთავრობას აკისრებს, მაგრამ ასევე პასუხისმგებელია ახალგამომცხვარი მორიგი ადგილობრივი „ფეოდალი", ვინც თვითმმართველობა ახლობელ-ნათესავებით გაავსო. ასეთი სამარცხვინო პოლიტიკა არ დაიმალება და ახალ მთავრობას კარგს არაფერს მოუტანს. ხალხი წინასაარჩევნო დანაპირების შესრულებას, ყოფის გაუმჯობესებას ელის და არა დაუსრულებელ ძარცვა-გლეჯას თანამდებობებისა და პრივილეგიებისთვის.

ვერსიანიუსი

## პარლამენტი „საქართველოს კურსის უცვლელობის შესახებ" კანონს მიიღებს?



პარლამენტის ვიცე-სპიკერის, გიორგი ბარამიძის თქმით, საპარლამენტო უმცირესობა „საქართველოს კურსის უცვლელობის შესახებ" კანონპროექტის მიღების ინიციატივით გამოდის:

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და საპარლამენტო უმცირესობის სახელით, მინდა, წარმოგიდგინოთ კანონპროექტი „საქართველოს კურსის უცვლელობის" შესახებ. ეს ეხება საქართველოს სტრატეგიულ საკითხებს, რომელიც სამი კომპონენტისგან შედგება: 1. ჩვენი კურსის უცვლელობა ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით და საქართველოს არც ერთმა მთავრობამ არ უნდა გადაუხვიოს ამ კურსს. მეორე კომპონენტი დეოკუპაციისკენ მიმართული და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკაა; და მესამე — საქართველო არ გაწევრიანდება დსთ-ში, ევრაზიულ კავშირში, ე.წ. კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციასა და სხვა პოსტსაბჭოთა გაერთიანებებში, სადაც ოკუპანტი ქვეყანა წამყვანი ძალაა, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტსა და თავისუფლებას უქმნის საფრთხეს".**

*„პირველი"*

## ლალი მაროშკინა მოსამართლესთან ზარის გამო დააჯარიმეს



სასამართლომ სასჯელაღსრულების მინისტრის მრჩეველი ლალი მაროშკინა 2 500 ლარით დააჯარიმა. ამის მიზეზი მოსამართლესთან სატელეფონო ზარი გახდა, რომლის დროსაც, მაროშკინა კონკრეტულ პირებთან მიმართებაში, ამნისტიის აქტის დაჩქარებით განხორციელებას ითხოვდა. მცხეთის რაიონულ სასამართლოში საქმის მასალები, მოსამართლესთან კომუნიკაციის წესის დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, 29 იანვარს განიხილეს.

**„საქმის მასალებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე, სასამართლომ საჯარო მოსამსახურე ლალი მაროშკინას მიერ მოსამართლესთან 2013 წლის 24 იანვარს 23:31 საათზე განხორციელებული სატელეფონო საუბარი (რომელიც შეეხებოდა კონკრეტული პირების მიმართ ამნისტიის აქტის დაჩქარებით განხორციელების მითითებას), სცნო მოსამართლესთან კომუნიკაციის წესის დარღვევად და შესაბამისად, საჯარო მოსამსახურე დააჯარიმა 2 500 ლარით. აქვე სასამართლომ ჯარიმის თანხის განსაზღვრისას გაითვალისწინა ლალი მაროშკინას მიერ ჩადენილი ქმედების აღიარება",** — აღნიშნულია უზენაესი სასამართლოს ინფორმაციაში.

*„ინტერპრესნიუსი"*

# ეს გზა რას გვიზამს?

იოსებ ჭუმბურიძე



## ფიქრები „საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის კონცეფციასა და ძირითად პრინციპებზე“

იმის მიუხედავად, რომ განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კომისიის ხელმძღვანელის, ბატონი გია დვალის მიმართ იმედით ვარ განწყობილი, „კონცეფციამ“ უიმედოდ დამტოვა. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ჩვენს განათლების სისტემაში არსებულ ვითარებას კარგად არ იცნობს. კარგად რომ იცნობდეს, ე.წ. ტენუირების სისტემა ხანგრძლივ უტოპიად მოეჩვენებოდა.

მენიშნა ფრაზა, რომელიც კონცეფციის შუა ნაწილში სასხვათაშორისოდ იმალება: **„აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ წამყვან უნივერსიტეტს (განსაკუთრებით ევროპაში) დღემდე არ გააჩნია ტენუარის გზის პრაქტიკა“.**

რატომ? — იქნებ, ჯერ სწორედ ამ კითხვაზე უნდა გვეპასუხა და კონცეფციაზე მერე გვეფიქრა.

მაგრამ მივხედოთ რეალობას — როცა კითხვა უპასუხოდაა დარჩენილი, კონცეფცია კი უკვე არსებობს.

მაშ, ასე: გადავდივართ ტენუირების სისტემაზე. როგორ გადავდივართ, ანუ როგორ ვირჩევთ ე.წ. ტენუირებულ პროფესორს?

კონცეფციაში ვკითხულობთ:

**„კანდიდატების შერჩევას აწარმოებს (მეტად უხეირო ქართულია, — ავტ.) სპეციალურად შექმნილი მიუკერძოებელი კომიტეტი, რომელიც კანდიდატების შეფასებაში ეყრდნობა როგორც საკუთარ ექსპერტიზას, ასევე გარეშე რეფერირების სისტემას“.**

ვისგან უნდა დავაკომპლექტოთ ეს მიუკერძოებელი კომიტეტი? — იმათგან, ვინც სწორედ მიკერძოებით ანუ არაობიექტურად ჩატარებული კონკურსებით გახდნენ პროფესორები?

„რაც არ გინახავს, ის არ იცი“, — ამბობს ერთი ჭკვიანი შემოქმედი.

მეც იმაზე ვიტყვი, რაც მინახავს, ანუ ჟურნალისტიკის სფეროს შევეხები, თანაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე.

ეს, ცხადია, არ არის შემთხვევითი, რადგან სწორედ ის არის (საბედნიეროდ, დღესაც რჩება) ტონის მიმცემი, ყველაფერი — ავიცა და კარგიც, სხვა უნივერსიტეტებს სწორედ მისგან გადაედება.

დღეს ამ უპირველეს ალმა-მატერში ჟურნალისტიკის მიმართულებას ხელმძღვანელობს სრული პროფესორი, რომელიც ასე აზროვნებს (ციტატა მისი სახელმძღვანელოდან): **„როგორც აკადემიური სფერო, ჟურნალისტიკა აკვირდება და სწავლობს სამყაროს. მიუხედავად იმისა, რომ სფერო მეტწილად, გამოყენებითია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, ფუნდამენტურ ანარეკლსაც ტოვებს“** (მ. გერსამია, ელემენტარული ნაწილაკები ჟურნალისტიკაში, თბ. 2011 წ.).

ის, ამავე დროს, გახლავთ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, განათლების სამინისტროს აკრედიტაციის საბჭოს ექსპერტი, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორის მოადგილე.

არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ პირველი ტენუირებული პროფესორიც სწორედ ის გახდება და შემდეგ, მისი ხელდასხმით აირჩევენ „ტენუირების გზაზე მყოფ“ პროფესორებს.

„მიუკერძოებელ კომიტეტშიც“, უპირველესად, ასეთები აღმოჩნდებიან, რადგან ღირსეული, კომპეტენტური და პრინციპული პროფესორი თითქმის აღარ დატოვეს.

ასეთებს არც „საკუთარი ექსპერტიზის“ გავლა გაუჭირდებათ და „გარეშე რეფერირების“ პრობლემასაც ადვილად მოაგვარებენ, რადგან საზღვარგარეთ ტრენინგებზე ხშირად დადიან. მათ ხომ ინგლისური ისევე იციან, როგორც ქართული.

აი, მათი ქართული (იმავე სახელმძღვანელოდან):

**„მედიამონიტორინგის წარმოების მიზანია საინფორმაციო ქსელში ორგანიზაციის უწყების შესახებ შექმნილი სურათის შესახებ ოპერატიული ინფორმირება და ანალიზი“.**

აი, ინგლისურიდან როგორ თარგმნიან (იმავე სახელმძღვანელოდან): **„თუ შედიხარ ოთახში, უნდა აღწერო, რა ხდება იქ. თუ საუბრობ პიროვნებაზე, რაღაც კუთხით უნდა წარმოსახო პიროვნების პორტრეტი. როგორ გამოიყურება იგი? როგორია მისი ფიზიკური თვისებები, ტიკები? როგორ იცვამს? თუმცა თქვენ ერთბაშად არ ჩაუგდებთ ყველა ამ დეტალს მკითხველს კალთაში“.**

უცხოელი (ამერიკელი) ტრენერები როგორები ჰყავთ?! აი, მათი ნააზრევი: **„ჟურნალისტები ისევე მიდრეკილნი არიან ოჯახური ცხოვრებისკენ, როგორც სხვები... ჟურნალისტები ისევე, როგორც მთელი მოსახლეობა მინერალურ წყალს სვამენ და მეზობლებთან ერთად ეკლესიაში დადიან“.**

ამგვარი „მარგალიტებით“ არის სავსე ჯონ მაქსველ ჰამილტონისა და ჯორჯ კრიმსკის წიგნი „ჩაეჭიდეთ პრესას. ამბავი საგაზეთო ცხოვრებაზე“.

თუ წიგნის რედაქტორის — კოლუმბიის უნივერსიტეტთან არსებული თავისუფალი მასმედიის შესწავლის (უნდა იყოს — შემსწავლელი) ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის ევერესტ ე. დენისის წინასიტყვაობას დავუჯერებთ, ზემოხსენებული ავტორები **„განმანათლებლები არიან ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. პირველი ჟურნალისტიკის ერთ-ერთი წამყვანი სკოლის დეკანია, მეორე კი ჟურნალისტთა ცნობილ საერთაშორისო ტრენინგ-ცენტრს ხელმძღვანელობს“.**

აი, ასეთ „განმანათლებლებთან“ ტრენინგგავლილები გახდებიან ტენუირებული პროფესორები.

რაც ჟურნალისტიკის მიმართულებაზე ითქვა, თამამად შეგვიძლია, სხვა დარგებზეც გავავრცელოთ. თუნდაც სულ ახალი ფაქტი რად ღირს (ამჯერად, ეკონომისტების მაგალითზე): არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე (მოასწრეს!) ჩატარებული კონკურსის შედეგად, თბილისის უნივერსიტეტის გარეთ აღმოჩნდა ოთხი ცნობილი და ღირსეული პროფესორი — ნოდარ ხადური, დავით ნარმანია, იაკობ მესხია და ავთანდილ სილაგაძე. არჩევნების შემდეგ, სამი მათგანი სასწრაფოდ აღადგინეს. პირველ ორს მინისტრობამ უშველა, მესამეს — გვარმა (რექტორი ხომ დედით მესხიაა?!), ბატონი ავთანდილი კი კვლავ გარეთ დარჩა — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი! პირველი ორი, ალბათ, ამას არ უნდა დასთანხმებოდა — კონკურსის შედეგების გაუქმება და მისი ხელახლა ჩატარება უნდა მოეთხოვათ. არ მოითხოვეს! თუ გნებავთ, ჩავატაროთ ასეთი ექსპერიმენტი: დანიშნეთ ბატონი ავთანდილი მინისტრად (ვისზე ნაკლები მინისტრი იყო?!), და ნახავთ, თუ სასწრაფოდ უნივერსიტეტში არ აღადგინონ. კიდევ ერთი მაგალითი, ისევ თბილისის უნივერსიტეტიდან: ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე პროფესორად არ აირჩიეს ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გიორგი გოგოლაშვილი – ეს უკვე წმინდა პოლიტიკური ნიშნით. ტენუირებულ პროფესორებსაც ასე აირჩევენ. ტენუირების გზაზე მყოფებსაც...

მუხრან მაჭავარიანი მახსენდება: **„ეს გზა რას გვიზამს, იმასაც ვნახავთ“...**

ღმერთმა ქნას, ვცდებოდე...

ღმერთმა ქნას, კარგი რამ ვნახოთ...

***P.S* მინდოდა, ხელმოწერისთვის „ფილოლოგიის დოქტორიც“ მიმემატებინა (ასეთ შემთხვევაში, საჭიროა), მაგრამ გადავიფიქრე. ცხრა წლის განმავლობაში, ეს უბრალო საკითხიც ვერ გადაწყვიტეს – რა გვიწოდონ მათ, ვისაც დისერტაცია ჟურნალისტიკის დარგში გვაქვს დაცული. თითქოს, ძნელი მოსაფიქრებელი იყოს: „ჟურნალისტიკისმცოდნეობის დოქტორი“ ან „მედიალოგიის დოქტორი.“ არა უშავს, მთავარია, ტენუირებულები გავხდეთ...**

## „პაწაწინა გრეჩიხუნებმა“ გაუმწარეს მრავალ თაობას ცხოვრება და ეს აღარ უნდა განმეორდეს“



საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მტკიცებით, „პაწაწინა გრეჩიხუნებმა“ ათწლეულების განმავლობაში, გაუმწარეს მრავალ თაობას ცხოვრება და ეს აღარ უნდა განმეორდეს: **„საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი გამოდის და ამბობს, რომ „პაწაწინა გრეჩიხუნას“ პასუხი არ უნდა ვაგებინოთ. დიდი ამბავი, ტელეკამერების წინ ვიღაცას ყელი გამოჭრა. უნდა ვაგებინოთ პასუხი გუბერნატორის იმ მოადგილეს, რომელმაც კახეთი სტიქიის შემდეგ 6 კვირაში აღადგინა. ის უნდა ჩავსვათ ციხეში, რადგან საკუთარ იდეალებს არ უღალატა. ქუთაისიდან პარლამენტია გადასატანი, უმრავლესობას ხმები არ ჰყოფნის. კახეთის ყოფილი გუბერნატორი ღვინიაშვილია დასაშინებელი. როგორ დავაშინოთ? მოდი, ღვინიაშვილს ხელები გადავუგრიხოთ. ხომ ვერ ეტყვიან პრემიერ-მინისტრს, რომ ხმები და კონსტიტუციური უმრავლესობა არ აქვთ. პარლამენტის წევრები დააშინეს, ოჯახის წევრები დაუჭირეს, მაინც არ აძლევენ ხმას ქუთაისიდან პარლამენტის გადმოტანასა და სხვა საკონსტიტუციო ცვლილებებს. ამას პრემიერ-მინისტრს ვერ ეუბნებიან, დაჭერები და დაშინებები უნდა გააგრძელონ, „პაწაწინა გრეჩიხუნა“ კი გარეთ უნდა იყოს. ამ „პაწაწინა გრეჩიხუნებმა“, ათწლეულების განმავლობაში, გაუმწარეს მრავალ თაობას ცხოვრება და ეს აღარ უნდა განმეორდეს. ესაა, დღეს რისი დამკვიდრებაც ხელახლა ხდება – უპასუხისმგებლობის, განუკითხაობის, უსამართლობის სინდრომის“,** — განაცხადა სააკაშვილმა.

*„პირველი“*

## თავდაცვის სამინისტრო არ აპირებს „დელტას“ ლიკვიდაციას



საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს პრეზიდენტის მიერ სამხედრო ტექნიკის წარმოების გაუქმებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა. თავდაცვის მინისტრის მოადგილის, ზაზა ბროლაძის თქმით, სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი სსიპ „დელტა“ აგრძელებს მუშაობას: **„საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არ აპირებს სამხედრო სამრეწველო საწარმო „დელტას“ ლიკვიდაციას. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეცდომაშია შეყვანილი. პირიქით, თუკი ადრე, სამხედრო საბრძოლო მანქანების „ლაზიკასა“ და „დიდგორის“ დაგეგმვა ხდებოდა ცალკეული პოლიტიკოსების გემოვნების მიხედვით, ამჟამად „დელტას“ რეფორმირებული მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს პროფესიონალ სამხედრო ინსტრუქტორებსა და ამ საქმის ექსპერტებთან ერთად, რათა მათი კომპეტენტური აზრი იქნას გათვალისწინებული“.**

*„პირველი“*

## ვერსიანიუსი

## „დიალოგზე უარი რუსეთთან სამხედრო ესკალაციის საფრთხეს ზრდის“



საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობების მომხრეა და აცხადებს, რომ მასთან საუბარზე უარის თქმა, რუსეთის ფედერაციის არმიასთან სამხედრო ესკალაციის საფრთხეს ზრდის: **„საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარ და ჩემი ქვეყნის 20% რუსეთს აქვს ოკუპირებული. რა თქმა უნდა, ძალიან კარგად ვიცი, რა ხდება რუსეთში, მაგრამ ვფიქრობ, პრაგმატული ურთიერთობა უნდა დავამყაროთ. დიახ, ჩემი სამშობლოს ტერიტორიები ოკუპირებულია, ჩვენ გამალებით ვმუშაობთ, რომ საქართველო ევროკავშირში გაწევრიანდეს და გახდეს ნატო-ს წევრი, მაგრამ ამავდროულად, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ძალღონეს არ იშურებს, რათა რუსეთთან ღირებული ურთიერთობა დაამყაროს. ახლა მათთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ სავაჭრო ურთიერთობის აღდგენაზეც, რადგან გვინდა, ჩვენს ბიზნესს ჰქონდეს განვითარების საშუალება რუსეთში. ძალიან რთული ურთიერთობაა, რესეთი ჩვენ ქვეყანას თავს დაესხა, მისი სუვერენული ნაწილი აქვს ოკუპირებული და ეს ძალიან სენსიტიური საკითხია“.**

ალასანია აკონკრეტებს, რომ რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე უარის თქმას არ ნიშნავს: **„აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს უნდა დავანახოთ, რომ საქართველოს სურს, ხელახლა წარმოაჩინოს საკუთარი თავი მათთან ურთიერთობაში. უნდა გავაგებინოთ, ევროპულ, დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთად უკეთ ვიქნებით, ვიდრე რუსეთის ოკუპაციის ქვეშ. უნდა დავამყაროთ რუსეთთან უფრო პრაგმატული ურთიერთობა, რაც ნიშნავს ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენასა და სამხედრო რიტორიკის შემცირებას, რაც წინა ხელისუფლების პოლიტიკის ნაწილი იყო. დარწმუნებულები უნდა ვიყოთ, რომ არ მივცემთ რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის განხორციელების არავითარ საბაბს, სხვა ალტერნატივა არ არსებობს. თუ არ ესაუბრები მათ, ზრდი ესკალაციის საფრთხეს რუსეთის ფედერაციის არმიასთან. მინდა, მყავდეს არმია, რომელიც შეძლებს პრობლემის წინასწარ აღკვეთას და არა ჯარი, რომელიც პრობლემებს ძალის გამოყენებით გადაწყვეტს. ნათლად დავაფიქსირეთ ჩვენი პოზიცია, ამ პრობლემების მშვიდობიანი მოგვარების აუცილებლობაზე. გვინდა, ეს პრობლემა მოლაპარაკებების გზით მოგვარდეს“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

# ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა!

ანი დადიანი

## დაატოვებინებენ თუ არა პოლიციის აკადემიის პრორექტორის პოსტს ლუკა კურტანიძეს



**საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი და პოლიციის აკადემიის პრორექტორი ლუკა კურტანიძე მორიგ სკანდალში გაეხვია. 30 იანვარს ჭიდაობის ფედერაციაში დაწყებული შელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა და პრეზიდენტი ვიცე-პრეზიდენტს თემურ ყაზარაშვილს ფიზიკურად გაუსწორდა.**

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ თემურ ყაზარაშვილის ინფორმაციით, **„როგორც კი ლუკა კურტანიძე პრეზიდენტად მოვიდა, ყველა მწვრთნელი გადააყენა, მაგრამ ეს პრეზიდიუმთან უნდა შეთანხმებულიყო და ბრძანებაზე ხელი უნდა მოწერილიყო. მარტო მე მქონდა ხელის მოწერის უფლება. ეს საკითხი პრეზიდიუმზე არ გაუტანიათ. რატომ არ მოაწერე ხელი ბიჭების გათავისუფლებაზეო?! — მე ვუთხარი, რომ ხელს არ მოვაწერდი, რადგან პრეზიდიუმთან არ არის შეთანხმებული და კანონიერი-მეთქი. ამის შემდეგ უშვერი სიტყვებით მითხრა, დაიკარგე აქედან და დარბაზში აღარ დაგინახოო. ამ დროს, არჩეული ვიცე-პრეზიდენტი ვარ! ხელი დამარტყა, წიხლი დამარტყა, მერე წავიქეცი და წიხლიც მომაყოლა. ფიზიკურად გამისწორდა“,** — აღნიშნა თემურ ყაზარაშვილმა.

ლუკა კურტანიძეს ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს მოჭიდავე რაინდი აბრამიშვილიც, რომელიც თემურ ყაზარაშვილის სატელეფონო ზარის შემდეგ, ფედერაციის შენობაში მივიდა. მისი თქმით, კურტანიძემ იგი წააქცია და სცემა.

მოგვიანებით, ლუკა კურტანიძემ მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ თემურ ყაზარაშვილი და რაინდი აბრამიშვილი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მან აღიარა სიტყვიერი შეურაცხყოფა, თუმცა ფიზიკური დაპირისპირება უარყო. ამის პასუხად, დაზარალებულებმა გაიარეს სამედიცინო და ნარკოლოგიური შემოწმება, რომლის შედეგადაც გაირკვა, რომ არც ყაზარაშვილი და არც აბრამიშვილი ალკოჰოლის გავლენის ქვეშ არ ყოფილან და მათ სხეულზე აღენიშნებათ მრავლობითი დაჟეჟილობა. „ვერსიის“ ინფორმაციით, ორივე დაზარალებული სასამართლოში ჩივილს აპირებს.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ჭიდაობის ფედერაციაში მომხდარი ინციდენტის მონაწილე მხარეებს პირადი ინტერესებისა და ამბიციების გვერდზე გადადებისა და მთელი ძალისხმევის ჭიდაობის განვითარებისკენ მიმართვას ურჩევს და საგანგებო განცხადებას ავრცელებს:

**„სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ სამინისტრო შეასრულებს კანონით განსაზღვრულ მოვალეობას და კვლავაც იკისრებს მედიატორის ფუნქციას ფედერაციებში არსებულ დაპირისპირებულ მხარეებს შორის. სამინისტრო არ აპირებს, მხარეებთან შეხვედრისა და კონსულტაციის გარეშე, ნაჩქარევი დასკვნების გამოტანას. სამინისტრო მოუწოდებს მხარეებს, გვერდზე გადადონ პირადი ინტერესები და ამბიციები და მთელი ძალისხმევა ქართული ჭიდაობის განვითარებას მოახმარონ“.**

31 იანვარს, ჭიდაობის ფედერაციაში, დაპირისპირებულ მხარეებთან შეხვედრა შედგა. წევრების ნაწილი მოითხოვს, რომ ლუკა კურტანიძემ დატოვოს პრეზიდენტის პოსტი, რადგან იგი არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას. მეორე ნაწილი დაპირისპირების მოლაპარაკების გზით მოგვარების მომხრეა. ამასთან, ლუკა კურტანიძე ყაზარაშვილთან დაპირისპირების მიზეზებს ასე განმარტავს: **„თემურ ყაზარაშვილს რომ ფიზიკურად დავპირისპირებოდი, როგორ ფიქრობთ, ის დღეს რა მდგომარეობაში იქნებოდა?! ქვეყანა ევროპის ჩემპიონატს ატარებს ჭიდაობაში, ამიტომ პირადი ამბიციები გვერდზე უნდა გადავდოთ. საზოგადოება გადაიტვირთა პრობლემებით, მაგრამ ტექნიკური საკითხები შიგნიდან უნდა მოგვარდეს. ყაზარაშვილს ჰქონდა მოვალეობა, რომ ხელი მოეწერა თვის ბოლოს ხელფასების უწყისებისთვის, რაზეც მან უარი განაცხადა. სახელმწიფოებრივი საქმე პირად ურთიერთობებზე არ უნდა გადავიდეს“,** — აცხადებს ლუკა კურტანიძე და დასძენს, რომ ათი მწვრთნელი შეცვალა ჭიდაობის ფედერაციაში და წესდებით, ამის უფლება ჰქონდა. მისივე თქმით, შეხვდა სპორტის მინისტრ ლევან ყიფიანს, რომლის საზრუნავი არის, ჭიდაობის ფედერაციაში იყოს სამუშაო პროცესი და სიმშვიდე.

31 იანვარსვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ლუკა კურტანიძის წინააღმდეგ და ფაქტის გამოძიება დაიწყო. მართალია, თავად კურტანიძე მხოლოდ სიტყვიერ შეურაცხყოფას ადასტურებს და ფიზიკურს არ აღიარებს, მაგრამ არსებობს რამდენიმე მოწმე, რომელიც ფედერაციის პრეზიდენტის წინააღმდეგ ჩვენებას იძლევა და დაპირისპირების ამსახველი ვიდეოჩანაწერი, რომელიც გამოძიებას გადაეცა.

საქმე ის გახლავთ, რომ ლუკა კურტანიძეს, რომელიც „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი იყო ლაგოდეხში, სწორედ პოლიტიკური ოპონენტის ფიზიკურ შეურაცხყოფაში სდებდნენ ბრალს, თუმცა მაშინ, დაზარალებულმა ვერანაირი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა. ვიდეომასალა ინტერნეტში მხოლოდ მას შემდეგ გამოჩნდა, რაც „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანებული „სახალხო კრებისა“ და ნინო ბურჯანაძის ყოფილი აქტივისტი, პოლიციის აკადემიის პრორექტორად დაინიშნა, თუმცა ამ ფაქტს სამართლებრივი შეფასება არ მისცემია. როგორც ჩანს, დაუსჯელობის სინდრომმა ბატონი კურტანიძე კიდევ უფრო გაათამამა და ახლა უკვე ხანდაზმულ მსოფლიო ჩემპიონზე მოსინჯა ძალა. საინტერესოა, რამდენად შეეფერება ადამიანი, რომელიც კუნთებზე იყურება და ნერვებიც ღალატობს, არც გამოცდილება აქვს და არც განათლება, პოლიციის აკადემიის პრორექტორის პოსტს?!

# აუცილებელი განმარტება

გაზეთ „ვერსიაში“ გამოქვეყნდა მაია მიშელაძის სტატია მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის ცეზარ ჩოჩელის შესახებ, სადაც ავტორს კონფიდენციალურმა წყარომ მიაწოდა რამდენიმე ინფორმაცია. მასალის ოპერატიულობიდან გამომდინარე, ყველა ფაქტის გადამოწმება უშუალოდ წყაროსთან ვერ მოხერხდა, ამიტომ, ფაქტების დაზუსტების მიზნით, „ვერსია“ აქვეყნებს აუცილებელ განმარტებას, რომელიც შპს „იბერ მით ჯორჯიამ“ მოგვაწოდა. წერილს თან ერთვის ამონაწერები მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან.

**ქალბატონო მაია,**

**თქვენს მიერ გამოქვეყნებულ სტატიასთან დაკავშირებით, მინდა მჯეროდეს, რომ თქვენ არასწორი ინფორმაცია მოგაწოდეს.**

**შევეხები მხოლოდ ხორცის ბიზნესის თემას, რომელთანაც ცეზარ ჩოჩელს არანაირი კავშირი არ გააჩნია, რის დამადასტურებელ დოკუმენტებსაც გიგზავნით.**

**შპს „იბერ მით ჯორჯია“ დაფუძნდა 2009 წლის 30 დეკემბერს, რომლის 100-პროცენტიანი დამფუძნებელი არის შპს ”ნატახტარი 2009+”, თავის მხრივ ამ კომპანიის დამფუძნებლები არიან თენგიზ მეზურნიშვილი 33 %, გრიგოლ ლომიძე 34%, ანტონ ინგოროყვა 33 %.**

**ამავე ჯგუფმა დაარსა შპს „იბერულა“ მაღაზიების ქსელი, რომელიც დაკავებული იყო ხორცის რეალიზაციით. შპს იბერულას დამფუძნებლები არიან იგივე პიროვნებები - თენგიზ მეზურნიშვილი 33 %, გრიგოლ ლომიძე 34 % და დავით ინგოროყვა 33 % .**

**რაც შეხება ხადარცევებს, ისინი დღესაც მეგობრობენ ცეზარისთან. ასლან ხადარცევი ესწრებოდა რამდენიმე დღის წინ გამართულ სასამართლო სხდომას, როგორც გულშემატკივარი.**

**ერთი სათხოვარიც მაქვს, სანამ არასწორ ინფორმაციას გაავრცელებთ, ადრესატთან გადაამოწმეთ ინფორმაციის სისწორე.**

*პატივისცემით, ვეფხია ჩოჩელი*


ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 549452
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12124308
ამონაწერის მომზადების თარიღი: 15/11/2012 16:12:04

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს იბერ მით ჯორჯია

სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 30/12/2009

პარტნიორები: 205284244, შპს ნატახტარი 2009 +. 100.0000000000% 205296106-SH-00001


ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 508930
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12085679
ამონაწერის მომზადების თარიღი: 06/07/2012 09:50:07

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს იბერულა

საიდენტიფიკაციო კოდი: 404883391

სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 04/01/2011

პარტნიორები:

01019009714, თენგიზ მეზურნიშვილი, 33.00000000% 404883391-SH-00001
01007001761, გრიგოლ ლომიძე, 34.00000000% 404883391-SH-00002
01008001527, დავით ინგოროყვა, 33.00000000% 404883391-SH-00004

გაზეთ „ვერსიაში“ გამოქვეყნდა მაია მიშელაძის სტატია მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის ცეზარ ჩოჩელის შესახებ, სადაც ავტორს კონფიდენციალურმა წყარომ მიაწოდა რამდენიმე ინფორმაცია. მასალის ოპერატიულობიდან გამომდინარე, ყველა ფაქტის გადამოწმება დასახელებულ პირებთან ვერ მოხერხდა, ამიტომ, ფაქტების დაზუსტების მიზნით, „ვერსია“ აქვეყნებს აუცილებელ განმარტებას, რომელიც შპს „აქვა გეომ“ მოგვაწოდა. წერილს თან ერთვის ამონაწერები მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან.

**28 იანვარს, „ვერსიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, გაიპარა უზუსტობა. კერძოდ, ცეზარ ჩოჩელისა და ვანო მერაბიშვილის სახელებთან ასოცირებული კომპანიების ჩამონათვალში მოხვდა წყლის კომპანია „სნო“. მოგახსენებთ, რომ წყლის კომპანია „სნო“ არ არსებობს.**

**ნატურალურ მინერალურ წყალს „სნო“, ჩვენი კომპანია „აქვა გეო“ აწარმოებს, რომელიც 2009 წელს დაფუძნდა საქართველოს საპატრიარქოსა და ბატონ ვახტან ლიპარტიანის მიერ. დაფუძნებიდან დღემდე, კომპანიის მფლობელი არ შეცვლილა, რის დასტურადაც წარმოგიდგენთ ამონაწერებს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.**

*პატივისცემით, გენერალური დირექტორი დავით გიგაია.*


ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 12225
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10006734
ამონაწერის მომზადების თარიღი: 21/01/2010 14:32:16

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს ნატახტარი 2009 +

საიდენტიფიკაციო კოდი: 205284244

სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 31/07/2009

პარტნიორები:

01019009714, თენგიზ მეზურნიშვილი, 33.0000 205284244-SH-00001
01007001761, გრიგოლ ლომიძე, 34.0000 205284244-SH-00002
01008001904, ანტონ ინგოროყვა, 33.0000 205284244-SH-00003


ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 56657
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10048842
ამონაწერის მომზადების თარიღი: 16/04/2010 10:55:06

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს აქვა გეო

საიდენტიფიკაციო კოდი: 204564113

სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 22/01/2009

პარტნიორები:

62003014553, ვახტანგ ლიპარტიანი, 80.0000% 204564113-SH-00001
204395537, საქართველოს საპატრიარქო, 20.0000% 204564113-SH-00002


ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 518255
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12094717
ამონაწერის მომზადების თარიღი: 02/08/2012 14:38:31

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს აქვა გეო

საიდენტიფიკაციო კოდი: 204564113

სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 22/01/2009

პარტნიორები:

62003014553, ვახტანგ ლიპარტიანი, 80.00000000% 204564113-SH-00001
204395537, საქართველოს საპატრიარქო, 20.00000000% 204564113-SH-00002

მერაბ ბერიძე

# თბილისის მერიის მიერ სარეკრეაციო ზონების განადგურების ფაქტებზე გამოძიება იწყება!



**ასე თუ გაგრძელდა, თბილისელებს ალბათ, მალე „ფილტვების“ გარეშე დატოვებენ. გადაჭარბების გარეშე — რეკრეაციული ზონების ამ ტემპით განადგურების შემთხვევაში, დედაქალაქის მაცხოვრებლებს დასასვენებელი პარკები აღარ დარჩებათ, სადაც სუფთა ჰაერის ჩასუნთქვას შეძლებენ. გაიარეთ ნებისმიერ ასეთ პარკში და ამაში საკუთარი თვალით დარწმუნდებით. გზებისა თუ საცხოვრებელი კორპუსების დაუსრულებელი მშენებლობები, ხეებისა და ბალახებისთვის ერთ გოჯ თავისუფალ მიწას აღარ ტოვებს.**
**ასეთი პოლიტიკის შედეგად, ბოლო წლებში შემცირდა ვაკის, მზიურის, კიკვიძისა თუ სხვა პარკების ტერიტორიები. გაიჩეხა ჭადრები აღმაშენებლის გამზირზე, ჯანაშიას ქუჩის კუთხეში სკვერი, ჭავჭავაძის №51-ში არსებული ბაღი, დიღმის პარკი... უხვი დაპირების მიუხედავად, ამის საპირწონედ თითქმის არაფერი გაკეთებულა. ამით უდიდესი ზიანი მიაყენეს დედაქალაქსაც და მის მკვიდრებსაც. ბოლო წლების განმავლობაში, საშუალოდ, სამჯერ გაიზარდა სიმსივნურ დაავადებათა მაჩვენებელი.**

სამწუხაროდ, ანალოგიური მდგომარეობაა თბილისის იპოდრომის ტერიტორიაზეც, რომელსაც ეკოლოგების თქმით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს თბილისის ჰაერის გაწმენდისთვის. ცნობილია, რომ დედაქალაქი განთავსებულია ბუნებრივ ქვაბულში და მისი „განიავება“ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. თბილისში ძალიან ცოტაა ერთგვარი სავენტილაციო არხი, რომელთა დახმარებითაც, დაბინძურებული ჰაერის გაწმენდა ხდება. უფლებადამცველი **ლაშა ჩხარტიშვილი** განმარტავს, რომ დედაქალაქის ცენტრში ასეთი სავენტილაციო არხი მხოლოდ ორია: **„მდინარე ვერეს ხეობა, რომლის დიდი ნაწილიც ავტომაგისტრალად გადააქციეს, მეორე კი ხევი, რომელიც გასდევს ვერეს ხეობას, ქალაქის ფარგლებში, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან მოყოლებული და რომლის გაგრძელებაცაა იპოდრომის ტერიტორია. სწორედ ამ გზით შემოდის სუფთა ჰაერი თბილისის ცენტრში. იპოდრომის ტერიტორიაზე მრავალსართულიანი სახლების აშენება და მწვანე ნარგავების გაჩეხვა უაღრესად მავნე ზეგავლენას მოახდენს ქალაქის ეკოლოგიაზე. სამწუხაროა, რომ სააკაშვილმა, შევარდნაძესთან შედარებით, ათჯერ მეტი ბაღი და პარკის ტერიტორია გაყიდა, გაჩეხა და მათ ადგილას პოლიციისა და გამგეობის შენობები, რესტორნები და მაღაზიები ააშენა“.**

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარის, ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, თბილისის მერიის მიერ იპოდრომის ტერიტორიის განადგურების ფაქტზე გამოძიება იწყება. მისი თქმით, 2012 წლის ივლისში მერიამ, იპოდრომის ტერიტორიაზე საავტომობილო გზის გაყვანის მიზნით, ასეულობით ხე გაჩეხა. მერიის მიერ ამჟამად უკვე განადგურებული ტერიტორია კომპანია „ინვესტკაპიტალმა“, შპს „ჟოკეიკლუბისაგან“ 2010 წელს შეიძინა. მჟავანაძის ინფორმაციით, „ჟოკეიკლუბს“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ხელშეკრულებით ჰქონდა აღებული ვალდებულება, რომ ქალაქის საავტომობილო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის შესაბამის ტერიტორიას, მშენებლობისთვის კი 500 ათას აშშ დოლარს გამოყოფდა. ხელშეკრულებითვე განისაზღვრა, რომ მაგისტრალი, საბურთალოს ქუჩის მხრიდან, თამარაშვილის ქუჩას შეუერთდებოდა.

**„მერიამ ხელშეკრულება დაარღვია. იმის გამო, რომ „ინვესტკაპიტალი“ „ქართუ ფონდში“ შედიოდა და ეს ფონდი პირდაპირ კავშირში იყო ბიძინა ივანიშვილთან, მერიამ გამწვანებული ტერიტორია გაანადგურა და საავტომობილო გზის გაყვანა საბურთალოს ქუჩიდან კი არა, სრულიად სხვა მიმართულებით დაიწყო. ამით კი ხელშეკრულების პირობები დაარღვია და მავნებლობა ჩაიდინა, რისი აუცილებლობაც არ იყო. აღნიშნულის გამო, 2012 წლის ივლისშივე, პროკურატურაში საჩივარი შევიტანეთ... დღეს კი, როცა ხელისუფლება შეიცვალა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველომ წინასაგამოძიებო მოქმედებები დაიწყო“, — აღნიშნავს ნიკოლოზ მჟავანაძე და დასძენს, რომ „დადგა დრო, ძველმა ხელისუფლებამ იპოდრომის განადგურებისათვის პასუხი აგოს“.**

ორგანიზაციის იურისტის, გიორგი ბედოშვილის განცხადებით, ორგანიზაცია ასევე ითხოვს, მერიამ პასუხი აგოს მზიურის, ვეტერანთა კულტურისა და დასვენების (ყოფილი კიკვიძის) და სხვა ბაღებისა თუ სარეკრეაციო ზონების განადგურებაზეც. მისი თქმით, ყოფილი კიკვიძის პარკისა და მზიურის სარეკრეაციო ზონებში ჩადენილი ეკოლოგიური დარღვევების გამო, არასამთავრობო ორგანიზაციას პროკურატურასა და სხვა სათანადო უწყებებში განცხადებები აქვს შეტანილი.

„უფლებადამცველთა გაერთიანება“ მოუწოდებს გარემოს დაცვის სამინისტროს, შექმნას დამატებითი სარეკრეაციო ზონები.

იპოდრომის მწვანე ტერიტორიის ნელ-ნელა გაქრობას ადგილობრივი მცხოვრებნიც აპროტესტებენ. მათი თქმით, საკრებულოს დადგენილების მიუხედავად, რომლის მიხედვითაც, ამ ადგილზე მწვანე პარკი უნდა გაშენდეს, საქმეს საშველი არ დაადგა: **„ერთი პარკი მაინც ხომ უნდა იყოს ქალაქში, რომ წყნარად დაჯდე ბალახზე და წიგნი წაიკითხო ან პიკნიკზე გახვიდე. მეორე მხრივ, რამდენ ადგილზე უთქვამთ, მსგავს პარკს გავაკეთებთო. რიყეზეც უნდა აშენებულიყო და ახლა ორი დიდი „ტრუბა“ ჩადგეს“,** — ამბობს მერაბ გოდაბრელიძე.

**„იპოდრომის ერთ მონაკვეთზე კანალიზაციის სუნი დგას. დაიხრჩობი. სუნთქვა, ხეების გაჩეხვის მერე, საერთოდ შეუძლებელია. დასანანია, მაგარი ადგილია და მიტოვებულია. არადა, კარგი იქნებოდა, მწვანე კუნძული ქალაქის ცენტრში“**

მეორე რესპონდენტის, **კახა ნიკურაძის** თქმით, წლების განმავლობაში, ქალაქის იერსახე ისე მახინჯდება, ადგილობრივებს არაფერს ეკითხებიან: **„ისედაც შეუძლებელია სუნთქვა შუადღისას ჭავჭავაძესა და მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ ხეების გაჩეხვით ხომ, საერთოდ, იმ ტოტს ვჭრით, რომელზეც ვსხედვართ. როგორ შეიძლებოდა, იპოდრომის ტერიტორიაზე ვინმესთვის მშენებლობის უფლება მიეცათ. ჰკითხეთ ერთი, რა აზრზეა ხალხი. მაგრამ ჩვენთან, როგორც ყოველთვის, ბუნება და ხალხის აზრი არ აღელვებთ. მთავარი ისაა, რომ ვიღაც საქმდება მშენებლობაზე“.**

**„იპოდრომის ერთ მონაკვეთზე კანალიზაციის სუნი დგას, დაიხრჩობი. მანდ რომ დავრბივარ, სუნთქვას ვიკავებ. პირველი, მაგას უნდა მიხედონ, თუ რამის გაკეთებას დაიწყებენ. ისე, რა დასანანია, მაგარი ადგილია და მიტოვებულია. კარგი იქნებოდა, მწვანე კუნძული ქალაქის ცენტრში, მწვანე გაზონებით, სადაც ხალხი მივა, გაირუჯება, პიკნიკებს მოაწყობს... აქვე სარბენი ბილიკები, ველოსიპედის ტრასები, ბავშვებისთვის ქვიშის ადგილები მარტივი საქანელებით... ვფიქრობ, ამისთვის საჭიროა რიგითი მოქალაქეების აქტიურობა, თორემ ჩვენი პარკები ნაწილ-ნაწილ გაიყიდება და მივიღებთ მათ ადგილას კორპუსებსა და რესტორნებს“,** — ამბობს ნოდარ ლომჯარია.

ადგილობრივების თქმით, თბილისში პარკების მოწყობის არც პოლიტიკური ნებაა და არც შესაბამისი ცოდნა-კულტურა:

**„ბოლო დროს შეკეთებული სკვერები, ბეტონისა და ფილების სიმრავლით და ბალახის სიმცირით გამოირჩევა. გამწვანებული ტერიტორიები (მაგ. იპოდრომი ან ვაკის პარკი) საერთოდ უყურადღებოდ აქვს დატოვებული მერიას. ბალახს ვინ ჩივის, ვაკის პარკი ასეთი გაუბედურებული არასოდეს ყოფილა. თავი დაანებეთ იპოდრომს! არაა საჭირო ყველგან კორპუსების დარჭობა! ვინმეს გაგივლიათ ან გინახავთ, რა ხდება იქ დილაობით? ერთ-ერთი, სპორტულად ყველაზე აქტიური ადგილია, სადაც მთელი ვაკე-საბურთალოს მოსახლეობა იკრიბება. საშუალება აქვს, ივარჯიშოს ან უბრალოდ, ისეირნოს. შეეშვით იპოდრომს!!!“**

ექსპერტების განმარტებით, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, პარლამენტში ყველა ის კანონი დაამახინჯეს, რომელიც გარემოს დაცვას ითვალისწინებდა. დღეს თბილისში უამრავი მშენებლობა მიმდინარეობს მწვანე ზოლზე. ხმაური თბილისში არსებული პარკების ირგვლივ ჯერ კიდევ 2009 წლის შემოდგომაზე დაიწყო. მაშინ, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, დედაქალაქის ტერიტორიაზე 40-მდე გამწვანებულ ადგილს სარეკრეაციო ზონის სტატუსი მოეხსნა. გარემოსდამცველები მიიჩნევენ, რომ

**ბოლო წლებში, თბილისში კატასტროფულად შემცირდა გამწვანების ზოლების, ბაღების, პარკებისა და სკვერების ფართობები. მწვანე ნარგავთა რაოდენობით, თბილისი თითქმის ხუთჯერ ჩამოუვარდება ნორმატივებით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს. ყოვლად დაუშვებელია, ეს სასიცოცხლო სფეროც პოლიტიკურ კინკლაობას გადავაყოლოთ.**

**P.S. „იპოდრომი“ ბერძნული სიტყვაა: „ჰიპპოს“ ქართულად ნიშნავს ცხენს, „დრომოს“ — სარბიელს, რბენას. იპოდრომებს საბერძნეთსა და რომში უძველესი დროიდან აგებდნენ. ძველბერძნული ისტორიული წყაროების მიხედვით, ძველ კოლხეთში, არესის ველზე, ვრცელი იპოდრომი იყო გადაშლილი და გარს მოაჯირი ერტყა. თბილისში იპოდრომის გახსნის შესახებ არსებობს წერილობითი წყარო: იოანე შავთელის „აბდულმესიანში“ თამარ მეფის სამეფოში მომხდარ მნიშვნელოვან ამბავთა შორის, საბურთალოზე იპოდრომის გახსნაა მოხსენიებული. თამარ მეფისდროინდელი იპოდრომი საბურთალოს უმეტეს ნაწილს მოიცავდა, გაცილებით მეტს, ვიდრე 21-ე საუკუნის დასაწყისში არსებულ საზღვრებში მოქცეული თბილისის სახელმწიფო იპოდრომი. ტოპონიმი „საბურთალოც“ იპოდრომს უკავშირდება და ცხენბურთის სათამაშო ადგილს ნიშნავს.**

**1840 წელს თბილისის იპოდრომი დიდუბის ტერიტორიაზე აშენდა. წერეთლის გამზირზე დღემდე შემორჩენილია მისი კვალი. 1954 წელს, როდესაც დღის წესრიგში ახალი იპოდრომის მშენებლობის საკითხი დადგა, საჭირო ტერიტორია ვერეს ხეობასა და დელისის დასახლებას შორის შეირჩა. 1998 წელს თბილისის სახელმწიფო იპოდრომი 57 ჰექტარ მიწის ფართობს მოიცავდა. 2004 წლის მონაცემებით კი, იპოდრომის ფართობი 62 ჰექტარი იყო. ამჟამად, იპოდრომი ლისის ტბაზეა გადატანილი.**

## ასლან სმირბა ქრთამის მიცემის ფაქტთან კავშირს უარყოფს



შპს „შავი ზღვის სალოცმანო სამსახურის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ბათუმის ყოფილი მერი ასლან სმირბა შემოსავლების სამსახურის აჭარის ბიუროს უფროსის, გიორგი ემირიძისთვის ქრთამის მიცემის ფაქტთან რაიმე კავშირს კატეგორიულად უარყოფს.

**„მიბრძანდით ნებისმიერ ბანკში და ნახეთ, რომ კაპიკი ფული არ გამოგვიტანია არსაიდან. ჩვენ კეთილსინდისიერად ვმუშაობთ“,** — აცხადებს სმირბა და არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმად, ემირიძის საქმესთან დაკავშირებით თავადაც დაიკითხა, — **„არანაირ დაკითხვაზე არ ვყოფილვარ, როგორ გეკადრებათ, ეს არის ზღაპარი“.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, 29 იანვარს დაკავებულმა, შემოსავლების სამსახურის აჭარის ბიუროს უფროსმა გიორგი ემირიძემ „შავი ზღვის სალოცმანო სამსახურის“ დამფუძნებლებისგან, სამსახურებრივი მფარველობის სანაცვლოდ, დიდი ოდენობით ქრთამი აიღო.

**„აღნიშნული დანაშაული, საქართველოს სსკ-ს 338-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გიორგი ემირიძის ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად, ამოღებულია, სავარაუდოდ, ქრთამის სახით მიღებული 15 000 ლარი“,** — წერია შსს-ს განცხადებაში.

## თვითმმართველი ერთეულები პრემიებს თვეში ორჯერ გასცემდნენ



წინა ხელისუფლების გამგებლებიდან ყველაზე დიდი ოდენობის პრემია, 28 320 ლარი, ქარელის გამგებელმა აიღო. ცაგერის გამგებელი კი ერთადერთია, ვისაც პრემია არ აუღია.

2012 წელს (იანვარი-ნოემბერი) რეგიონებში, თვითმმართველობის ორგანოებში გაცემული პრემიების შესახებ ინფორმაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ გამოაქვეყნა.

გაირკვა, რომ 20 000-ს აჭარბებს დმანისის, მარნეულის, გორის გამგებლებისა და ბათუმის მერის ამავე პერიოდში აღებული პრემიები. 10 000-დან 20 000 ლარამდეა ფოთისა და ქუთაისის მერების, ასევე, ქობულეთის, ზუგდიდის, ხელვაჩაურის, ქედის, ხულოს, თეთრიწყაროსა და შუახევის გამგებელთა მიერ მიღებული პრემიები. სულ რეგიონებში მერებსა და გამგებლებზე გაცემულმა პრემიამ 391 428 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება თვითმმართველი ორგანოების თანამშრომლებისთვის გამოწერილ პრემიებს, ამ მხრივ, გამორჩეულია ბათუმის მერია, რომელმაც თანამშრომლებზე, საერთო ჯამში, 2 107 905 ლარი გასცა, ქუთაისის მერიამ — 1 188 407, ხოლო ფოთის მერიამ — 821 370 ლარი.

გამგეობებში გაცემული პრემიების სიდიდით, ქედის გამგეობა ლიდერობს, რომელმაც თანამშრომლებზე, პრემიის სახით, 454 615 ლარი გასცა, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობით პრემია ასპინძის თანამშრომლებმა მიიღეს — საერთო ჯამში, 24 500 ლარი.

***„ინტერპრესნიუსი“***

თეიმურაზ სირაძე

**ახალი ხელისუფლების მინისტრთაგან, დავით სერგეენკო ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც სათანადო ინფორმაციის მოსახლეობისთვის მიწოდების ხარვეზი საკუთარ თავზე აიღო და ამის მიზეზად, მასმედიასთან არასწორი ურთიერთობა დაასახელა. ორიოდე თვის გასვლის შემდეგ, ჯანდაცვის მინისტრმა, აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად, თავის უწყებაში ახალ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი და ჟურნალისტებთან საკონტაქტოდ, თვეში ორი დღე გამოჰყო. სამწუხაროდ, ბ-ნ დავითს მძიმე მემკვიდრეობა ერგო და ორსაათიან პრესკონფერენციაზე შეუძლებელი იქნება, სრული და ამომწურავი პასუხი მივიღოთ ყველა კითხვაზე, რომელიც დღეს აქტუალური და ბევრი ჩვენი თანამემამულისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანიც კია. ასეთ კითხვათა რაოდენობა საკმაოდ დიდია, დღეს კი მხოლოდ საკითხთა იმ ნაწილზე მოგახსენებთ, რომელიც სოციალურად დაუცველთა კატეგორიას ეხება და მათი მოტყუების ფაქტებს შეიცავს.**

# „ან მინისტრს ატყუებენ, ან მინისტრი გვატყუებს ჩვენც და ივანიშვილსაც"



## რა პრინციპით შეარჩია ჯანდაცვის სამინისტრომ 200-ლარიანი დახმარებით დასაკმაყოფილებელი სოციალურად დაუცველები

პირველი, რაც სერგეენკომ თანამდებობაზე მოსვლისას, ნოემბრის პირველ რიცხვებში განაცხადა, იყო: იმ კატეგორიის სოციალურად დაუცველებს, რომელთა სარეიტინგო ქულების რაოდენობა 57 000-ს არ აღემატება და რომელთა სახელზეც არავითარი უძრავი ქონება არ ირიცხება, 6 თვის განმავლობაში გავცემთ 200-ლარიან კომპენსაციას, რითიც ისინი ბინის ქირით იქნებიან უზრუნველყოფილნიო. ამ პირებიდან, ბევრმა, ტელევიზორის უქონლობისა და ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნის გამო, ნოემბრის ბოლოს შეიტანა განცხადება ჯანდაცვის სამინისტროში. აღმოჩნდა, რომ ეს ფანდი მათ დასაშოშმინებლად იყო გათვლილი, ვინც ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, სხვადასხვა ძალისმიერი მეთოდით იკავებდა სახელმწიფო ბალანსზე მყოფ შენობებს, რაც მოულოდნელ თავისტკივილად და სპეკულირების საგნად ექცა ივანიშვილის მთავრობას.

მეთოდმა გაჭრა. იკლო უკანონო შეჭრის ფაქტებმა, ხალხი ენდო დანაპირებს, მაგრამ დღესაც ელიან მის აღსრულებას. პროცედურა მარტივი იყო: უნდა შევსებულიყო განცხადების ფორმა, სადაც მითითებული იქნებოდა სარეიტინგო ქულები და იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ოჯახი მართლაც, ქირით ცხოვრობს და არავითარი სახსარი არ გააჩნია თანხის გადასახდელად.

ჯანდაცვის სამინისტროს ყოველდღიურად ათეულობით გაღიზიანებული ადამიანი სტუმრობს, რომლებიც მოტყუებულად მიიჩნევენ თავს და პასუხს მინისტრისგან ელიან. მინისტრს კი არ სცალია უბრალო მოკვდავებთან სასაუბროდ. ჟურნალისტებთან საუბრისას კი, აცხადებს: **„სულ 6 000 ათასამდე განცხადება იყო შემოსული ბინის ქირის 200-ლარიანი დახმარების მოთხოვნით. ჩვენ განვიხილეთ ისინი და აღმოჩნდა, რომ ბევრი მათგანის სახელზე, არაერთი უძრავი ქონება ფიქსირდებოდა"...** ამიტომ, სამინისტროს მესვეურებმა გადაწყვიტეს, მხოლოდ 1 000 ბენეფიციარი დაეკმაყოფილებინათ, თან მხოლოდ ისინი, ვინც 15 ნოემბრამდე შეიტანა განაცხადი. დანარჩენები დღესაც ელიან 200-ლარიან დახმარებას, მაგრამ ამაოდ, რადგან მინისტრისვე თქმით, პროგრამა დასრულებულია!!!

**დავით ა.** სოციალურად დაუცველი: **„ამის შესახებ ოფიციალური განცხადება არ მოგვისმენია. მგონი, არც არავის გაუკეთებია და არავის უთქვამს, როგორ მოვქცეულიყავით. მოგვიანებით გახმაურდა კერძო არხებით ეს ამბავი და 22 ნოემბერს დავწერე განცხადება. მივუთითე, რომ ვარ უმუშევარი, ვცხოვრობ უნარშეზღუდულ, ავადმყოფ დედასთან ერთად, ქირით და ჩემი სარეიტინგო ქულები არ აღემატება 52 300-ს. ვითხოვდი, აღმოეჩინათ დახმარება. მითხრეს, დაახლოებით, ერთ კვირაში გაცნობებთ პასუხსო, მაგრამ ორი თვე გავიდა მას შემდეგ. შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს. თითქმის ყოველდღე ვრეკავდი ცხელ ხაზზე 251 00 33, მაგრამ გვამშვიდებდნენ, უახლოეს მომავალში შეგატყობინებთ თქვენს მდგომარეობასო და ვეღარ დააყენეს საშველი. ბოლო დროს, სატელეფონო ოპერატორებსაც ამოუვედით ყელში და საკმაოდ გაღიზიანებულები გვპასუხობენ. ცალკე საკითხია, რამდენ ხანს ვუნდებით ლოდინს, ქსელები გადატვირთულია, ამიტომ ძალზე რომ გადავიღალე ლოდინით, გადავწყვიტე, აქ მოვსულიყავი, მაგრამ აქაც ვერაფერი გვითხრეს სანუგეშო. ჩემნაირი და კიდევ უარეს მდგომარეობაში მყოფი არაერთი ადამიანია, განსაკუთრებით მოხუცები, ვისაც გადაადგილება უჭირს. ამ მთავრობამაც კატეგორიებად დაგვყო და, სამწუხაროდ, ისინი დააკმაყოფილა, ვინც, ფაქტობრივად, ძალადობრივად გამოსძალა თანხები სახელმწიფოს. ალბათ, მეც რომ სადმე შევჭრილიყავი და რამე დამერბია, მოვხვდებოდი მათ რიგში".**

„ვერსია" შესაბამისი სამსახურებისგან ცდილობდა გამოეთხოვა იმ ბენეფიციართა სია, რომლებმაც განცხადებები შეიტანეს ჯანდაცვის სამინისტროში. გვინდოდა, „შემთხვევითი შერჩევის" პრინციპით, ბინაზე ვწვეოდით იმ სოციალურად დაუცველებს, ვინც დააფინანსეს და მათაც, ვისაც უარი ეთქვა. გვსურდა, გავსაუბრებოდით მათ და ობიექტური ინფორმაცია მოგვეპოვებინა, მაგრამ მიუხედავად არაერთი დაპირებისა, მათგან პასუხი ვერ მივიღეთ. სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განგვიცხადეს: **„სოციალურად დაუცველთა კომპენსირების პროგრამა შეწყდა!"** მიზეზად, ვინმე დარეჯან გველესიანი დასახელდა, რომელსაც თურმე, ქუთაისში სახლი იპოთეკით ჰქონია დატვირთული, ზესტაფონშიც ფლობდა უძრავ ქონებას, მისი სამი შვილი ავეჯის სავაჭრო ცენტრ „საბაში" მუშაობდა და თავადაც ავეჯით ვაჭრობდა.

ცოტა გაუგებარია, სამინისტროს მხრიდან ასეთი საბაბი. სწორია, ერთის გამო, უარი უთხრა უკიდურესად გაჭირვებულ 5 000 ადამიანს, რომელთაც საარსებო მინიმუმიც არ გააჩნიათ, თანაც ისე, რომ არც გააფრთხილო, პროგრამა შეწყდა და დახმარების იმედი ნუღარ გექნებათო?

„ვერსიასთან" საუბრისას, უცნობმა ქალბატონმა, რომელმაც ვინაობა არ გაგვიმხილა, კონკრეტულად, ჯანდაცვის მინისტრ სერგეენკოს მისამართით გამოთქვა უკმაყოფილება: **„დავინტერესდი, ვინ კურირებდა ქირის დაფინანსების პროგრამას, რომ უშუალოდ, მისთვის მომეთხოვა ახსნა-განმარტება. მინდოდა, აეხსნათ ჩემთვის, რატომ ვერ მოვხვდი ქირით დაკმაყოფილებულთა შორის, სამინისტროში კი მიპასუხეს, რომ თავად მინისტრი კურირებდა ამ საკითხს. რა გამოვიდა? ან მინისტრი გვატყუებს ჩვენ, ან მინისტრს ატყუებენ ქვეშევრდომები, ან მინისტრი, ჩვენთან ერთად, ივანიშვილსაც ატყუებს, ეუბნება ვეხმარები გაჭირვებულებსო, სინამდვილეში კი, ყურადღებას არ გვაქცევს. სამწუხაროდ, ყველა შემთხვევაში მოტყუებულები და დაზარალებულები ისევ ღატაკი ფენა ვრჩებით. ისე, იქნებ ოდესმე მაინც ვინმემ გაითვალისწინოს კადრების შერჩევისას, რომ კარგი ექიმი ან საავადმყოფოს დირექტორი არ ნიშნავს ჯანდაცვის კარგ მინისტრს".**

მინდა, ვანუგეშო ქალბატონი და ვუთხრა, რომ საკუთარ და მისი უწყების მოკლეპერიოდიან მოღვაწეობაზე დიდი წარმოდგენისა არც თავად ბატონი დავითი გახლავთ. ამასწინ განაცხადა, ამ მოღვაწეობას, ათბალიანი სისტემით, სამი ქულით ვაფასებო. თუ ეს კარგად აღზრდილი კაცის თავმდაბლობის გამოძახილია, მოკრძალებით შევახსენებთ მინისტრს, რომ ათბალიანი შკალით სამიანი, მამაპაპური ორიანიც არაა და თუ გულახდილი აღიარებაა, მაშინ აშკარად ან მინისტრი, ან საქმისადმი მიდგომაა შესაცვლელი. მანამდე კი, ისღა დაგვრჩენია, ვძრწოდეთ ღარიბები, ავადმყოფები, პენსიონერები...

# „შვილადაყვანილი სამი ბავშვიდან ორი უნარშეზღუდულია. მათი კუთვნილი თანხის დაგვიანება, უბედურების ტოლფასია"

ნელი თორდია

**ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სისტემაში 2010 წელს დაწყებული რეფორმის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ამ კატეგორიის ბავშვებისთვის ოჯახური გარემოს მსგავსი ალტერნატიული მომსახურეობა. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგ, ამუშავდა მინდობითი აღზრდის პროგრამა, რომლის თანახმად, თითოეულ მეურვე ოჯახს, ყოველ აყვანილ ბავშვზე, 450 ლარი ერიცხება, ხოლო თუ ბავშვი უნარშეზღუდულია, დახმარების თანხა 600 ლარით განისაზღვრება. განსხვავებული მდგომარეობაა ნათესაურ მინდობით აღზრდაში, სადაც მეურვე, ჯანმრთელ ბავშვზე ზრუნვისთვის, თვეში 200 ლარს იღებს, ხოლო უნარშეზღუდულზე — 100 ლარით მეტს.**



## რატომ არ ურიცხავს თანხას ჯანდაცვის სამინისტრო მინდობით აღზრდის პროგრამაში მონაწილე ოჯახებს?

არასამთავრობო ორგანიზაცია „იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვა-ანტიკორუფციული კავშირის" თავმჯდომარის, გიორგი ბურჯანაძის ინფორმაციით, ბოლო თვეების განმავლობაში, მინდობითი აღზრდის პროგრამაში მონაწილე ოჯახებისთვის თანხის ჩარიცხვა სერიოზული ხარვეზებით მიმდინარეობს. ბურჯანაძეს, თვალსაჩინოებისთვის, თბილისში მცხოვრები თინათინ მ-ს მაგალითი მოჰყავს, რომელმაც თერჯოლაში მცხოვრები 3 ძმისშვილი იშვილა. მათგან ორი უნარშეზღუდულია და განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებს. ბავშვებს მშობლებიც უნარშეზღუდულები ჰყავთ, ამიტომ უკვე სამი წელია, მამიდასთან ცხოვრობენ. „ვერსიამ" გაარკვია, რომ ქალბატონი თინათინი ბოლო ორი თვეა, ბავშვებისთვის პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას დროულად ვერ იღებს, რის გამოც, გადასახადებსაც ვეღარ იხდის. შესაბამისად, ბუნებრივი აირის მიწოდება უკვე შეუწყვიტეს და ელექტროენერგიის გათიშვითაც ემუქრებიან.

„შვილადაყვანილი სამი ბავშვიდან ორი უნარშეზღუდულია და გამუდმებულ მკურნალობას საჭიროებს. ასეთ პირობებში, ბავშვებისთვის განკუთვნილი თანხების დაგვიანება გადაჭრილ გაზს, დენს, უწამლობასა და უბედურებას ნიშნავს. ხარვეზები სხვა დროსაც ყოფილა, მაგრამ ასეთი დაგვიანება არ მახსოვს. წინა თვეს ბავშვების ფული ორი კვირის დაგვიანებით ჩაგვირიცხეს. ამ თვეში სამი კვირაა, ველოდებით. ამასობაში, გადასახადების დაგროვების გამო, გაზი გამითიშეს. ბავშვებს მედიკამენტები და „პამპერსები" სჭირდებათ. 5 წლის ბიჭი და 7 წლის გოგონა „პამპერსის" გარეშე ვერც სკოლაში მიმყავს და ვერც ბაღში. ისინი ისეთი კატეგორიის ბავშვები არიან, რომლებსაც მარტო ვერ დატოვებ. აქედან გამომდინარე, სამსახური და დამატებითი შემოსავლის წყარო არ მაქვს. ველოდები, პროგრამით გათვალისწინებული თანხები ჩვენამდე როდის მოაღწევს. როგორც გავიგე, ჩემს მდგომარეობაში სხვა ოჯახებიც არიან. ფულის მისაღებად რაღაც საბანკო ამონაწერის მიტანა მთხოვეს და ერთი კვირის წინ ესეც მივიტანე, მაგრამ თანხა მაინც არ ჩანს და ვერც ვერავინ გვეუბნება, როდის მივიღებთ", — ამბობს ქალბატონი თინათინი.

აღმოჩნდა, რომ მზრუნველობამოკლებული პატარები მეურვესთან ნათესაური კავშირის გამოც ზარალდებიან. „ვერსიასთან" საუბრისას, ქალბატონი თინათინი აღნიშნავს: „უნარშეზღუდულ ბავშვებზე დახმარების თანხა, კანონით, ერთი წლის წინ გაორმაგდა, მაგრამ იმის გამო, რომ ჩემი მეურვეობის ქვეშ მყოფები ძმისშვილები არიან, თანხა იგივე დარჩა. არადა, 7 წლის გოგონა თითქმის ბრმაა. სკოლაში ხელით დამყავს და 250 ლარი მარტო თვალის მასაჟებისთვის სჭირდება. 5 წლის ბიჭუნა გენეტიკურად ეპილეფსიანია. ამ ბავშვების მკურნალობას სერიოზული თანხები სჭირდება. გამონაკლისის დაშვებისა და უნარშეზღუდული ძმისშვილებისთვის დახმარების თანხის გაორმაგების თხოვნით, ჯანდაცვის სამინისტროსაც მივმართე და რაიონის სოციალურ სამსახურსაც, თუმცა სამწუხაროდ, პასუხი არ მოგვსვლია".

მინდობითი აღზრდის პროგრამაში მონაწილე ოჯახებისთვის დაგვიანებით თანხის ჩარიცხვის მიზეზების გასარკვევად „ვერსია" შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაუკავშირდა. სოციალური მომსახურეობის სააგენტოს დირექტორის მოადგილემ, **მამუკა მაჭავარიანმა** ერთეულ შემთხვევებში დაგვიანების ფაქტები დაადასტურა, თუმცა საბოლოოდ, ყველაფერი მეურვე ოჯახის მიერ საბუთების დაგვიანებით გადაგზავნას დაბრალდა.

— სისტემური დაგვიანებები არ არსებობს, უბრალოდ, კონკრეტულად, ამ ქალბატონს არ აქვს წარმოდგენილი პირადი ანგარიში, რომელზეც უნდა მოხდეს თანხის ჩარიცხვა. საბანკო სისტემის შეცვლის შემდეგ, გაჩნდა 22-ციფრიანი პირადი ანგარიშის საჭიროება. ამის შესახებ ჩვენმა სოცმუშაკმა ქალბატონი თინათინი გააფრთხილა, თუმცა ანგარიშის ნომრები დღემდე არ მოუწოდებია. როგორც კი 22-ციფრიანი ანგარიშის ნომერს მოგვაწოდებს, თანხა ჩაირიცხება.

**— რატომ ერიცხებათ ქალბატონი თინათინის მზრუნველობამოკლებულ და უნარშეზღუდულ ძმისშვილებს, მათ მდგომარეობაში მყოფ სხვა ბავშვებზე ორჯერ ნაკლები თანხა, თუკი სახელმწიფოს მიზანია მზრუნველობამოკლებული ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებსა და სანათესაოში დაბრუნება?**

— კანონი ასეთ გამონაკლისს ვერ დაუშვებს, რადგან მკაფიოდ განსაზღვრა ნათესაური და არანათესაური მინდობით აღზრდა. ნათესაურ მინდობით აღზრდაში, კეთილი ნებისა და თანხის გარდა, ნათესაური ვალდებულებებიც არსებობს. რაც შეეხება თქვენი კითხვის პათოსს, ჩვენი პრიორიტეტია, ბავშვი ბიოლოგიურ გარემოში დაბრუნდეს, მაგრამ ნათესაურ კავშირში მყოფ მეურვეებს თანხა რომ გავუზარდოთ, ეს სუფთა ბიზნესი გამოვა. ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება მოტივირებული იქნება ფინანსური დაინტერესებით და შეიძლება, ძალიან ცუდი პრეცედენტების გამომწვევი გახდეს. ბიოლოგიურ მშობელს რომ ვუთხრა, დაიბრუნე შენი შვილი და 600 ლარს მოგცემ-თქო, ეს შეიძლება ბიზნესგარიგებად ჩაითვალოს. აქედან გამომდინარე, თუ ბიოლოგიურ მშობელს აქვს უნარი და, რაც მთავარია, სურვილი, შვილი დაიბრუნოს, ეს მისი ნებაა და სახელმწიფოს მხრიდან ყველა ღონისძიება გატარდება ბავშვის რეინტეგრაციისთვის.

***P.S. ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან საუბრის შემდეგ, „ვერსია" ქალბატონ თინათინს დეტალების დასაზუსტებლად კიდევ ერთხელ დაუკავშირდა. მისი განმარტებით, 22-ციფრიანი ანგარიშის ნომერი პირველივე მოთხოვნისას, დაახლოებით, ერთი კვირის წინ გადაგზავნა, თუმცა მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის განკუთვნილი თანხის ჩარიცხვას, ჯერჯერობით, არავინ ჩქარობს.***

# ნიკა ვაჩეიშვილი კულტურის მინისტრს სომხეთთან სადავო ძეგლების აღდგენის ინიციატივის გამო დაუპირისპირდა

ნათია ვასაძე

**„თანამდებობიდან ჩემი წასვლის მიზეზი, კულტურის სამინისტროს დღევანდელ ხელისუფლებასა და ჩვენს შორის განსხვავებული შეხედულებებია“, — ასე ახსნა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან წასვლა. იმას, რომ მათი შეხედულებები და მოსაზრებები არ დაემთხვა, კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ მაშინაც გაუსვა ხაზი, როცა ვაჩეიშვილის წასვლა გვაცნობა და მაშინაც, როცა მისი შემცვლელი მერაბ ბოჭოიძე წარუდგინა საზოგადოებას. „ვერსიის“ ინფორმაციით, ვაჩეიშვილსა და ოდიშარიას გუნდს შორის უთანხმოების მიზეზი, მხოლოდ ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის პროექტი არ იყო. როგორც სამინისტროს კულუარებში შევიტყვეთ, სააგენტოს ძველ და სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობებს შორის შავმა კატამ მაშინ გაირბინა, როცა სომხეთთან სადავო ძეგლების რესტავრაციის დაწყება გადაწყდა. „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, ვაჩეიშვილი არ ეთანხმებოდა სამინისტროს პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით და მიიჩნევდა, რომ ეს საკმაოდ ფაქიზი საკითხი, გარკვეული პერიოდის შემდეგ, დიდი სიფრთხილით უნდა გადამწყდარიყო, თანაც ისე, რომ სომხეთთან სადავო ძეგლები კვლავ დავის საგნად არ დარჩენილიყო. რაც შეეხება სამინისტროს პოზიციას, ამის შესახებ ოდნავ მოგვიანებით მოგახსნებთ და დასკვნების გაკეთება თქვენთვის მოგვინდვია.**

**„ვერსიის“ ინფორმაციას, ჯერჯერობით, არც ერთი მხარე ადასტურებს. წყარო კი გვარწმუნებს, რომ ამასაც თავისი მიზეზი აქვს — კულტურის სამინისტროს. ზოგადად, ამ თემაზე საუბარი არ აწყობს. მით უმეტეს, ახლა, როცა სომხეთთან მოლაპარაკებებია დაწყებული და მის დეტალებს არ ახმაურებენ. ვაჩეიშვილს კი, ალბათ, თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, „შიდა სამზარეულოს“ ბოლომდე აფიშირება არ მიაჩნია სწორად. ასეა თუ ისე, სამინისტროს კულუარებში უკვე აქტიურად ალაპარაკდნენ იმაზე, რომ ნიკა ვაჩეიშვილი სომხეთთან სადავო ეკლესიების აღდგენის ინიციატივასთან დაკავშირებით, „განსხვავებულ შეხედულებას“ „შეეწირა“.**

ინიციატივა კი, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სომხეთში ვიზიტის დროს გაახმოვანა: „ჩემი ფონდის მეშვეობით, მზად ვარ, ორივე ტერიტორიაზე არსებულ საკამათო ეკლესიებს რესტავრაცია ჩავუტარო“. პრემიერის მიერ ორი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობის გაღრმავებისკენ გადადგმული ნაბიჯები მისასალმებელია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს — ხსენებულ ეკლესია-მონასტრებს სომხური მხარეც საკუთარ ისტორიულ ძეგლებად მიიჩნევს და ქართული მხარის მიერ კომპრომისებზე წასვლის მიუხედავად, მათგან თანმხვედრი ნაბიჯები არ იდგმებოდა. მეტიც, მრავალი წლის განმავლობაში, სომხეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართულ ეკლესია-მონასტრებში, ქართულ კვალს შეგნებულად ანადგურებდნენ. სამწუხაროდ, ასეთი არაერთი ფაქტი დაფიქსირდა. პრობლემის მოგვარებას კი, ერთმანეთის მიმართ ბრალდებების წაყენება კი არა, ალბათ, მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო საბჭოების შექმნა და საკითხის საფუძვლიანი შესწავლა სჭირდება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სომხურ მხარესთან მოლაპარაკებები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ უკვე დაიწყო. მეტიც, „ვერსიის“ ინფორმაციით, მხარეებს შორის უკვე გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება, თუმცა ოდიშარიას უწყებაში მსგავსი შეთანხმების არსებობა უარყვეს. როცა მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარს ვკითხეთ, ხელშეკრულებაში რა ვალდებულებები ჩაიდო, კონკრეტულად, რომელ სადავო ძეგლებს ეხება ის და რაზე მოხერხდა სომხურ მხარესთან შეთანხმება, გვიპასუხა, არანაირი ხელშეკრულება ჯერ არ არსებობს, მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება გვაქვსო. ასე რომ, გაირკვა — საქართველოს კულტურის სამინისტრო, სომხურ მხარეს „სიტყვაზე ენდობა“, საქართველოში „საერთო ეკლესიების“ რესტავრაციას იწყებს და იმედი აქვს, სომხეთიც, თავის ტერიტორიაზე არსებულ „საერთო ეკლესიებს“ აღადგენს. აი, ასეთია სამინისტროს პოზიცია.



რატომ არ ხმაურდება ქართულ-სომხური მოლაპარაკების დეტალები და რა „საიდუმლო“ ხელშეკრულება გაფორმდა მხარეებს შორის

„ვერსიასთან“ საუბრისას, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე **მარინე მიზანდარმა** განაცხადა: **„ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებისგან, ჯერჯერობით, თავს შევიკავებ. მიმდინარეობს სამუშაო პროცესი და როცა საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით, მაშინ ვისაუბრებ მედიასთან. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ სომხეთში ვიზიტისას, საქართველოს კულტურის სამინისტროს ეგიდით, თბილისში არსებული ხუთი ეკლესიის კონსერვაცია-რესტავრაცია გადაწყდა. ლაპარაკია იმ სადავო ძეგლებზე, რომლებსაც, შეიძლება ითქვას, „საერთო ძეგლებს“ ვუწოდებთ. კულტურის სამინისტროს დღის წესრიგში ისედაც იდგა მათი აღდგენის საკითხი. პრემიერ-მინისტრიც დაინტერესებული აღმოჩნდა ამ თემით და სწორედ მისი ინიციატივით, სასწრაფოდ დაიწყება რამდენიმე ძეგლზე სარესტავრაციო სამუშაოები“.**

კულტურის მინისტრის მოადგილემ არ დააკონკრეტა, თბილისში რომელ ხუთ ეკლესიაზეა საუბარი, მხოლოდ ის გვითხრა, რომ ეკლესიების რესტავრაცია-კონსერვაციას წინ უძღვის სხვადასხვა პროცესი, მაგალითად: სამუშაო ჯგუფების შექმნა, არქეოლოგიური კვლევები, ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა... გავარკვიეთ ისიც, რომ სამინისტროში მზადდება წერილი სომხეთის კულტურის მინისტრის სახელზე. ქართული მხარე ექსპერტების ჯგუფის გამოყოფას ითხოვს, რომელიც სასწრაფოდ ჩაებმება ეკლესიების რესტავრაციის საქმეში. **„ჯერჯერობით, აზრთა შეჯერების ეტაპზე ვართ, ამიტომ, სანამ კონკრეტული შედეგები არ გვექნება, ვერაფერს დაგიკონკრეტებთ“,** — აცხადებს მარინე მიზანდარი.

ქართული მხარე რომ სარესტავრაციო სამუშაოებს იწყებს, გასაგებია. საინტერესოა, სომხური მხარე თუა მზად, თავადაც გაუკეთოს რესტავრირება მის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ ძეგლებს. მით უმეტეს, ივანიშვილმა სომხეთში ვიზიტისას, გარკვევით განაცხადა, სარესტავრაციო სამუშაოები უნდა განხორციელდეს როგორც საქართველოს, ისე სომხეთის ტერიტორიაზე არსებულ სადავო ძეგლებზე. მარინე მიზანდარმა განგვიცხადა, რომ კონკრეტულად, ამ საკითხთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, არანაირი ოფიციალური შეთანხმება არ არსებობს: **„ჯერ არც არაფერია ფორმულირებული და გაწერილი. საკითხი არ დგას ისე, რომ ხუთი ეკლესია უნდა აღდგეს საქართველოს და ხუთი სომხეთის ტერიტორიაზე. ეს არ ხდება გაცვლის პრინციპით. ჯერ საქართველოში დავიწყებთ ეკლესიების რესტავრაციას. იმედი გვაქვს, სომხური მხარეც იგივეს გააკეთებს და ქართველ სპეციალისტებსაც ექნებათ სომხეთში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე წვდომის საშუალება“.**

იმის გასარკვევად, რამდენად სწორია საქართველოს მთავრობის ასეთი გადაწყვეტილება, მით უმეტეს, სადავო ეკლესიებთან მიმართებაში და გამართლდება თუ არა იმედი, რომ სომხური მხარეც გაუკეთებს რესტავრაციას ქართულ ძეგლებს, არმენოლოგ ბონდო არველაძეს დავუკავშირდით. პროფესორ არველაძეს მიაჩნია, რომ აუცილებელია, ორივე მხარემ — ქართულმა და სომხურმა სახელმწიფომ, ამ საკითხთან დაკავშირებით, დააფიქსიროს მკაფიო პოზიცია.

**„სომეხი მეცნიერები დღემდე არ აღიარებენ სომხეთის ტერიტორიაზე ქართული ძეგლების არსებობას და ამტკიცებენ, რომ არავითარი ქართული ეკლესია ლორე-ტაშირის ტერიტორიაზე არ არსებობს. სომხეთის ტერიტორიაზე არის უამრავი ქართული ძეგლი — ახტალა, ქობერი, ჰნევანქი, ოსკიპარი და სხვები... სომეხი მეცნიერები მათ წარმომავლობით სომხურ ეკლესიებს მიაკუთვნებენ, ხოლო იქ არსებულ ქართულ ეპიგრაფიკას, ისტორიულ ზეგავლენას მიაწერენ. თუ სომხებს აქვთ პრეტენზია ეკლესიებზე საქართველოში, ჩვენც უნდა დავაფიქსიროთ აზრი სომხეთის ტერიტორიაზე ქართულ ეკლესიებთან დაკავშირებით. ვფიქრობ, სომხური მხარე შეთანხმებაზე თავს იმიტომ იკავებს, რომ მათზე დიდი გავლენა აქვს სომეხი მეცნიერების კვლევებს ამ ეკლესიებთან დაკავშირებით. ეჩმიაძინშიც სწორედ ეს მეცნიერები ჰყავთ კონსულტანტებად. ისე არ მოხდეს, რესტავრაცია-კონსერვაცია გავუკეთოთ ე.წ. სომხურ ძეგლებს, იმათ კი გამოგვიცხადონ, სომხეთში ქართული ძეგლები არ არსებობსო“.**

სწორედ ამიტომ, ბატონი ბონდო აუცილებლად მიიჩნევს ეკლესიების კუთვნილების საკითხის დადგენას. მისი აზრით, ეს უნდა მოხდეს სახელმწიფო დონეზე და შესაბამისი სპეციალისტების ძალისხმევით. პროფესორი აცხადებს, რომ ზოგ შემთხვევაში, საკითხი იმდენად ნათელია, კომისიის შექმნაც არაა აუცილებელი: **„არ შეიძლება ასეთი ფაქიზი საკითხის ნაჩქარევად გადაწყვეტა. როგორც ვიცი, ამ ეკლესიების შესასწავლად, არსებობს კომისია. ჯერ ამ ძეგლების წარმომავლობა უნდა დადგინდეს. მე, მაგალითად ვამტკიცებ, რომ ვერცხლის ქუჩაზე მდებარე სურბ-ნშინის ეკლესია არ არის სომხური. ის ქართულია. ამის ცნობებიც არსებობს და ვრცელი ნაშრომიც მაქვს ამ თემაზე“.**

არმენოლოგი ხელისუფლებას სთავაზობს, თუ სადავო ეკლესიებზე შეთანხმება მოხდება, ქართულმა მხარემაც გამოიყენოს შექმნილი ვითარება და რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლის რესტავრაცია მოითხოვოს:

**„მაგალითად: ერევანში, XIII საუკუნის, ლაშა-გიორგისდროინდელი ქართული ეკლესიაა და მისი რესტავრაცია მოითხოვონ. როგორც თბილისს ჰქონდა რამდენიმე კარი, ისევეა ერევანშიც და იქ ერთ-ერთ კარს „ქართველთა კარი“ ეწოდება. სასურველია, თუ ამასაც მიხედავენ. მოგეხსენებათ, ერევნის სახანო იყო ერეკლე II-ს „მოხარკე“ ე.წ. ვასალი. როცა ერევანი აზატ-ხანმა დაიპყრო, სწორედ ერეკლე II-მ, 1751 წელს, აზატ-ხანი განდევნა და ერევანი მისი ბატონობისგან გაათავისუფლა. ერევანთან, ერთ-ერთ ადგილს, „ერეკლეს მაღლობსაც“ ეძახიან. ხომ შეიძლება, იქ მემორიალი აღიმართოს?! მოკლედ, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, თუ სადავო ძეგლებთან დაკავშირებით, სომხეთსა და საქართველოს შორის ორმხრივი შეთანხმება მოხდება, მაგრამ კარგი იქნება, თუ ჩვენი მხრიდან ეს ცალმხრივი სიყვარული არ აღმოჩნდება და სამხრეთელი მეზობლებიც ასეთივე დამოკიდებულებას გამოამჟღავნებენ საქართველოს, მისი ეკლესიისა და ისტორიის მიმართ“.**

## ჯანი ბუკიკიო: „თითქმის ყველგან, პარლამენტი იგივე ქალაქშია, სადაც აღმასრულებელი ორგანო“




**„მნიშვნელოვანი გამონაკლისია სამხრეთ აფრიკის შემთხვევა“,** — აცხადებს ვენეციის კომისიის პრეზიდენტი ჯანი ბუკიკიო და აკონკრეტებს, რომ სამხრეთ აფრიკაში პარლამენტი ქეიფთაუნში მდებარეობს, მთავრობა კი — იოჰანესბურგში, — **„სამხრეთ აფრიკაში, საპარლამენტო სესიების დროს, მინისტრები ერთი ქალაქიდან მეორეში დადიან და პარლამენტარებიც იმავეს აკეთებენ. ეს, ცოტა არ იყოს, ძვირი იქნება, მაგალითად, როგორიცაა ევროპარლამენტის შემთხვევაში“.** ევროკომისია ბრიუსელშია, ევროპარლამენტი კი სტრასბურგში და ამასთან დაკავშირებით, ბევრი კრიტიკა ისმის, რადგან მათი გადაადგილება დიდ ხარჯთანაა დაკავშირებული.

***„ინტერპრესნიუსი“***

## „არავინ იცის, რატომ ზის ლევან ცინცაძე ციხეში“



**„არავინ იცის, რატომ ზის ლევან ცინცაძე ციხეში კახი კალაძის ძმის მკვლელობის საქმეზე“,** — ეს განცხადება საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა გააკეთა.

ლევან კალაძის მკვლელობაში მსჯავრდებულის, ლევან ცინცაძის ადვოკატმა, ირმა ჭკადუამ რამდენიმე დღის წინ, მისი დაცვის ქვეშ მყოფის განცხადება საქართველოს მთავარ პროკურატურაში შეიტანა. ჭკადუა ცინცაძის საქმის ხელახლა გამოძიებას მოითხოვს.

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი კახა კალაძე არ აპირებს, ძმის მკვლელობის საქმის ხელახლა გამოძიებას შეეწინააღმდეგოს. მისი თქმით, თუ ლევან ცინცაძეს მიაჩნია, რომ უდანაშაულოა, შეუძლია, საქმის გადახედვა მოითხოვოს.

***„ინტერპრესნიუსი“***

## ახალი ელჩების სია პრეზიდენტს



საგარეო საქმეთა სამინისტრომ პრეზიდენტს ახალი ელჩების სია გადაუგზავნა. პროცედურების მიხედვით, ხელისმოწერის შემდეგ, პრეზიდენტი სიას პარლამენტში გადაგზავნის განსახილველ-დასამტკიცებლად.

გავრცელებული ინფორმაციით, უკვე ცნობილია რამდენიმე ელჩის სავარაუდო ვინაობა. მაგალითად, საფრანგეთში ელჩობის კანდიდატია ეკა სირაძე-დელონე, უკრაინაში — მიხეილ უკლება, ჩინეთში — დავით აფციაური. გაირკვა ისიც, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ელჩობა ექსპერტ არჩილ გეგეშიძეს შესთავაზეს.

გარდა ამისა, დიდ ბრიტანეთში საქართველოს სრულუფლებიან ელჩად პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძის კანდიდატურა განიხილება, გაერო-ში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად კახა იმნაძეა წარდგენილი, ხოლო გერმანიაში — ლადო ჭანტურია, რომელიც 199-2004 წლებში საქართველოს უზენაეს სასამართლოს ხელმძღვანელობდა, მოგვიანებით კი, პრეზიდენტ სააკაშვილის მრჩეველი იყო. რაც შეეხება კახა იმნაძეს, იგი შევარდნაძის მთავრობის პრესსპიკერად მუშაობდა.

***„ვერსიანიუსი“***




## ჭეშმარიტი კანუდოსელები

**„იგი სიკეთით გახლდათ საცნობი“ — მერაბ კოსტავას გახსენება**

ეს მომხდარა 1978 წელს თბილისის სუკ-ის ციხეში, სადაც მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია მოუთავსებიათ საქმე ნომერ 131-თან დაკავშირებით. აქაური საკანი უნდა ყოფილიყო მატარებლის კუპეზე ოდნავ მოზრდილი. დღის სინათლე ატანდა გისოსებიანი ფანჯრიდან, რომელიც ჩვეულებრივზე მაღლა ყოფილა დატანებული კედელში. პატიმარი გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ამ მიზნით, რკინის კარს ჰქონდა საგანგებო საჭვრეტი.



დამდგარა ლიტანიობის ღამე. მერაბი თბილისის სუკის ციხეში იმყოფებოდა, ზვიად გამსახურდია, იმხანებში, ლეფორტოვოს ციხეში უნდა ყოფილიყო გადაყვანილი, რამდენადაც მახსოვს.

ადვილი არაა იმ სიმძიმილის ცხადად წარმოდგენა, ადამიანს რომ ეუფლება, ამგვარად შეჭირვებულს: მთელს საქრისტიანოში მორწმუნენი ზეიმობენ, ზარები რეკავენ, წირვაზე მყოფნი ერთმანეთს ეხვევიან და ულოცავენ მარადიული ცხოვრების დღესასწაულს, აქ კი ჯერ კიდევ სიკვდილის აჩრდილი ტრიალებს. მერაბს შინაგანად უგრძნია ამ ჟამის დადგომა, ზეწამოჭრილა, ხელებით ჩაფრენია გისოსებს, აწეულა ისე, რომ შიდა ეზო ნაწილობრივ დაულანდავს და მთელი ხმით დაუჭექავს:

**„ქრისტე აღსდგა!“**

არ არის ძნელი იმის წარმოდგენა, თუ როგორ იმოქმედებდა ეს ხმა ციხის პერსონალზე. დაახლოებით, იგივე სურათი იქნება, თუ ერთ ჭიქა გახურებულ ზეთს კრაზანების ბუდეში ჩაღვრით. ამტყდარა განგაში.

**„ქრისტე აღსდგა!“**

განმეორდა კიდევ. ზედამხედველები მერაბის საკანში შეჭრილან, ჩამოკიდებიან ფეხებზე, მთელი ძალით ეზიდებოდნენ დაბლა. მერაბი ფიზიკურად ისედაც ძლიერი იყო, „მაგრამ, ამ დროს, საოცარი ძალის მოზღვავება ვიგრძენი“, — იგონებდა. „ვიძახებ იქამდე, ვიდრე არ მიპასუხებს ვინმე“, — ფიქრობდა თურმე. არადა, არსაიდან ისმოდა „ჭეშმარიტად!“ სიკვდილის, რღვევისა და გაქვავების საუფლოში. „ქრისტე აღსდგა!“ — ისევ სჭექდა მერაბის ხმა, რაც ზედამხედველებს კიდევ უფრო აცოფებდა, მაგრამ ვერაფერს აწყობდნენ. და მერვედ თუ მეცხრედ დაძახების შემდეგ სადღაც შორიდან მართლაც მოისმა:

**„ჭეშმარიტად!“**

ალბათ პატიმარი თუ იყო ვინმე. „მაშინ კი შევუშვი ხელები გისოსებს“, — იგონებდა მერაბი.

***კონსტანტინე გამსახურდია (უმცროსი)***

# ირენ სანდლერი, ბებო-ანგელოზი, რომელმაც 2500-ზე მეტი ბავშვი გადაარჩინა!



ირენ სანდლერი პოლონეთის იატაკქვეშა მოძრაობის წევრი იყო, მეორე მსოფლიო ომის დროს, როგორც მედდა, ვარშავის გეტოში შედიოდა. ამ უფლების მოპოვებაში გერმანულმა წარმომავლობამ შეუწყო ხელი.

ირენ სანდლერს ჩანთით და მანქანით გეტოდან ბავშვები გამოჰყავდა — ჩვილები, მოზრდილები.

ჰყავდა სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლი, რომელსაც ჭისკარში შესვლა-გამოსვლის დროს აყეფებდა. ერთი, რომ გუშაგები მანქანას, „ავი“ ძაღლის გამო, აღარ ეკარებოდნენ და მეორეც, ყეფა ფარავდა ბავშვების ხმას.

ასე გამოიყვანა გეტოდან 2500 ბავშვზე მეტი. ბავშვებს პოლონელი ოჯახები მალავდნენ.

მაინც გაუგეს, დაიჭირეს და ისე აწამეს, ხელ-ფეხი დაემტვრა. გადარჩა და ისევ გააგრძელა იატაკქვეშა საქმიანობა.

ირენ სანდლერი ბავშვების მონაცემებს მეგობრის ბაღში, ვაშლის ხის ძირას, მიწაში მინის ქილით რგავდა, რომ ომის დამთავრების შემდეგ, მშობლებსა და შვილებს ერთმანეთის პოვნა შეძლებოდათ.

ომის შემდეგ, ამ მონაცემებით მართლაც მოძებნეს გაზის კამერებს გადარჩენილი მშობლები. ობლების ნაწილი პოლონელებმა იშვილეს, ნაწილი ებრაელთა ბავშვთა სახლებში გადაიყვანეს.

პოლონეთის კომპარტიამ კი ირენ სანდლერის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო.

1949 წელს, მორიგი დაკითხვების დროს, იგი ფეხმძიმედ იყო. ბიჭუნა ნაადრევად დაიბადა და თერთმეტ დღეში გარდაიცვალა.

ირენ სანდლერს აკრძალული ჰქონდა ქვეყნიდან გასვლაც, მიზეზი: ქვეყნის მთავრობასთან პოლიტიკური შეუთავსებლობა. მხოლოდ კომუნისტური რეჟიმის შეცვლის შემდეგ შეძლო ისრაელში ჩასვლა, საიდანაც გამუდმებით მოსდიოდა მოწვევა.

გარდაიცვალა 2008 წელს, 98 წლის ასაკში, ვარშავაში, თავის ერთოთახიან ბინაში.

2007 წელს პოლონეთმა და ისრაელმა ირენ სანდლერი ნობელის პრემიაზე წარადგინა მშვიდობის დარგში. პრემია მიანიჭეს ალბერ გორს, ამერიკის ვიცე-პრემიერს — გლობალური დათბობის სლაიდ-შოუსთვის.

თუმცა თავად ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილება იყო შოუ!

რა ნობელის პრემია, რის ნობელის პრემია — სამყარო ასეთ ადამიანებზე დგას, მათ ხელებსა და გულზე!

მადლობა ამ ბებო-ბაბუაწვერას, ირენ სანდლერს, რომელმაც ერთმა შეძლო ის, რასაც ათასები ვერ გავაკეთებდით, რასაც ვერც ერთი პრემია, თუნდაც ის იყოს ყბადაღებული ნობელის პრემია მშვიდობის დარგში, ვერ შეედრება!

## რამაზ ზარნაძე



**აბა, ერთი, გალაკტიონის ეს ჩანაწერი ნახეთ, დაბეჭდილი არა მგონია, სადმე იყოს, ლიტმუზეუმის არქივში ვიპოვე:**

***შავი ზღვა***
***გახედე სივრცეს... მთელი ეს ზღვა ნეტავი ოდეს***
***ერთ უზარმაზარ არყის ქვაბად გადიქცეოდეს,***
***მაშინვე ხარბი, დაუფიქრებლად გადეშვება სათრობად რუსი,***
***შიგ ჩაიხრჩვება და გაქრება როგორც ბურუსი!***



## ეგვიპტეს სასამართლომ „მუსლიმთა უმანკოების“ ავტორებს ჩამოხრჩობა მიუსაჯა

ეგვიპტეს სასამართლომ სკანდალური ფილმის „მუსლიმთა უმანკოების“ ავტორებს ჩამოხრჩობა მიუსაჯა. შვიდ ეგვიპტელ კოპტს, რომლებიც ფილმის ავტორებად ითვლებიან, სასამართლომ განაჩენი დაუსწრებლად გამოუტანა.

სკანდალური ფილმის ავტორების მიმართ გამოტანილი ვერდიქტი ქვეყნის უმაღლესმა მუფტმა უკვე დაადასტურა და ამით განაჩენი ძალაში შევიდა.

„მუსლიმთა უმანკოება“ გასულ წელს გადაიღეს. ინტერნეტში მისი თრეილერის განთავსებისთანავე, ისლამურ სახელმწიფოებში, პროტესტის ნიშნად, არეულობები დაიწყო. ამ ფილმს უკავშირდება ლიბიაში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მკვლელობაც. შეგახსენებთ, რომ ფილმში ერთ-ერთ როლს ქართველი მსახიობი ანა გურჯი (გიორგობიანი) ასრულებს.

## უინსტონ ჩერჩილი: „შენი გაკეთებული შენვე დაგიბრუნდება“



მეოცე საუკუნის ბოლოს, ერთი შოტლანდიელი გლეხი სახლში ბრუნდებოდა, როცა მოესმა ბავშვის შემზარავი ყვირილი, ბავშვი შველას ითხოვდა. გლეხი გაიქცა იმ მიმართულებით, სადაც ყვირილი ისმოდა და დაინახა ბავშვი, რომელიც ჭაობში იხრჩობოდა. განწირული ბავშვი ცდილობდა, ამოსულიყო, მაგრამ ყოველი მოძრაობისას, პირიქით, სულ უფრო და უფრო ჭაობის ლაფში იძირებოდა.

გლეხმა სასწრაფოდ მოტეხა გრძელი ტოტი და გაუწოდა მას. ბავშვი მოეჭიდა ტოტს და ამგვარად მოახერხა, თავი დაეღწია ჭაობიდან. გლეხმა გამოიყვანა ბავშვი უსაფრთხო ადგილას, რომელიც კარგა დიდხანს ვეღარ იკავებდა ცრემლებს. გლეხმა შესთავაზა ბავშვს — წამოდი ჩემთან, მოისვენე, გაშრი და გათბიო, მაგრამ ბავშვისგან უარი მიიღო. არა, მამა მელოდება, ალბათ, ძალიან ნერვიულობს, — უთხრა ბავშვმა, მადლიერებით შეხედა თვალებში ფერმერს და გაიქცა.

მეორე დღეს ფერმერმა დაინახა, რომ მის სახლს მიადგა მდიდრული ეტლი, რომელზედაც ჯიშიანი ცხენები იყვნენ გამობმულნი. ეტლიდან გადმოვიდა მდიდრულად ჩაცმული ჯელტმენი და იკითხა:

— თქვენ გადაარჩინეთ გუშინ ჩემი შვილი?

— დიახ, — უპასუხა გლეხმა.

— რამდენი გადაგიხადოთ?

— არაფერი, მე მოვიქეცი ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო ნებისმიერი ნორმალური ადამიანი.

— არა, მე არ შემიძლია, ეს ასე, უბრალოდ დავტოვო, ჩემი შვილი ჩემთვის ძალიან ძვირფასია, მითხარით, რამდენიც გნებავთ, — არ ეშვებოდა მდიდარი ჯენტლმენი.

— მე აღარ მინდა ამ თემაზე მეტი საუბარი, კარგად ბრძანდებოდეთ, – უპასუხა გლეხმა და გაბრუნდა, რომ წასულიყო, მაგრამ ამ დროს, სახლიდან გამოიქცა პატარა ბიჭი.

— ეს თქვენი შვილია? – იკითხა მდიდარმა სტუმარმა.

— დიახ, — ამაყად უპასუხა გლეხმა და ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა.

— მოდით, მაშინ გავაკეთოთ ასე, მე წავიყვან თქვენს შვილს ლონდონში, დავაფინანსებ მის განათლებას. თუ ის ისევე მადლიერია, როგორც მისი მამა, მაშინ არც მე და არც თქვენ არ ვინანებთ ამ გადაწყვეტილებას.

გავიდა რამდენიმე წელი, ფერმერის შვილმა დაამთავრა სკოლა, მედიცინის უნივერსიტეტი და მალე მისი სახელი გაიცნო მთელმა მსოფლიომ, როგორც ადამიანი, რომელმაც გამოიგონა პენიცილინი. მას ერქვა ალექსანდრე ფლემინგი.

ომის დაწყების წინ, ერთერთ მდიდრულ კლინიკაში მოათავსეს სწორედ იმ მდიდარი ჯენტლმენის შვილი, ფილტვების ანთების მწვავე დიაგნოზით და როგორ ფიქრობთ, რამ გადაარჩინა მისი სიცოცხლე ამჯერად? დიახ პენიცილინმა, რომელიც შექმნა ალექსანდრე ფლამენგმა, ხოლო მდიდარი ჯელტმენი, რომელმაც დააფინანსა მისი განათლება, იყო პანდოლფ ჩერჩილი. ხოლო მის შვილს ერქვა უინსტონ ჩერჩილი, რომელიც შემდგომ გახდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი. სწორედ ამის გამო, ერთხელ უინსტონ ჩერჩილმა თქვა: „შენი გაკეთებული, შენვე დაგიბრუნდება“.



# ჰოროსკოპი

## 1 თებერვალი

***ვერძი*** — დღეს ფინანსური დანაკარგი გელით. სახლში დაძაბული ატმოსფერო იძულებულს გაგხდით, საღამო მეგობრების წრეში გაატაროთ. მთავარია, ჰესიმისზმში არ გადავარდეთ და ყველაფერი დალაგდება. კარგი დღეა ახალი ნაცნობობისა და მგზავრობისთვის.

***კურო*** — ეს დღე კუროებისთვის მოულოდნელობებით იქნება სავსე. ძალიან გაგიჭირდებათ, თავი აარიდოთ ცდუნებას, სხვა ადამიანების ნეგატიურ გავლენასა და მავნე ჩვევებს. სჯობს, ნაკლები იწუწუნოთ უბედობასა და გარშემომყოფთა მხარდაჭერის არარსებობაზე.

***ტყუპები*** — დღეს, შესაძლოა, ვალი დაგიბრუნონ ან ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ. თქვენი თავშეკავება ახლობელი ადამიანის მიერ უყურადღებობად იქნება აღქმული, რაც გაუგებრობასა და წყენას გამოიწვევს. არაა გამორიცხული, თქვენი მეორე ნახევრის ნათესავებმა რჩევისა და დახმარებისთვის მოგაკითხონ.

***კირჩხიბი*** — დღეს ადვილად შეძლებთ ჰატარა შეცდომების დამალვას, რის გამოც მხოლოდ ახლობლები დაზარალდებიან. არ არის გამორიცხული დანაკარგი ადრინდელი ფინანსური მოქმედებების გამო. ეს გამოვლინდება ფულად გადარიცხვებში, რაც ადრესატამდე არ მივა.

***ლომი*** — დღე ლომებისთვის მაღალი აქტიურობით იქნება გამორჩეული. თქვენი სამუშაო და ახლობლების წინაშე მოვალეობა მთელ ყურადღებას წაიღებს. საღამოს, გირჩევთ, მეტი დრო სახლის საქმეებს დაუთმოთ და არ დაიწყოთ ურთიერთობების გარკვევა შინაურებთან. დღის განმავლობაში ახალი იდეები გაგიჩნდებათ, რაზეც დაფიქრება ნამდვილად ღირს.

***ქალწული*** — კარგი დღეა როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი სამუშაოსთვის. ჰარმონიული დღეა ფინანსების მხრივაც. სასიამოვნო და სასარგებლო იქნება ურთიერთობა ოჯახის უფროს წევრებთან, მეგობრებთან. ფინანსურ საკითხებში მეტი გამბედაობა და მობილიზება გამოიჩინეთ.

***სასწორი*** — სასწორები დღეს ყურადღების ცენტრში იქნებიან. წარუმატებელი დღეა ინტიმური ურთიერთობებისთვის. თუ ვინმესთან ნაჩხუბარი ხართ, სწორედ შესაფერისი დროა შესარიგებლად. წარმატებული იქნება კომერციული ოპერაციები, შესაძლოა, რაიმე სახის დახმარება უცხოეთიდან მიიღოთ.

***ღრიანკალი*** — დღეს დაუგეგმავი ხარჯები გელით, არ არის გამორიცხული, უსიამოვნო ცნობა მიიღოთ ან უსიამოვნო ვითარებაში აღმოჩნდეთ, თუმცა დღის განმავლობაში წარმატება თქვენი თანმდევი იქნება საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში. შესაძლოა, ძველი სასიყვარულო ურთიერთობაც განაახლოთ.

***მშვილდოსანი*** — მშვილდოსნებს დღეს ფინანსური დანაკარგი ელით — ეს ყველაფერი თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო ხდება. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობების გართულების ალბათობაც დიდია და დაშორების რისკიც. დაეხმარეთ გარშემომყოფებს და ისინი თქვენი დიდი მადლობლები იქნებიან.

***თხის რქა*** — დღევანდელი დღე საუკეთესოა საქმიანი მოგზაურობისა და მოლაპარაკებებისთვის. შესაფერისი მომენტია საყვარელ ადამიანთან ურთიერთობების გასარკვევად. მოერიდეთ კომპიუტერთან მუშაობას, დღევანდელი მენიუდან საერთოდ გამორიცხეთ ხორცი და ის ბოსტნეულით ჩაანაცვლეთ.

***მერწყული*** — დიდი ხნის დაწყებულ საქმეს დაასრულებთ, რაც თქვენი ახლობლების ცხოვრების გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული. აუცილებლად გახდებით მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმე, რაც ცხოვრების წვრილმანების მნიშვნელობას შეგახსენებთ. ფინანსების მხრივ, საკმაოდ წარმატებული დღეა.

***თევზები*** — თევზებს დღე კოლეგებთან, მშობლებსა და ასევე ახლო ნათესავებთან ურთიერთობაში სირთულეს ჰპირდება. დღის განმავლობაში უფრო სერიოზული და შრომისმოყვარე იყავით. საღამოს, შესაძლოა, ფინანსური პრობლემაც გაჩნდეს.

# მერილინ მონრო ნაყინის ჩხირზე

პროდუქტების ბაზარზე არსებული მკაცრი კონკურენციის პირობებში, მწარმოებლები ათასგვარ ეშმაკობას მიმართავენ, რათა კლიენტებს სწორედ მათი პროდუქციის ყიდვის სურვილი გაუჩნდეთ. კრეატიული მარკეტინგული გათვლა ჰქონდა რუსულ სარეკლამო სააგენტოს STOYN, რომელმაც ნაყინის ახალი ხაზი წარმოადგინა უჩვეულო ფორმებითა და ორიგინალური გემოთი. ამ პირის ჩასატკბარუნებელს კინოსა და მულტფილმების პოპულარული გმირების თუ სხვა ცნობილი ადამიანების სახით უშვებენ. ასე, მაგალითად, ნაყინის ჩხირზე წამოცმული აღმოჩნდა







მერილინ მონრო, ერნესტო ჩე გევარა, ვლადიმერ მაიაკოვსკი, დარტ ვეიდერი და სხვები. შესაძლოა, ვინმეს უსიამოვნოდ მოეჩვენოს „ფრედი კრიუგერის“ ალოკვის იდეა ფილმიდან „კოშმარი ვიაზევის ქუჩაზე“. სამაგიეროდ, როგორც ნაყინის მწარმოებლები აცხადებენ, მათი პროდუქტი მხოლოდ და მხოლოდ, ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა ინგრედიენტებისგან მზადდება. მონროს გამოსახულებიანი ნაყინი მარწყვისაა, ჩე გევარას ცოტა რომი აქვს გარეული, „ფრედი კრიუგერს“ — პომიდორი და ცხარე წიწაკა, დარტ ვეიდერს — მოცვი, მაიაკოვსკის კი არყიანი შტოში შეურიეს.



# რომის პაპის მტრედს თოლია თავს დაესხა

ყოველ კვირა დღეს, რომის პაპი მიმართავს ათასობით მომლოცველს, რომელიც ვატიკანის მოედანზე იკრიბება.

გასულ კვირას რომის პაპის ქადაგება ეხებოდა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნას, კეთრით დაავადებულთა დახმარებას. პაპი მიესალმა სტუმრად ჩამოსულ პოლონელ მომლოცველებს, ბავშვებსა და მოზარდებს ორგანიზაცია „კათოლიკური მოქმედებიდან“ და ყველას მოუწოდა საყოველთაო მშვიდობისკენ.

ამ სიტყვების დასასრულს, მან ორ ნორჩ მომლოცველთან ერთად, სიმბოლურად, ვატიკანის სასახლის ფანჯრიდან გაუშვა მშვიდობის მტრედები, რა დროსსაც მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: ერთ-ერთ მტრედს თავს დააცხრა თოლია.

აგრესიული თოლია უნისკარტებდა მტრედს, რომელიც დამფრთხალი ეძებდა სამალავს ტაძრის სვეტებს შორის. ბოლოს მტრედმა მოახერხა თოლიასგან თავისდაღწევა და ტაძრის სვეტებს შორის გაუჩინარდა. მოედანზე შეკრებილმა ხალხმა შვებით ამოისუნთქა.

დასკვნებიც შესაფერისი გაკეთდა: მომხდარი, სიმბოლურად, ასახავდა თანამედროვე ცხოვრების რეალიებს — კეთილი ზრახვები და მშვიდობისკენ მოწოდებები ეჯახება წინააღმდეგობრივ ძალთა აგრესიულ ქმედებებს.

***„ნიუს.გე“***



# ხვრინვა სერიოზულ დაავადებებს იწვევს

ამერიკელმა მეცნიერებმა დეტროიტის უნივერსიტეტიდან ხვრინვის თაობაზე გამოკვლევები გააგრძელეს. ამჯერად, დაადგინეს, რომ გარდა ძილში სუნთქვის მცირეხნიანი გაჩერებისა, ხვრინვა სხვა საშიში დაავადების წარმოშობის მიზეზიც შეიძლება გახდეს. მკვლევარებმა 18-დან 50 წლამდე ასაკის, ათასამდე ადამიანის გამოკითხვა ჩაატარეს და მათი გულსისხლძარღვთა სისტემაც გამოიკვლიეს. აღმოჩნდა, რომ ძილის არტერიის შიდა გარსი მხვრინავ ადამიანებში შეცვლილი, უფრო სწორად, შესქელებული იყო დიდი რაოდენობით ქოლესტერინის შემცველი უჯრედების დაგროვების გამო. ეს ფაქტი კი იშემიური ინსულტის განვითარების რისკის არსებობას მიანიშნებს.



# ჰოროსკოპი
## 2 თებერვალი

***ვერძი*** — თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო, შესაძლოა, ფინანსური დანაკარგი იწვნიოთ. ზედმეტი იმპულსურობა ნაჩქარევ ნაბიჯს გადაგადგმევინებთ. საყვარელ ადამიანთან გართულებული ურთიერთობები კი, შეიძლება, ჩიხში შევიდეს.

***კურო*** — დღეს ერთ-ერთი ახლო მეგობრის საქციელი სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევთ პატარა ნიუანსებსა და წვრილმანებს. შესაძლოა, კარგი ამბები გახაროთ ახლო ნათესავმა. ეს ინფორმაცია თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის.

***ტყუპები*** — დღეს შეგიძლიათ თამამად აიღოთ ვალი და თანხა კარგ საქმეში დააბანდოთ. გაბედულად გამოიჩინეთ ინიციატივა და საქმიანი წინადადებები კოლეგებსა თუ უფროსობასთან განიხილეთ. საღამოს, შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ. დაძაბულობის მოსახსნელად კი, ძილის წინ, ცხელი აბაზანა მიიღეთ.

***კირჩხიბი*** — კარგი დღეა სერიოზული სამუშაოსა და გაბედული ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანისთვის. დღეს ტყუილის თქმა ვერ გიშველით, ის მხოლოდ დაგაზარალებთ. გამოიჩინეთ თავშეკავებულობა და ნუ გაჯიუტდებით — მოგეცემათ საშუალება, ჩანაფიქრი მოკლე ხანში აისრულოთ. დღეს დიდი ალბათობაა ახალი რომანტიკული კავშირისა.

***ლომი*** — ლომებმა უფროსობასთან სიბრძნე და გამძლეობა უნდა გამოავლინონ. გულღია საუბარი საკუთარი თავის რწმენას დაგიბრუნებთ. ბავშვებს კი დიდი ხნით უყურადღებოდ ნუ დატოვებთ, რადგან არის ტრავმების საფრთხე. თუ კუჭი გაწუხებთ, დღეს მენიუდან აუცილებლად გამორიცხეთ მარილიანი და მწარე საკვები.

***ქალწული*** — შესაძლოა, ისეთ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, რაც ტაქტსა და მოთმინებას საჭიროებს. სასიყვარულო პაემანი, სჯობს, გადადოთ, რადგან დღეს ის კარგს არაფერს მოგიტანთ და ვერც უსიამოვნო სერიოზულ საუბარს გაექცევით. საღამოს ბავშვები განებივრეთ და მათ ახალი სათამაშო ან საინტერესო წიგნი შეუძინეთ.

***სასწორი*** — დიდია ალბათობა, დღეს ის ვალი დაგიბრუნონ, რომელიც აღარც კი გახსოვდათ. ყურადღებით იყავით პარტნიორის არჩევისას, რადგან ურთიერთობა, შესაძლოა, საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდეს. ნურც მოვლენებს დააჩქარებთ, რადგან არც ისე სასურველი დღეა კარდინალური ცვლილებებისთვის, სამაგიეროდ წარმატებული დღეა შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებისთვის.

***ღრიანკალი*** — არ არის გამორიცხული, ხელმძღვანელობამ არასწორად შეაფასოს თქვენი საქმიანი აქტიურობა. სავარაუდოა, რომ მატერიალურ სიძნელეებს წააწყდებით, დღის განმავლობაში კი, შეხვდებით გავლენიან ადამიანებს.

***მშვილდოსანი*** — დღეს განსაკუთრებით მობილიზებული უნდა იყოთ, რათა რთული სამუშაო კარგად შეასრულოთ. შესაძლოა, თქვენს პარტნიორებზე გახდეთ დამოკიდებული. ხანმოკლე სამსახურებრივი რომანი კოლეგებისა და უფროსობის მხრიდან აშკარა გულისწყრომას გამოიწვევს. ფრთხილად იყავით ავტომანქანის მართვისას.

***თხის რქა*** — თხის რქებისთვის დღე კონფლიქტით დაიწყება. თავისმართლება არ გიშველით, რადგან დიდწილად, დამნაშავე თავად იქნებით. თუ პრეპარატების ყიდვა დაგჭირდათ, ყურადღებით დააკვირდით ვადას და წამლის მოხმარებისას, არავითარ შემთხვევაში დოზას არ გადააჭარბოთ. დღეს თავი შეიკავეთ მძიმე საკვების მიღებისგანაც.

***მერწყული*** — დღეს შეგიძლიათ მოხერხებულად ისარგებლოთ სიტუაციით, საქმეში წინ რომ წაიწიოთ. კარგი პერსპექტივებია პირად ცხოვრებაში, თუკი ინტელექტუალური საუბრები გიტაცებთ. შესაძლოა, პრობლემები შეგექმნათ საქმიან პარტნიორებთან.

***თევზები*** — შეეცადეთ, დღეს დინებამ შორს არ გაგიტაცოთ, რადგან მერე ძალიან გაგიჭირდებათ მიწაზე დაშვება. დღეს ძალიან ფრთხილად იყავით — ბევრი ისეთი ადამიანი ტრიალებს თქვენს ირგვლივ, რომელიც მზადაა, ნებისმიერ დროს გიმტროთ. დღეს საინტერესოდ გაატარებთ. ყველა მნიშვნელოვანი საკითხი მოაგვარეთ, საღამოს კი დრო მეგობრების წრეში გართობას დაუთმეთ.

# სალამურით ძილი ჯანმრთელობას ვნებს?



ნისლიან ალბიონზე ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ძილისთვის ყველაზე შესაფერისი ტანსაცმელი ადამ და ევას „კოსტიუმია“. სწავლულები აღნიშნავენ, რომ პიჟამით ძილი სრულფასოვანი დასვენება არ არის რამდენიმე მიზეზის გამო. ძილის დროს უმნიშვნელო გადახურებაც კი მელატონინისა და ზრდის ჰორმონის გამომუშავებას უშლის ხელს. ადამიანს, რომელსაც შიშველს სძინავს, კორტიზოლის სტრესის ჰორმონის დონე უმცირდება. ეს საშუალებას იძლევა, კარგ განწყობაზე გაიღვიძოს და მთელი დღის განმავლობაშიც დარჩეს კეთილგანწყობილი. კორტიზოლის დაბალი დონის გამო კი, ადამიანი მადას აკონტროლებს. გარდა ამისა, ძილის დროს, სხეულის ბუნებრივი ტემპერატურა კანის რეგენერაციას უწყობს ხელს.


### შენდობა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**






**ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.**

**რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.**

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

**Appraisal.llc**

შპს „აპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com




# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 5 | 1 | 4 | 8 | 7 | 3 | 6 | 2 |
| 8 | 6 | 4 | 3 | 9 | 2 | 1 | 7 | 5 |
| 3 | 2 | 7 | 1 | 6 | 5 | 4 | 9 | 8 |
| 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 |
| 4 | 3 | 6 | 5 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 7 | 8 | 5 | 9 | 4 | 3 | 2 | 1 | 6 |
| 6 | 4 | 3 | 7 | 5 | 9 | 8 | 2 | 1 |
| 1 | 9 | 2 | 6 | 3 | 8 | 7 | 5 | 4 |
| 5 | 7 | 8 | 2 | 1 | 4 | 6 | 3 | 9 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 6 | 7 | 5 | 2 | 9 | 4 | 1 | 8 |
| 1 | 8 | 2 | 4 | 7 | 6 | 5 | 9 | 3 |
| 9 | 5 | 4 | 1 | 8 | 3 | 7 | 2 | 6 |
| 2 | 4 | 6 | 9 | 3 | 7 | 1 | 8 | 5 |
| 8 | 3 | 1 | 6 | 5 | 2 | 9 | 7 | 4 |
| 7 | 9 | 5 | 8 | 1 | 4 | 6 | 3 | 2 |
| 6 | 2 | 9 | 7 | 4 | 8 | 3 | 5 | 1 |
| 4 | 1 | 3 | 2 | 9 | 5 | 8 | 6 | 7 |
| 5 | 7 | 8 | 3 | 6 | 1 | 2 | 4 | 9 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 2 | 1 | 6 | 8 | 7 | 9 | 5 |
| 1 | 5 | 7 | 9 | 4 | 2 | 3 | 8 | 6 |
| 9 | 8 | 6 | 3 | 7 | 5 | 4 | 2 | 1 |
| 8 | 6 | 4 | 5 | 3 | 1 | 9 | 7 | 2 |
| 7 | 2 | 5 | 8 | 9 | 6 | 1 | 4 | 3 |
| 3 | 1 | 9 | 4 | 2 | 7 | 6 | 5 | 8 |
| 6 | 9 | 3 | 2 | 8 | 4 | 5 | 1 | 7 |
| 2 | 4 | 1 | 7 | 5 | 3 | 8 | 6 | 9 |
| 5 | 7 | 8 | 6 | 1 | 9 | 2 | 3 | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 9 | 6 | 1 | 8 | 3 | 2 | 5 | 7 |
| 7 | 3 | 2 | 6 | 9 | 5 | 4 | 1 | 8 |
| 5 | 8 | 1 | 2 | 7 | 4 | 3 | 9 | 6 |
| 2 | 1 | 9 | 8 | 5 | 7 | 6 | 3 | 4 |
| 8 | 7 | 5 | 4 | 3 | 6 | 1 | 2 | 9 |
| 3 | 6 | 4 | 9 | 1 | 2 | 8 | 7 | 5 |
| 6 | 5 | 3 | 7 | 4 | 1 | 9 | 8 | 2 |
| 1 | 2 | 8 | 5 | 6 | 9 | 7 | 4 | 3 |
| 9 | 4 | 7 | 3 | 2 | 8 | 5 | 6 | 1 |



# ჰოროსკოპი

## 3 თებერვალი

***ვერძი*** — დღეს უნდა მოხდეს მოვლენა, რომელსაც დიდი ხანია ელოდებით. შესაძლოა, ამასთან დაკავშირებით, გეგმების გადახედვა დაგჭირდეთ, რადგან ნანატრ სიტუაციაში ყველაზე შეუფერებელ დროს აღმოჩნდებით.

***კურო*** — თუკი ასე თავგამოდებით ცდილობთ არსებული კანონების დარღვევას და მზად იყავით, რომ ამისგან კარგს ვერაფერს მიიღებთ. ნუ შეეცდებით, დღეს იმ საქმით დაკავდეთ, რაშიც ეჭვი გეპარებათ.

***ტყუპები*** — შეეცადეთ, ბევრ საქმეს ერთდროულად არ მოედოთ — სჯობს, ძალისხმევა ერთ, კონკრეტულ საქმეს მოახმაროთ. საღამოს რომანტიკული შეხვედრის ალბათობა დიდია.

***კირჩხიბი*** — საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულებმა დღეს, შესაძლოა, რეკორდული რაოდენობის სისულელე ჩაიდინოთ. ყური დაუგდეთ გარშემომყოფების რჩევებს — ისინი არც ისე გამოუსადეგარი აღმოჩნდება, როგორც თქვენ გგონიათ.

***ლომი*** — დღეს ზუსტად უნდა განსაზღვროთ, ვის არ უნდა მიაქციოთ ყურადღება. თქვენი აკურატულობა დაგეხმარებათ, თავიდან აიცილოთ დიდი კონფლიქტი, რომლის ალბათობაც ძალიან დიდია.

***ქალწული*** — დღეს საკუთარი ინსტინქტები უმართავს გხდით. ყურადღების კონცენტრირებას საქმეზე ვერ ახერხებთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ეს მხოლოდ დროებითია.

***სასწორი*** — სასწორები დღეს დაძაბულ სიტუაციაში აღმოჩნდებით. თუ საკითხის მშვიდობიანად მოგვარება ვერ შეძელით, რადგან თქვენი მოსმენა არ სურთ, მაშინ მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა მოგიწევთ. დღეს თავს უკან დახევის უფლება არ უნდა მისცეთ.

***ღრიანკალი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები ურჩევენ, დღეს ტემპი შეანელონ და ამოისუნთქონ. ეს ცოტა გონებას გაგინათებთ და ისიც გაგახსენდებათ, რისთვის იღვწით ასე გამალებით.

***მშვილდოსანი*** — მშვილდოსნებს შეუძლიათ, დღეს დილიდან საღამომდე ინებივრონ და ყოველი წამით დატკბნენ. განსაკუთრებით კარგი კი, საღამო იქნება, რომელსაც მარტოობაში ნამდვილად არ გაატარებთ.

***თხის რქა*** — დღეს რეალური შანსი გაქვთ, გუშინდელი მტრები მოკავშირეებად აქციოთ. მხოლოდ ნუ იფიქრებთ, რომ ამის რეალიზება ძალიან ადვილი იქნება. ისე კი, თუ ეს არ მოხერხდება, თქვენ მაინც არაფერს დაკარგავთ.

***მერწყული*** — მერწყულებს დღეს, შესაძლოა, საკმაოდ მკაცრად მოექცნენ. მაგრამ თუ გადაწყვეტთ, საქმეში თქვენი იუმორის გრძნობა ჩართოთ, ამ საქციელს მომენტალურად ინანებენ არაკეთილმოსურნეები.

***თევზები*** — ცხოვრება, როგორც ცნობილია, შავ-თეთრი ზოლებია. ამჯერად, ისეთ ზოლში მოხვდებით, რომელიც ცისარტყელას ყველა ფერითაა შეფერილი. ასე რომ, კარგ გართობასა და დასვენებას გისურვებთ.

# ეს საინტერესოა...



მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უამრავი საინტერესო ტრადიცია, წეს-ჩვეულება თუ კონკურსი არსებობს, რომელთაგან ზოგი უბრალოდ ღიმილს, ზოგიც გაკვირვებას იწვევს, მაგალითად, იტალია — აქაურებს, ისევე როგორც ჩვენ, არ უყვართ ავტომობილში უსაფრთხოების ღვედის გაკეთება. ამიტომაც აპენინებზე მეტად პოპულარულია მაისურები, რომელზეც სწორედ ეს ღვედია გამოსახული. თანაც იტალიელები მას ორ ვარიანტში ხატავენ: მძღოლისა და მგზავრისთვისაც. კიდევ ერთი, აქაურები ერთ უცნაურ კონკურსს ატარებენ, რომელსაც „ყველაზე ვიწრო ქუჩა“ ჰქვია. ტურნირში მონაწილეობისთვის ქუჩების არჩევა საკმაოდ რომანტიკული — კოცნის მეთოდით ხდება. მხოლოდ კოცნა ქუჩის სხვადასხვა მხარეს არსებული სახლის ფანჯრებიდან უნდა განხორციელდეს. იტალიელებმა საშობაოდაც მოიფიქრეს ერთი გასართობი ტრადიცია — ერთმანეთს წითელი ფერის ტრუსებს ჩუქნიან, რომელიც აუცილებლად შობის ღამეს უნდა ჩაიცვან და ისე დაწვნენ დასაძინებლად. აპენინებზე მიაჩნიათ, რომ ამ რიტუალს მთელი წლის განმავლობაში ბედნიერება მოაქვს. იმასაც გეტყვით, რომ იტალიაში უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობაში სესიები არ არის. სტუდენტები გამოცდებს მაშინ აბარებენ, როცა თვითონ სურთ და როცა თვლიან, რომ ამისთვის მზად არიან.

ახლა აზიისკენ გადავინაცვლოთ — ტაივანში გასვენებებზე მიღებული იყო სტრიპტიზის ცეკვა. ეს ახლობლის გლოვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში აკრძალა ხელისუფლებამ ეს ტრადიცია. თუმცა, ამის მიუხედავად, სოფლებში დაკრძალვებზე სტრიპტიზს დღემდე ცეკვავენ. ჩინეთში, იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ძილში ხვრინავენ, სამხედრო სასწავლებლების კარი დახურულია, რადგან მიაჩნიათ, რომ გამუდმებული ხვრინვა სხვა კურსანტების ნორმალურ ცხოვრებას არღვევს და ცუდად აისახება მათ სამხედრო მომზადებაზე. ინდოეთში კი სწამთ, რომ კოცნისას, როცა ნერწყვის გაცვლა ხდება, ადამიანები სულსაც უცვლიან ერთმანეთს.

ისევ „ბებერი კონტინენტისკენ“ გადმოვინაცვლოთ და პორტუგალიელებს „შევნატროთ“ — აქაურებს შეუძლიათ წვიმიან ამინდში სამსახურში არ წავიდნენ, რადგან ასეთი ამინდი მისი გაცდენის საპატიო მიზეზია. საფრანგეთში, ჩინეთსა და სუდანში, ეგრეთ წოდებული, მოჩვენებათა ქორწინება არსებობს. ამ ქვეყნებში ოფიციალურად დაშვებულია მიცვალებულზე გათხოვება ან მისი ცოლად მოყვანა. ასე ხშირად ფეხმძიმე საცოლეები იქცევიან, რათა შვილი კანონიერად გააჩინონ. მხოლოდ გარდაცვლილის ქონებაზე პრეტენზია ვერ ექნებათ, რადგან ეს კანონით აკრძალულია. თუკი ვინმე პირველი აპრილის აღნიშვნას გადაწყვეტთ, გირჩევთ, საამისოდ ხორვატიას, ქალაქ ლუდბერგს ესტუმროთ. ამ დღეს აქაური ცენტრალური შადრევნიდან, წყლის ნაცვლად, ღვინო გადმოედინება.



უჩვეულო ტრადიცია აქვთ ბერძნებსაც — აქაურები ახალ წელზე მეგობრებსა და ახლობლებთან უცნაური სუვენირით — მძიმე ქვით მიდიან. მას მასპინძელს ჩუქნიან და უსურვებენ, რომ ოჯახის შემოსავალი, ანუ მათი ფულიც ისეთივე მძიმე იყოს, როგორც ეს ქვა. კუნძული მენი კი ნამდვილი სამოთხეა სწრაფად მგზავრობის მოყვარულთათვის, რადგან აქ, პრაქტიკულად, არ არსებობს შეზღუდვა სიჩქარეზე. ქალაქ დუგლასში კი, რომელიც კუნძულის დედაქალაქია, დღემდე საზოგადოებრივი ტრანსპორტის ერთ-ერთი სახეობა ცხენებშებმული ტრამვაია.

# ფუტკრის შხამი — ბოტოქსის შემცვლელი



სამხრეთკორეელმა მეცნიერებმა, ფუტკრის შხამზე მთელი რიგი კოსმეტიკური საშუალებები დამზადეს, რომელსაც შეუძლია, ბოტოქსის რეალურ ალტერნატივად იქცეს. კვლევებმა აჩვენა, რომ ფუტკრის შხამს შეუძლია კოლაგენის გამომუშავება გაააქტიუროს, რაც კანის ელასტიურობისთვის არის საჭირო. სიახლის ავტორები აცხადებენ, რომ ადამიანის ორგანიზმი ამ საშუალებების წასმისას ჩხვლეტას იგრძნობს, თითქოს ფუტკარმა უკბინა. შედეგად, სისხლის ცირკულაცია ძლიერდება, ეს კი კოლაგენისა და ელასტინის გამოყოფას უწყობს ხელს. გარდა ამისა, კორეელი სწავლულების მიერ შექმნილი კოსმეტიკის წყალობით, იზრდება გამომუშავება კერატინოციტებისა— უჯრედებისა, რომელიც ხელს უწყობს კანის დაცვას გარემო ფაქტორების მავნე ზემოქმედებისგან. სხვათა შორის, მეცნიერთა განცხადებით, ფუტკრის შხამის მოპოვებისას არც ერთი მწერი არ დაიღუპება — განსაკუთრებული ტექნოლოგია შხამის ჰუმანური მეთოდებით მოპოვების საშუალებას იძლევა.

# მთქნარება სიმპათიის ნიშანია



იტალიელი მეცნიერები პიზას უნივერსიტეტიდან მიიჩნევენ, რომ ადამიანის მთქნარების ინტენსიურობა მისი დაღლილობის ხარისხზე კი არა, არამედ იმაზე მეტყველებს, რამდენად ახლობელი არიან მისთვის გარშემომყოფი ადამიანები. გადამდებ მთქნარებასაც ასევე, ბევრის თქმა შეუძლია ადამიანებს შორის ურთიერთობაზე. მეცნიერებას ზუსტად არ შეუძლია პასუხის გაცემა კითხვაზე, რატომ არის ზოგი ადამიანის მთქნარება გადამდები, ზოგის კი — არა. თუმცა, აპენინელი ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ „პირის დაღების“ ჯაჭვური რეაქცია მხოლოდ ახლობელ ადამიანებს შორის ხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახლო ნათესავების წრეში თუ ტკბილად დაამთქნარეთ, დიდია ალბათობა იმისა, რომ ისინიც ამას გაუაზრებლად გაიმეორებენ. რაც უფრო ახლობელია ადამიანი, მით უფრო მეტად „გადაედება“ თქვენი მთქნარება. იტალიელმა სწავლულებმა ექსპერიმენტიც ჩაატარეს, რომელშიც აშშ-ს, ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების წარმომადგენელი 109 ქალი და მამაკაცი მონაწილეობდა. ერთი წლის განმავლობაში მათი ყოველდღიური მთქნარების რაოდენობა და გარშემომყოფი საზოგადოებაც გამოიკითხეს. აღმოჩნდა, რომ ადამიანები უფრო ხშირად, 50%- ახლობელთა წრეში ამთქნარებდნენ, მეოთხედს — მეგობრების გარემოცვაში, მერვედს — ნაცნობებთან და იშვიათად ამთქნარებდნენ უცნობ ადამიანებთან ერთად ყოფნისას. ამგვარად, როგორც მეცნიერები აცხადებენ, მთქნარებით გაუთვითცნობიერებლად სიმპათიას, სხვადასხვა ემოციას გამოვხატავთ თანამოსაუბრეების მიმართ.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | 1 | | | | | | |
| | | 4 | 6 | | | 1 | 7 | 3 |
| | | | | | 3 | | | 2 |
| | 5 | | | 8 | | | 4 | |
| | | | 1 | | 2 | | | |
| | 7 | | | 6 | | | 2 | |
| 5 | | | 7 | | | | | |
| 8 | 1 | 3 | | | 6 | 4 | | |
| | | | | | | 5 | 1 | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | | | 5 | 3 | | |
| | | 1 | | | 3 | | 2 | |
| | 4 | | | | | | | 6 |
| | 3 | 5 | | | | | 7 | |
| | | | 6 | | 7 | | | |
| | 9 | | | | | 8 | 4 | |
| 2 | | | | | | | 5 | |
| | 6 | | 5 | | | 4 | | |
| | | 8 | 4 | | | | | 9 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | | 9 | 3 | 4 | | |
| 9 | 4 | | | 1 | | | | |
| | | 2 | 6 | | | | | |
| | | 6 | | | 9 | | | 5 |
| 5 | | | | 7 | | | | 2 |
| 8 | | | 5 | | | 1 | | |
| | | | | | 1 | 5 | | |
| | | | | 4 | | | 3 | 1 |
| | | 3 | 9 | 6 | | | 7 | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | 8 | 5 | |
| 5 | | | 4 | | 8 | | | |
| | 2 | | 5 | 3 | | 9 | | |
| | | 8 | | | 7 | 2 | | 4 |
| | | | | 4 | | | | |
| 4 | | 2 | 9 | | | 7 | | |
| | | 1 | | 2 | 5 | | 3 | |
| | | | 6 | | 3 | | | 7 |
| | 7 | 5 | | | | | | 1 |

# ნიუ-იორკში „გასახდომი" სახლი ააშენეს



შეუძლია თუ არა სახლს, სადაც ცხოვრობთ, გახდომაში დაგეხმაროთ? აღმოჩნდა, რომ ეს უკვე შესაძლებელია. ამერიკის უდიდეს მეგაპოლისში ახალი საცხოვრებელი კომპლექსი გაჩნდა, რომელიც მის მოსახლეებს ჭარბ წონასთან ბრძოლაში დაეხმარება. რვასართულიანი შენობის, „მელოდიის“ საზეიმო გახსნა გასულ კვირას გაიმართა. კომპლექსი კერძო სამშენებლო კომპანიამ ააშენა, თუმცა ამ სახლში ბინის შეძენა მხოლოდ იმ ოჯახებს შეუძლიათ, ვისი შემოსავალიც წელიწადში 90 ათას დოლარზე ნაკლები არ არის. კომპლექსის პირველ სართულზე მდებარეობს სპორტული დარბაზი, ტრენაჟორები უფროსებისა და ბავშვებისთვის — ეზოში „მაცდუნებელი“ კიბეები, რაც მცხოვრებლებს ლიფტით ნაკლებად სარგებლობისკენ უბიძგებს. ასევე პლაკატები ლოზუნგებით, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების სტილისკენ მოუწოდებს. ისე კი, ამ არქიტექტურის შედევრის ხელშეწყობა, ალბათ, არ დასჭირდება იმ ადამიანს, ვინც ამ სახლში ბინას შეიძენს. მას ისედაც ექნება იმის საშუალება, თავს მიხედოს და საკუთარ ჯანმრთელობაზე უკეთ იზრუნოს.

# ცრემლები ოჯახის სიმტკიცის გარანტიაა



სამედიცინო მოსაზრებით, ტირილი ფიზიკური თუ სულიერი ტკივილის გამოვლინებაა. ახლა ბიოლოგები აცხადებენ, რომ ცრემლებს სარგებლობა მოაქვს არა მხოლოდ ემოციის გამოხატვით, რაც ადამიანის მდგომარეობას აუმჯობესებს, არამედ ის ურთიერთობებსაც აკეთილშობილებს. ამას თელ-ავივის უნივერსიტეტის სწავლულები ამტკიცებენ. ტირილი მაღალორგანიზებული საქციელის გამოვლენაა, ცრემლები კი ყველაზე მისაღები და გასაგები ფორმით იძლევა ჭეშმარიტ ინფორმაციას მოთხოვნილებასა და სოციალურ კუთვნილებაზე, — ებრაელმა მკვლევარებმა სხვადასხვა სახის ცრემლები განიხილეს — სიხარულის, წყენის, ტკივილის. სხვადასხვა ემოციურ და სოციალურ მდგომარეობაში ცრემლები იმისთვის გამოიყენება, რომ გამოირჩეს გარშემომყოფების ურთიერთობა მტირალის მიმართ — გულმოწყალება მტრობისგან. ცრემლები ასევე სასარგებლოა გულწრფელი სიმპატიის გამოსახატავად. უამრავი კულტუროლოგიური გამოკვლევისას დადასტურდა, რომ ტირილი ამტკიცებს ადამიანის კავშირს მის ოჯახთან, საყვარელ და ახლობელ ადამიანებთან.

# შვეიცარელს თითის ანაბეჭდები არ აქვს



2007 წელს მან ვერ შეძლო ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრის გადაკვეთა. მიზეზი კი ის გახდა, რომ თითების ანაბეჭდით ახალგაზრდა ქალის პირადობის განსაზღვრა ვერ მოხერხდა — თითების დაბოლოებებზე კანის საფარის ნახატი უბრალოდ არ ჰქონდა. თუმცა, დოკუმენტურად ყველაფერი წესრიგში იყო და კრიმინალური წარსულიც გამოირიცხა. ამ შემთხვევის გამოძიებისას გაირკვა, რომ მისი ოჯახის წევრებს შორისაც, ზოგს ასევე არ აქვს „ბიოლოგიური რელიეფი“. მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ ამაში „დამნაშავე“ Adermatoglyphia — გენეტიკური ანომალიაა, რომელიც დნმ-ის პაპილარული ნახატის ფორმირებაზე პასუხისმგებელი ნაწილის მუტაციას წარმოადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ რელიეფის არარსებობის ადგილას დაქვეითებულია ოფლის გამოყოფის დონეც. ახლა მეცნიერები ამ მუტაციის უფრო ღრმად შესწავლას აპირებენ.

# პასტორი მრევლს „ეროტიკულ ღვთისმსახურებაზე“ იწვევს



ქალაქ ვისბადენში მცხოვრები მღვდელი, ვალენტინობის დღესასწაულზე, სპეციალური ქადაგების წარმოთქმას აპირებს. ლუთერანების პასტორი რალფ შმიდტი შეყვარებულ წყვილებს „ეროტიკულ ღვთისმსახურებაზე“ მონაწილეობისთვის ეპატიჟება. „წირვა“, რომელსაც ეკლესიის მოძღვარი უკვე მეორედ ჩაატარებს, წყვილებს „გრძნობების სიმკვეთრის“ დაბრუნებაში დაეხმარება. პასტორი აცხადებს, რომ ქადაგებისას ის არ მოერიდება მკვეთრ გამონათქვამებს, რომელიც სექსის თემასთან იქნება დაკავშირებული, თუმცა წინა მსგავსი ღვთისმსახურებისას, შეუფერებელ სიტყვებს მაინც თავი აარიდა. როგორც პასტორი აცხადებს, მას ძალიან აღელვებს მორწმუნეთა სურვილი, „ცოტათი მაინც გათავისუფლდნენ ძველი აკრძალვებისგან“. ახალგაზრდებს სჭირდებათ ეკლესიაცა და სექსუალურობის თემაც ქრისტიანულ ცხოვრებაში. ღვთისმსახურების დროს შმიდტი აპირებს, არომატული სანთლებისა და სიყვარულის თემაზე შექმნილი კლასიკური სიმღერების მეშვეობით, მრევლში გრძნობები გააღვიძოს.

# აპარატი ადამიანის კანს ბეჭდავს



კანადელმა ექიმებმა ნამდვილი ფურორი მოახდინეს ტრანსპლანტოლოგიაში. მათი ახალი აღმოჩენა ტანჯვას შეუმსუბუქებს სერიოზული დამწვრობის მქონე ადამიანებს და მათი ცხოვრების ხარისხს გააუმჯობესებს. ეს ნოუ-ჰაუ გარეგნულად პრინტერს ჰგავს, მხოლოდ ის ქაღალდზე კი არა, ადამიანის კანზე ბეჭდავს. ამისთვის საჭიროა მხოლოდ ერთი უჯრედი პაციენტის ორგანიზმიდან. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ შესაძლებელი იქნება ასევე კანის სისქის, ფაქტურისა და ფორმის რეგულირებაც. სპეციალისტებმა თამამად განაცხადეს, რომ ამ ტექნოლოგიით იდენტური ორგანოების შექმნა შეიძლება. ეს რევოლუციური აღმოჩენა ბევრი ადამიანის სიცოცხლეს იხსნის, რადგან საკუთარი უჯრედისგან კანი უკეთ შეეგუება ორგანიზმს, ოპერაციის ფასი კი გაცილებით იაფი იქნება. უახლოეს მომავალში ექიმები აპარატის გამოცდას ადამიანის კანზე აპირებენ.

შეთავაზება

# Aray Tomorrow-სა და „ლიბერთი ბანკის“ უპრეცედენტო აქცია




## შეიძინეთ საყოფაცხოვრებო ტექნიკა 0%-იანი განვადებით 18 თვის მანძილზე!

**მაღაზიათა ქსელი Aray Tomorrow და „ლიბერთი ბანკი“, პირველად საქართველოში, მომხმარებლებს უპრეცედენტო აქციას სთავაზობენ. აქციის ფარგლებში, ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება, Aray Tomorrow-ს მაღაზიათა ქსელში, „ლიბერთი ბანკის“ სწრაფი და მარტივი, 18-თვიანი უპროცენტო განვადებით ისარგებლოს. უპრეცედენტო აქცია 2013 წლის 30 იანვრიდან დაიწყო, რომელიც Aray Tomorrow-ს მაღაზიათა ქსელში წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო ტექნიკის სრულ ასორტიმენტზე გავრცელდება.**

Aray Tomorrow-სა და „ლიბერთი ბანკის“ უნიკალურ აქციაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი არ არის, „ლიბერთი ბანკის“ კლიენტი იყოთ. თუ ხელფასი სხვა კომერციულ ბანკში გერიცხებათ, 0%-იანი განვადებით სარგებლობას მაინც შეძლებთ, რაც მთავარია, 18 თვის განმავლობაში. „ლიბერთი ბანკის“ გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის, **ლევან ასანიშვილის** განცხადებით, ეს მართლაც, უპრეცედენტო პირობაა, რადგან მართალია, კომერციული ბანკები საკუთარ მომხმარებლებს უპროცენტო განვადებას აქტიურად სთავაზობენ, მაგრამ მხოლოდ 6 თვით:

**„Aray Tomorrow-სა და „ლიბერთი ბანკის“ ერთობლივი აქცია გამორჩეულია სხვა აქციებისგან, რაც საკმაოდ ხშირად, სტანდარტულად იგეგმება ხოლმე ბანკებსა და მაღაზიებს შორის. ჩვენი აქცია უნიკალურია იმით, რომ თავისი გრძელვადიანი პირობით გამოირჩევა, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, რომ თუ დაბალშემოსავლიანია, ერთი ნივთის გარდა, ერთდროულად, რამდენიმე ნივთი შეიძინოს. თუ აქამდე, დაბალი შემოსავლის გამო, ნებისმიერ მომხმარებელს საშუალება არ ჰქონდა, 6-თვიან უპროცენტო განვადებაში ჩატეულიყო, ახლა შესაძლებლობა აქვს, 18-თვიანი განვადებით ისარგებლოს. ამ აქციაში ჩაერთვებიან არა მხოლოდ „ლიბერთი ბანკის“ მომხმარებლები, არამედ ისინიც კი, რომლებსაც სტაბილური შემოსავლები არ აქვთ, ვგულისხმობ ინდმეწარმეებსა და აგროსექტორში დასაქმებულებს. აქციაში მონაწილეობას შეძლებენ ის მომხმარებლები, რომლებსაც ხელფასი ელექტრონულ ბარათზე კი არ ერიცხებათ, არამედ ხელზე იღებენ. მეტიც, ამ განვადებით ისარგებლებენ პენსიონერები და „ლიბერთი ბანკის“ ის კლიენტები, რომლებიც თავისი კეთილსინდისიერი გადახდისუნარიანობით გამოირჩევიან“.**




Aray Tomorrow-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა, ელენე ქარუმიძემ აღნიშნა, რომ მომხმარებელი, რომელიც აქციის მსვლელობის დროს, 500 ლარამდე ღირებულების ნებისმიერ ნივთს შეიძენს, Aray Tomorrow მას კონდიციონერის შესაძენად, 10%-იანი ფასდაკლების ბარათს გადასცემს:

**„უპრეცედენტო აქცია, რომელიც 30 იანვარს დაიწყო, მაღაზიათა ქსელში წარმოდგენილ სრულ ასორტიმენტზე ვრცელდება. Aray Tomorrow-ის მაღაზიათა ქსელში გვაქვს როგორც მსხვილი, ასევე — წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ამიტომ მომხმარებლები არჩევანში არ შეიზღუდებიან. Aray Tomorrow საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილია 10 მაღაზიით, მათ შორის, 6 მაღაზია თბილისშია, 2 — ქუთაისში და 2 — ბათუმში. უახლოეს მომავალში, ქსელის გაფართოებასაც ვგეგმავთ, დიდი და ლამაზი მაღაზიის გახსნას ვაპირებთ, სადაც გაცილებით მეტი საყოფაცხოვრებო ტექნიკა განთავსდება“.**

*მაია მიშელაძე*




დავეხმაროთ დიტოს!

დარეკეთ 0901-08-08-06

ყველა მობილური ოპერატორიდან და სილქნეტის ყველა ქსელიდან

ზარის ღირებულებაა 1 ლარი

დიმიტრი ცინცაძეს აქვს სიმსივნე, კერძოდ დიფუზური მსხვილუჯრედიანი არაჰოჯკინის ლიმფომა. ჩაუტარდა ქიმიოთერაპიის 2 კურსი, მაგრამ კვლავ საჭიროებს კურსის გაგრძელებას და შემდგომში ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელ ოპერაციას საზღვარგარეთ. ოპერაციის ფასი 100 000-დან 150 000 ევრომდეა. მას ესაჭიროება თქვენი დახმარება და მხარდაჭერა.

ბანკის რეკვიზიტებია:
კორ სტანდარტ ბანკი

ბანკის კოდი: KSBGG22

ანგარიშის ნომერი:
GE27KS0000360101317201 ლარი
მიმღები:
დიმიტრი ცინცაძე COBADEFF COMMERZBANK AG FRANKFURT AM MAIN GERMANY DEUTDEFF DEUTSCHE BANK AG FRANKFURT AM MAIN GERMANY KASBGGE22 JSC “KOR STANDARD BANK” GE27KS0000360101317201 FOR EUR ევროში
BENEFICIARY NAME:
DIMITRI TSINTSADZE BKTRUS33 DEUTSCHE BANK TRUST COMPANY AMERICA KSBGGE22 JSC “KOR STANDARD BANK” GE27KS0000360101317201 FOR USD დოლარში
BENEFICIARY NAME: DIMITRI TSINTSADZE



იჩოვით თქვენი www.versia.ge

ვერსია

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699



მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com